140
1973

ЗАРЯ

12
1973

იყო თ

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის 87-ე საშუალო სკოლის თემურელთა რაზმის საბჭო იხილავს ახალ სამოქმედო გეგმას.

სარბენი ბილიკები, დავდგით ღერძი და სხვა.

სკოლაში თვის შუა და ბოლო რიცხვებში ტარდება სანიტარული დღე. ყველა მოსწავლე მონაწილეობს სკოლის შენობისა და ეზოს დასუფთავება-დალაგებაში.

პიონერები ვაგროვებთ და დამამზადებელ ორგანიზაციებს ვაბარებთ სამკურნალო მცენარეებს, ქაღალდის მაკულატურას, ლითონის ჯართს.

კოლმეურნეობაში გავიპიროვნეთ 2 ჰექტარი სიმინდის ნათესი და მთელ მოსავალს ვაბარებთ კოლმეურნეობას.

კოლმეურნეობას დავეხმარეთ აგრეთვე 8 ჰექტარი ლობიოს მოკრეფაში, რისთვისაც გასამრჯელოდ 100 მანეთი მივიღეთ. ამ ფულს სკოლის კეთილმოწყობას მოვახმართ.

ჟამიანი

12

დეკემბერი

1977

საქართველოს ანარქ. ეროვნული ორგანიზაციის და ბ. ლენინის სახელობის ნორმალ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური სახალხო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

12/178

„თემურელის" ეკლესიაში

შევქმენით სასკოლო სატყეო საბჭო. ვუვლით თიანეთის სატყეოს მიერ გამოყოფილ 2 ჰა ფართობს, რომელზეც გაშენებულია ფიჭვი, პანტა, მაჟალო და ტყის სხვა კულტურები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი სკოლა ახალია და ეზოში არც ერთი ხე-ბუჩქი არ იყო. ამიტომ თიანეთის სატყეოდან და დიღმის სანერგიდან შემოვიტანეთ და დავრგეთ ფიჭვი, ტუია, ჰიმალაის კედარი, მტირალა ტირიფი და სხვა მცენარეები. მომავალში მეტ დეკორატიულ და ნაყოფის მომცემ ხე-მცენარეს დავრგავთ და ბაღნარად ვაქცევთ სკოლის კარმიდამოს.

პიონერთა ოთახში მოწყობილია მეგობრობის კუთხე, სადაც გამოფენილია მასალები ჩვენი სკოლის პიონერების მეგობრობაზე უკრაინის სსრ სუმის ოლქის ს. ტოკარის 8-წლიანი სკოლის პიონერებთან.

სკოლაში 154 მოსწავლეა. შარშან მათგან ხუთოსანი იყო 35, ოთხოსანი 24, სამოსანი 88, ჩამორჩენილი 7. სასწავლო წლის ბოლოს შემდეგ კლასში გადავიდა ყველა, გარდა ერთისა. ნორჩი თემურელები დაუზარებლად ვეხმარებით ჩამორჩენილებს. გადაწყვეტილი გვაქვს აკადემიური მოსწრების მხრივ სანიმუშო გავხადოთ ჩვენი სკოლა.

ბადრი ადუაშვილი,

თიანეთის 8-წლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლე, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე.

როგორც ყველა საბჭოთა ნორჩი ლენინელისათვის, ჩვენთვისაც — თბილისის 77-ე საშუალო სკოლის პიონერებისათვის — „თემური და მისი რაზმი" ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ნაწარმოებია. ვცდილობთ ყველაფერში მივბაძოთ მოთხრობის მთავარ გმირსა და მის მეგობრებს. მივანიჭოთ ადამიანებს სიხარული.

ჩვენმა რაზმეულმა ივალდებულა მხარში ამოუდგეს უფროსებს, რათა მშობლიურ, 26 კომისრის რაიონში სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი დამყარდეს. ამ კეთილშობილურ საქმეში თემურელებსაც შეგვაქვს მოკრძალებული წვლილი.

არკადი გაიდარის სახელობის თემურელთა რაზმის წევრები: ქეთინო ღლონტი, ბესიკ ავალიანი, დავით ბამუჩაშვილი, გია მაჭავარიანი, მაია ნინოშვილი, ირაკლი მახარაძე, ნინო მაღალაშვილი, მიხეილ ვარლამაშვილი, გურამ გოგოლაშვილი და სხვები სისტემატურად ვაწყობთ რეიდებს ჩვენს სამოქმედო მიკრორაიონში. გაფაციცებით ვათვალიერებთ თითოეულ ქუჩას, ეზოს — ხომ არაა სადმე ანტისანიტარია, ფუჭად ხომ არ იხარჯება ელექტროდენი სადარბაზოებსა თუ სხვაგან, ან ონკანები ხომ არ არის მოშლილი და უქმად იღვრება სასმელი წყალი? ამ რეიდებს სათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადო ნაყოფი მოაქვს. აი, მრავალთაგან ერთ-ერთი მაგალითი: წურწუმიას ქუჩაზე მდებარე ზოგიერთი სახლის მობინადრე ღამღამობით გარეთ, ქუჩის პირას ჰყრიდა ნაგავს. თემურელებმა შენიშნეს ეს და სანიტარული წესების დამრღვევთ სთხოვეს აღარ გაემეორებინათ ასეთი რამ. მას შემდეგ ქუჩაში ნაგავს აღარ ჰყრიან.

შევქმენით ჩვენს მიკრორაიონში მცხოვრები პენსიონერების, ინვალიდების კართოტეკები — ვის რა დახმარება სჭირდება. რაკი ეს ვიცით, ყველას დროულად ვუწევთ მზრუნველობას. ამას წინათ ჩვენი სკოლის მახლობლად ბაღში მოფუსფუსე მოხუცი შევნიშნეთ. იგი სამამულო ომის ინვალიდი აღმოჩნდა. ალბათ, რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება და სიხარული, როცა მეორე დღეს თემურელთა მიერ გადაბარული ბაღი დახვდა. მისმა გულითადმა მადლობამ ყოველგვარ საჩუქარზე უფრო გაგვახარა.

ჩვენი რაზმის შტაბის თითოეულ წევრს აქვს სპეციალური წიგნაკი, რომელშიც აღნიშნულია, თუ რა მოვალეობა აკისრია მას, როგორც თემურელს.

ყველაფერს გავაკეთებთ, რათა სახელოვნად ვიაროთ საკავშირო პიონერული მარშის „მზად ვარ!“ მარშრუტით — „თემურელი“.

თამარ ხატიაშვილი,
თბილისის 77-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე,
თემურელთა რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

კეთილი სჯელები

96-ე სკოლელებმა საბავშვო ბაღელებს გაუკეთეს სათამაშოები, რომელთა ვარგისიანობას ელექტროელსაწყოთი ამოწმებენ.

მარშრუტ „თემურელის“ დაწესებისთანავე ჩვენი სკოლის თემურელთა მუშაობა გაცილებით ნაყოფიერი და მრავალფეროვანი გახდა.

ჩამოყალიბდა რაზმები, არჩეულ იქნა მათი მეთაურები. შეიქმნა მეთაურთა საბჭოს შტაბი. შტაბის უფროსი — რაზმეულის საბჭოს წევრიცაა. იგი სწორედ ამ საბჭოს აბარებს ანგარიშს ჩატარებული მუშაობის შესახებ. მეთაურთა შტაბს უნარიანად ხელმძღვანელობს მეორე რაზმის პიონერი სვეტლანა აკოფოვა. მეთაურთა საბჭოს წევრები არიან აგრეთვე მიკრორაიონის პარტიული ორგანიზაციის მდივანი მ. ჩხაიძე და სახლის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. რიაბცევი, რომლებიც დიდად გვეხმარებიან საქმიანი რჩევა-დარიგებით.

თემურელები თვალყურს ვადევნებთ ჩვენი ზონის ცხოვრებას. ზოგს სამოქალაქო და სამამულო ომის ვეტერანების — ვ. გოლუტვიხის, ნ. კოზლოვის, მ. სარაევას, პ. სარდანინის, გ. დივანიანისა და სხვათადმი მზრუნველობა გვაკისრია: მოგვაქვს მათთვის წამლები, ვყიდულობთ პროდუქტებს, ბიბლიოთეკიდან გამოგვაქვს წიგნები, ვეხმარებით ბინის დალაგებაში... ლიდა სტოროჟენკოსა და ალა კოვალევას დახმარებით, ავადმყოფმა და მარტოხელა მარია სტეპანოვამ დროზე მიიღო შეშა ზამთრისათვის.

აქტიურად ვმონაწილეობთ მიკრორაიონის კეთილმოწყობაში: დავრგეთ ხე-ბუჩქები, გავზიდეთ სამენი მასალის ნარჩენები, მოვაწყვეთ ფრენბურთის მოედანი. ოქტომბრელებისა და უმცროსი პიონერებისათვის ვმართავთ სპორტულ შეჯიბრებებს. ვმონაწილეობთ სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის „ცისარტყელას“ მიერ ჩატარებულ კონცერტებში, ტრადიციული კონკურსის — „შეიკერეთ თვითონ“ და კონკურსი-თამაშის — „შუქნიშნის“ მოწყობაში. დავაწესეთ მორიგეობა გაკვეთილების შემდეგ, რათა უმცროსკლასელებს დავეხმაროთ ქუჩაზე უხიფათოდ გადასვლაში. კავშირი დავამყარეთ რაიონის საწარმოებთან, მონაწილეობას ვიღებთ ფაბრიკების — „სინთეტიკური ნაწარმისა“ და ტრიკოტაჟის „დინამოს“ ეზოების კეთილმოწყობაში, რისთვისაც რამდენჯერმე სიგელებით დაგვაჯილდოვეს წარმოებათა ხელმძღვანელებმა.

ჩვენს ერთ რაზმს საძმო საფლავის მოვლა-პატრონობა აკისრია და ბავშვებიც სიყვარულით უვლიან სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა საფლავებს...

თემურელები შეფობას ვუწევთ 29-ე საბავშვო ბაღს. ვეხმარებით აღმზრდელებს პატარებთან მუშაობაში, ბაღის ტერიტორიაზე ვიცავთ სისუფთავეს, ნორჩებს ვუკეთებთ სათამაშოებს, მიგვყავს ექსკურსიაზე სკოლაში, ვუჩვენებთ კინოფილმებს, ვუწყობთ მხატვრულ დილებს. პატარებს განსაკუთრებით შეაყვარეს თავი კლავა კობზევამ, ოფელია მელქუმიანმა, ეველიანა მელიქოვამ...

ა. გაიდარის ცხოვრებისა და შემოქმედების ღრმად შესწავლის მიზნით სკოლაში ჩატარდა მკითხველთა კონფერენცია თემაზე „არკადი გაიდარი“, რაზმებში კი განიხილეს მისი ნაწარმოები — „თემური და მისი რაზმი“.

წლეულს, 2 ოქტომბერს, პიონერთა საკავშირო რადიოხაზზე მიღებულ გადაწყვეტილებას — „ყველა პიონერი იყოს თემურელი“, დიდი აღფრთოვანებით შევხვდით 96-ე სკოლის თემურელები: უსაზღვროდ გაიზრდება ჩვენი შესაძლებლობანი, იმრავლებს პიონერთა კეთილი საქმეები...

ნატაშა მერკულოვა,
თბილისის 96-ე რუსული საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გაიდარი

დაბადების 70 წლისთავი

გაიდარზე ამბობენ — თავისი მოთხრობების გმირიც იყო და ავტორიც. მართლაც, მისი ცხოვრება ხან დასაწყისია მისი წიგნებისა, ხან კი გაგრძელება. ცამეტი წლისამ მოკიდა ხელი იარაღს, ოღონდ ტოლბიჭებში სათამაშოდ კი არა, ნამდვილი ბრძოლისათვის. თოთხმეტი წლისამ პირველი სისხლი დაღვარა რევოლუციისათვის, როცა ღამით კრებიდან შინ მომავალს ვერაგულად დასცეს დანა მკერდში. განვლო კიდევ ერთმა წელმა და წითელ არმიაში მოხალისედ წასული არკადი ასეულს ხელმძღვანელობს, მერე ბატალიონს, ხოლო ჩვიდმეტი ჯერ არ შესრულებოდა, რომ პოლკის მეთაური გახდა. ასეთი ახალგაზრდა პოლკის მეთაური არ ახსოვს საბჭოთა არმიის მთელ ისტორიას.

ექვს წელიწადში ექვსი ფრონტი მოიარა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის ბრძოლაში. ცხრამეტი წლისას ენისეის გუბერნიის კომკავშირის კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა წითელი არმიის გენერალური შტაბის აკადემიაში ჩასარიცხავად. ატესტაცია შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „14 წლის ასაკიდან მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში სხვადასხვა მეთაურ თანამდებობაზე მყოფი არკადი გოლიკოვი არის ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან კომკავშირელთაგანი, რომლებმაც თავიანთი მხრებით ზიდეს სამოქალაქო ომის მთელი სიმძიმე“.

მაგრამ ჭრილობებმა და კონტუზიებმა გატეხეს გაიდარი. ოცი წლის ჭაბუკი სამედიცინო კომისიამ სამხედრო საქმისათვის უვარგისად სცნო. ეს საშინელი გულის გატეხა მან გამოხატა წითელ არმიასთან გამოსათხოვარ წერილში, რომლის წაკითხვის შემდეგ ის ფრუნზემ პირადად მიიღო და ურჩია კალმისათვის მოეკიდა ხელი.

ამ დროს გაიდარს უკვე ცხოვრების რთული და მძიმე გზა ჰქონდა გავლილი და, ცხადია, არ შეეძლო არ ეწერა იმაზე, რაც გადაიტანა. ჭეშმარიტმა ლიტერატურულმა ტალანტმა, დიდმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ გაიდარი ბავშვების უსაყვარლესი მწერალი გახადა. ასე გაჩნდა მწერალი გაიდარი, ასე გაჩნდა მისი ფეხბედნიერი წიგნები.

ბელინსკი ამბობდა: საბავშვო მწერლად უნდა დაიბადოო. გაიდარიც საბავშვო მწერლად იყო დაბადებული!

ნაწარმოებებშიც და ცხოვრებაშიც მუდამ პირდაპირი, ნათელი გაიდარის წიგნებიც პიონერების ხელმძღვანელები იყვნენ და თვითონ გაიდარიც. ის ცხოვრებაში ყოველთვის იყო ბავშვების მხიარული, ჭკვიანი, მკაცრი და მომთხოვნი თავკაცი. გაიდარს სწამდა თავისი ნორჩი მკითხველისა და იცოდა, რომ შეიძლებოდა მისი დარაზმვა უკეთილშობილესი საქმეებისათვის. „თემური და მისი რაზმი“ ჯერ დაწერილიც არ ჰქონდა, როცა თავისი ეზოს ბავშვებს კეთილი საქმეებისთვის ამზადებდა. მისი მიზანი იყო: დახმარებოდა პატარა ბიჭებსა და გოგონებს ეპოვათ თავიანთი ადგილი ცხოვრებაში, კომუნიზმის მშენებელთა რიგებში. აი, ყველაზე მთავარი, რაზედაც ასეთი საოცარი უბრალოებითა და შეფარული სერიოზულობით ელაპარაკებოდა გაიდარი ბავშვებს.

მისი საქვეყნოდ ცნობილი წიგნებია „PBC“, „სამხედრო ბედი“, „ცისფერი ფინჯანი“, „სკოლა“, „ჩუკი და გეკი“, „თემური და მისი რაზმი“ და სხვები. ამ წიგნებში გმირთა მეტყველებაც, ავტორისეული უკუსვლებიც, პეიზაჟიც — ყველაფერი საბჭოთა ქვეყნის განდიდებას, მის ძლიერებას ემსახურება, უძნელეს ბრძოლებში მოპოვებული ბედნიერების დასაცავად მოგვიხმობს. მისი მოთხრობების გმირები — დაწყებული „სკოლით“ და დამთავრებული ომისდროინდელი ნარკვევებით — ყველა თაობის, ყველა დროის პიონერებისათვის მისაბაძი და სამაგალითონი არიან. ისინი უბრალო თამაშის, გასეირნების დროს, ცხოვრების სრულიად ჩვეულებრივ წუთებშიც კი ქვეყნის სასარგებლო საქმეს აკეთებენ. სამშობლოს სიყვარული, უდიდესი რწმენა, მათ შეუმჩნევლად აქცევს გმირებად, აყენებს სწორ გზაზე.

გაიდარი ბავშვებს არაფერს უმალავს, ცხოვრების ყველა მახინჯსა და საშიშ მხარეებზეც გულახდილად, მაგრამ მათთვის მისაწვდომი ფორმით ესაუბრება.

დღემდე ყველას ერთნაირად აოცებს გაიდარის ნაწარმოებთა კიდევ ერთი სასწაული — პოეზია პროზაში. სრულიად უბრალო, ჩვეულებრივი, ყოველდღიურად სალაპარაკო სიტყვებით თქმული ფრაზა სადღაც სიღრმიდან პოეზიით გამოაშუ-

ა. გაიდარი ასეულის მეთაური, 1920 წ. კავკასიის ფრონტი.

ქებს ხოლმე. მასთან ჩვეულებრივი სიტყვები უცებ ფრთებს ისხამენ, რადგან მათი აზრი ყოველთვის უმაღლესი რომანტიკული დანიშნულებისაა.

ეს რომანტიკულობა იყო მიზეზი, რომ პიონერ-თემურელთა მოძრაობა დიდი ხანია გასცდა ამ მოძრაობის სამშობლოს — საბჭოთა კავშირის ფარგლებს. გაიდარის „თემური...“ ითარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა და მრავალ უცხო ენაზე. თემურელთა რაზმები შეიქმნა პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში და ბევრ სხვა ქვეყანაში.

ჩეხოსლოვაკიაში ყოველი პიონერი კითხვაზე, რომელია მისი საყვარელი წიგნი, გიპასუხებთ: „არკადი გაიდარის „თემური და მისი რაზმი“. იქ ერთ-ერთ სოფელში — დევინსკა ნოვა ვესიში — თემურელთა საქმიანობა დღითიდღე ფართოვდებოდა. სოფლად ყველა წამოწყების სული და გული შტაბი იყო. იგი იძლეოდა დავალებებს, არჩევდა ბავშვებს, უცხადებდა მათ მადლობას, ხელმძღვანელობდა ყველა საქმეს და არავინ იცოდა, ვინ იყვნენ ამ შტაბის წევრები. მაგრამ, ბოლოს, საიდუმლოს გამხელა მაინც საჭირო გახდა, რადგან სოფლის თემურელთა კეთილშობილური საქმის ამბავი მთელ ჩეხოსლოვაკიას მოედო და პრეზიდენტმა ისინი თავის საზაფხულო რეზიდენციაში მიიწვია.

გაიდარი გამუდმებით მოგზაურობდა. ერთ ადგილას დიდხანს არ ჩერდებოდა. აიღებდა თავის მსუბუქ ჩემოდანს ან ზურგჩანთას, მოიხურავდა ფარაჯას და გაუდგებოდა გზას. ყველგან, სადაც დასახლდებოდა, მისი პირველი მეგობრები ბავშვები იყვნენ. დაარქმევდა მათ გამოგონილ სასაცილო სახელებს, ეთამაშებოდა, სეირნობდა მათთან ერთად, მღეროდა, უყვებოდა საინტერესო ამბებს. მერე კი ყოველთვის მიწერ-მოწერა ჰქონდა მათთან.

ქვეყნად არ არის ბავშვის მეგობრობაზე უფრო მხურვალე და მტკიცე მეგობრობა, არ არსებობს ბავშვის ერთგულებაზე დიდი ერგულება, არ არსებობს იმაზე მგზნებარე გატაცება, ვიდრე ბავშვმა იცის. სწორედ ამ თვისებებს აღვივებდა ბავშვებში თავისი წიგნებით გაიდარი — შესანიშნავი კომუნისტი-აღმზრდელი.

გაიდარი მხოლოდ კარგი მწერალი არ იყო. იყო ნიჭიერი და ნაყოფიერი ჟურნალისტიც. მუშაობდა გაზეთებში „პრავდა სევერა“, „ზვეზდა“, „ტიხოოკეანსკაია პრავდა“ და სხვ. არ არსებობს საბჭოთა ცხოვრების თითქმის არც ერთი წვრილმანი, გაიდარი რომ არ შეხებოდეს. მწერლის მახვილი თვალი ამჩნევდა მოწინავე და ახალი წამოწყების ყველაზე თოთო ყლორტებსაც კი. ჟურნალისტის კალამი ამავე დროს არ ზოგავდა ობივატელებსა და ბიუროკრატებს. მარტო 1927 წელს „ზვეზდაში“ დაიბეჭდა მისი ორასამდე ფელეტონი.

ზოგმა, შესაძლოა, არ იცის, რომ გაიდარი მოთხრობების, ნარკვევებისა და ფელეტონების გარდა წერდა კარგ ლექსებსაც, განსაკუთრებით ადრეულ პერიოდში. მას დიდი წითელყდიანი რვეული ჰქონდა გავსებული ლექსებით.

აი, ასეთი ყოველმხრივ საინტერესო, ბავშვებსა და თავის ქვეყანაზე ფანატიკურად შეყვარებული უდიდესი ტალანტის ადამიანი იყო ის.

და განა შეეძლო ასეთ ადამიანს, ჭრილობების გამო წითელ არმიას დაშორებულს დიდი სამამულო ომის დაწყებისას ზურგში დარჩენილიყო! გაიდარმა ავადმყოფობის მიუხედავად, დაჟინებით მოითხოვა ფრონტზე წასვლა. პირველსავე დღეებში მოწინავე ხაზზე გაჩნდა, როგორც „კომსომოლსკაია პრავდას“ სამხედრო კორესპონდენტი. მისი ცეცხლოვანი ნარკვევები — „ხიდი“, „გადასასვლელთან“ და სხვები აღაგზნებდნენ ადამიანთა გულებს. მასალას ამ ნარკვევებისათვის ის ფრონტის ყველაზე მოწინავე უბნებზე აგროვებდა და ომის მხოლოდ მოწმე კი არა, მისი აქტიური მონაწილე იყო. უძნელეს წუთებში რამდენჯერმე ჰქონდა საშუალება მოსკოვში თვითმფრინავით გადაფრენილიყო, მაგრამ ჯარისკაცურმა სულმა წასძლია და პოლკოვნიკ ორლოვის ჯგუფთან ერთად მტრის ზურგში დარჩა. ბოლოს დნეპრისპირა ტყეებში პარტიზანულ მცირე რაზმს შეუერთდა. მალე რამდენიმე მებრძოლით დაზვერვაზე გაგზავნეს და პირველსავე ბრძოლაში გმირულად დაიღუპა 1941 წლის 26 ოქტომბერს.

საბჭოთა მწერლებმა ომის დაწყების დღესვე — 1941

ა. გაიდარი მუშაობის დროს.

წლის 22 ივნისს განიცადეს პირველი დანაკარგი: საბრძოლო პოსტზე ლვოვში დაიღუპნენ უკრაინელი ლიტერატორები ალექსანდრე გავრილიუკი და სტეფანე ტუდორი. სულ ბოლოს, ბერლინის მისასვლელებთან, როცა რაიხსტაგზე უკვე წითელი დროშა აფრიალდა, დაეცა ქართველი მირზა გელოვანი.

ეს ორი უკიდურესი თარიღია... სულ კი სამამულო ომში დაიღუპა სამასთერთმეტი მწერალი — ყოველი მესამე, ფრონტზე წასულ მწერალთაგან, ხოლო წასულთა შორის ყოველი მეორე კაცი დაიჭრა.

სამამულო ომის მონაწილე მწერალთა ამ დიდ არმიას უდ-

1989 წ.

გას სათავეში არკადი გაიდარი, როგორც მათი სამხედრო მეთაური და პარტიის პირმშო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულებით დიდ სამამულო ომში გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის ა. პ. გაიდარი სიკვდილის შემდგომ დაჯილდოვდა „დიდი სამამულო ომის" პირველი ხარისხის ორდენით.

აღარ არის გაიდარი, მაგრამ დარჩა მისი წიგნები — მებრძოლის, მწერლის, პუბლიცისტის წიგნები, თავისი მგზნებარებით დღესაც რომ ზრდიან „წითელდროშოვან მტკიცე გვარდიას".

ამ გვარდიამ ღირსეულად დააფასა საყვარელი მწერლის ამაგი და ხსოვნა. განსაკუთრებით ზრუნავენ მისი სახელის უკვდავსაყოფად გაიდარის მშობლიური ქალაქის — არზამასის პიონერები. მწერლის დაბადების სამოცი წლისთავისთვის აქაურმა ბიჭებმა ეზოები შემოიარეს, ძველი ქვაბები, სამოვრები, მილები მოზიდეს და 350 ტონა ლითონის ჯართი შეაგროვეს, რომელიც თბომავლად იქცა და პიონერთა თხოვნით „არკადი გაიდარი" შეერქვა. არზამასში გუბურასაც კი გაიდარის სახელი ჰქვია. იქ, გაიდარის სახელობის კულტურის პარკში, ბრინჯაოს ძეგლი დგას: მაღალი, შეუპოვარი ჯარისკაცის მაზარაჩაცმული გაიდარი ჭკვიანი თვალებით გაჰყურებს სივრცეს.

არზამასში პიონერთა სახლიც გაიდარის სახელობისაა, სკოლაც, მხარეთმცოდნეობის მუზეუმიც, ბიბლიოთეკაც. არზამასში არის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც გაიდარის სახელს ატარებს. 1965 წლიდან იქ სისტემატურად ტარდება გაიდარის შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციები. იკრიბებიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების წარმომადგენლები — მწერლები, მეცნიერები, ლიტერატორები, ჟურნალისტები, კოლეგებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა მუშაკები. გაიდარის ნათესავები და მეგობრები. ეს ინსტიტუტი თანდათან ხდება გაიდარის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის ცენტრი.

ჩვენს ქვეყანაში ეკრანიზებულია გაიდარის „თემური და მისი რაზმი", „თემურის ფიცი", „მედოლის ბედი", „სამხედრო საიდუმლოება", „სკოლა", „ჩუკი და გეკი", „თოვლის ციხის კომენდატი", შექმნილია ფილმები თვით გაიდარის ცხოვრებაზე.

გაკეთებული ბევრია, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტი. დაგეგმილია არკადი გაიდარის ცალკეული ნაწარმოებების სასკოლო პროგრამაში შეტანა. მალე დაიდგმება გაიდარის ძეგლი მოსკოვში. გადაწყვეტილია მსოფლიოს საბავშვო მწერალთა მეორე ფორუმი ჩატარდეს ქ. კანევში, რომლის მახლობლად დაიღუპა გაიდარი.

ცხრა წლის წინათ, 1964 წლის თებერვალში, არტეკში, სადაც ბევრჯერ ყოფილა არკადი გაიდარი, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ბავშვები გაიდარის დაბადების სამოცი წლისთავს დღესასწაულობდნენ. დილით საზეიმო ხაზი მიეძღვნა ამ თარიღს; შუადღეს პიონერებმა ახლადშექმნილ „სანაპირო" ბანაკში საფუძველი ჩაუყარეს გაიდარის პარკს, სხვა ბანაკებში კი გამართეს გაიდარის ხეივნები და ყოველ ხეივანში დარგეს სამოც-სამოცი კვიპაროსი. ყოველ წელიწადს, გაიდარის დაბადების დღეს, აქ თითო კვიპაროსი უნდა მიემატოს; საღამოს კი, როცა არტეკზე სიბნელე ჩამოწვა, სამოცი ჩირაღდანი აბრიალდა ალადარის ფერდობებზე, რომელიც ზღვას გადაჰყურებს.

1972 წელს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გაიდარს ლენინური კომკავშირის პრემია მიანიჭა.

დიდზე დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ გაიდარი ცოცხალი დარჩენილიყო, თავისი თვალით ენახა ჩვენი გამარჯვება და ბავშვებისთვის ახალი წიგნები დაეწერა. მან ხომ სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ჩანაწერებით სავსე ჩანთა მიაბარა მეტყველ შვაიკოს. ცოტა ხნის შემდეგ შვაიკო დააპატიმრეს. მან ვერ მოასწრო ცოლშვილისათვის ეჩვენებინა ადგილი, სადაც ჩანთა იყო დამალული. ამ ჩანთის ძებნას დღესაც განაგრძობენ ჩვენი ქვეყნის პიონერები. ოპერაციას ჰქვია „გაიდარის ჩანთა". პიონერებს მთელი რაიონი ეხმარება ამ კეთილშობილურ საქმეში.

ვინ იცის, რამდენი წარმტაცი სიუჟეტი, რამდენი დიდებული მოთხრობა და მისაბაძი გმირის სახეა მიმალული სადღაც მიწის სიღრმეში!

ვალენტინა ძიძიგური

ბოლოს ბერლინამდე

ნარგიზა მგელაძე

დოკუმენტური მოთხრობა

მხატვარი რ. ცუცქირიძე.

ვახტანგის ზურგჩანთაში ერთი ნივთი საგანგებოდ შეხვეული დევს. მის შესახებ შტაბის უფროსს არავისთვის არაფერი უთქვამს.

ვახტანგს დათქმული აქვს: გამარჯვების დღეს ბერლინში გახსნას და ყველას დასანახად გაიკეთოს. ეს წითელი ყელსახვევია. ჯერ კი... ო, რა შორია ბერლინამდე!

●

რიონის სადგური სავსეა ჯარისკაცებით. რახუნით, თუხთუხით, ქშენით მიმოდიან გამურული ორთქლმავლები.

ერთი ეშელონიდან მოხსნილ ვაგონებს მეორეს აბამენ წითელსამკლაურიანი, შაშხანაგადაკიდებული სამხედრო პატრულები, აკონტროლებენ სამარშო ბატალიონების ჩასხდომას ვაგონებში. წუთი-წუთზე მოსალოდნელია ეშელონის გასვლა.

— ამ მატარებელზე უნდა მოვახერხოთ როგორმე. ყველა ერთ ვაგონში ვერ შევალთ, დავცალკევდეთ, — გადაულაპარაკა ვახტანგმა ამხანაგებს.

ბიჭებმა ვაგონების თვალიერება დაიწყეს. ერთ-ერთი საბარგო ვაგონის ტამბურზე შავქოჩრიანი ახალგაზრდა სერჟანტი დგას და დაფიქრებული გასცქერის რიონის ტყეს.

ვახტანგი შორიახლოს დადგა და სერჟანტს მიაჩერდა. უნდა, რაც შეიძლება, არხეინი გამომეტყველება ჰქონდეს, მაგრამ ვერ ახერხებს. გულს ბაგაბუგი გააქვს.

— გამარჯობათ, ამხანაგო სერჟანტო, — გაბედა ბოლოს. სერჟანტი მოულოდნელობისაგან შეკრთა და ვახტანგს ჩამოხედა.

— გაგიმარჯოს!

ვახტანგმა ჯიბიდან მწიფე ქლიავები ამოიღო და სერჟანტს გაუწოდა.

— მიირთვით, ამხანაგო სერჟანტო, ჩემი ეზოსია, ამ დილით მოვკრიფე.

სერჟანტს თვალები გაუბრწყინდა.

— გმადლობ, ბიჭიკო, სწორედ ძალიან მწყუროდა, ეშელონი კი სადაცაა გავა და ჩამოსვლა არ შემიძლია.

— მომეცით მათარა, ამხანაგო სერჟანტო, აქვეა წყალი, მე მოგირბენინებთ!

სერჟანტმა სასწრაფოდ მოიხსნა მათარა და ბიჭს მიაწოდა.

— აბა, შენ იცი, ოღონდ ჩქარა!

— ვახტანგი თავქუდმოგლეჯით გაიქცა ონკანისაკენ, ხელად აავსო მათარა.

სერჟანტი ტამბურიდან მთელი ტანით გადმოწეული უცქერდა ვახტანგს.

ბიჭმა წყალი მოარბენინა. სერჟანტმა გამოართვა.

— აქ რას ეძებ, ბიჭიკო? — ალერსით ჰკითხა, როცა წყურვილი მოიკლა და ტუჩები სახელოთი მოიწმინდა.

— მამა მყავს სოხუმის ჰოსპიტალში, დაჭრილია, სანახავად მინდა წასვლა და მატარებელს ველოდები. არ ვიცი, რომელი მიდის სოხუმისაკენ. — იცრუა ვახტანგმა.

— ჩვენი ეშელონი სწორედ სოხუმში მიდის, — თქვა სერჟანტმა, — მაგრამ, ხომ იცი, სამოქალაქო პირების წაყვანის უფლება არა გვაქვს.

— ამხანაგო სერჟანტო, — დაეღრიჯა ვახტანგი, — მამა მძიმედაა დაჭრილი... გევედრებით, ვერავინ დაგვინახავს, არც ერთ სადგურზე არ გამოვიხედავ, საგზალი თანა მაქვს, გემუდარებით... მამაჩემი ოფიცერია...

ბიჭს ცრემლი მოერია, ხმა აუკანკალდა.

სერჟანტმა მიმოიხედა. პატრული არ ჩანდა.

— კარგი, ამოდი, მაგრამ თუ ვინმე დაგინახავს, იცოდე, მე არაფერი ვიცი.

— გასაგებია, ამხანაგო სერჟანტო, ამ წუთში, — დაიძახა ვახტანგმა და ვაგონების გასწვრივ გაიქცა. ერთი წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა ვაგონთან, მაგრამ მარტო აღარ იყო, გვერდით კარლო ჩიხლაძე ედგა.

— ამხანაგო სერჟანტო, ჩემი ძმაა.

კარლო ისეთი თვალებით უცქერდა სერჟანტს, თითქოს მისგან სიკვდილ-სიცოცხლის განაჩენს ელოდა.

— ჰო, კარგი, სწრაფად ამოდით, ხომ გესმით, ორთქლმავალმა სიგნალი მისცა.

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 10, 11.

სერჟანტმა საბარგო ვაგონის კარი გააღო და ბიჭები თივით სავსე ვაგონში შეუშვა.

მატარებელი ნელა, ბორბლების ხრჭიალით დაიძრა, თანდათან უმატა სიჩქარეს და მალე გასცდა რიონის სადგურს. ჯარლო ვახტანგს გადაეხვია. ამდენი ნერვიულობით დაქანცული, წინაღამით უძინარი ბიჭები თივაზე მიწვნენ და მკვდრებივით ჩაეძინათ.

შტაბის დანარჩენი წევრები იმავე ეშელონის სხვა ვაგონებით მიდიოდნენ, მაგრამ ასეთი რბილი და სურნელოვანი საწოლი კი არა ჰქონდათ.

ახალ ათონამდე მშვიდობით იმგზავრეს. იქ კავკასიონის უღელტეხილებისაკენ მიმავალი ჯარების დიდი რაოდენობა იყო თავმოყრილი.

თითქოს მთელმა ქვეყანამ სამხედრო ფორმა ჩაიცვაო. შორიდან ასე გეგონებოდათ, ვეებერთელა, მომწვანო-ხაკისფერი მდინარე მოედინება ვაგზლის ტერიტორიაზეო.

ჭმუნვა, წუხილი, დარდი, — აი, რა ეწერა წითელარმიელთა სახეებზე.

ახლოს იყო მტერი. მის მიერ გამოვლილ ადგილზე, თითქოს ზღაპრულ ცეცხლისმფრქვეველ ურჩხულს გადაუვლიაო, იდგა გადამწვარი ველებისა და სახლების ნატისუსალი, ცრემლისა და სისხლის გუბეები. ეს ადამიანები კი, გუშინდელი მუშები, მასწავლებლები, ტრაქტორისტები, სტუდენტები, ამ ურჩხულთან შესარკინებლად მიდიოდნენ.

ბევრი მათგანი ჯერ კიდევ უხერხულად გრძნობდა თავს შეუჩვეველ სამხედრო ფორმაში.

ვაგზლის ტერიტორიაზე ხუთი ბიჭის გამოჩენა შეუმჩნეველი არ დარჩა პატრულს. ისინი დააკავეს.

უფროსმა პატრულმა, რომელსაც ოფიცრის ფორმა ეცვა და თვალის უპეები უძილობისაგან ჩაშავებოდა, დაკითხვა დაიწყო:

— ვინა ხართ? საიდან მოდიხართ, სად მიდიხართ? — მონოტონურად ჩაილაპარაკა მან და დაღლილი თვალები ჭერს მიაპყრო.

ხუთეულიდან მარტო ვახტანგ ქანთარიას ეცვა ნახევრადსამხედრო ფორმა — მამის დანატოვარი ფარაჯიდან გადაკეთებული მწვანე ქურთუკი, გიმნასტურა და ჩექმები...

ვახტანგი ოფიცერს გაეჭიმა და სხაპასხუპით მოახსენა:

— პოდპოლკოვნიკ სმირნოვის პოლკიდან ვართ, მუსიკოსთა ოცეულის მუსიკოსები.

ოფიცერს რატომღაც საეჭვოდ არ მოსჩვენებია ვახტანგის სიტყვები. მესამე დღეს ხუთეულმა მიაღწია 394-ე მსროლელთა დივიზიის ზურგის ქვედანაყოფამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა

— კოვა, შენთვის ახალი ამბავი მაქვს, — მხარზე ხელი დაჰკრა ვახტანგს სერჟანტმა ახუნდოვმა, — საარტილერიო პოლკის მზვერავთა ჯგუფში გიპირებენ გადაყვანას. მორჩა კარტოფილის ფცქვნა და ჰურჭლის რეცხვა. ჰა, თანახმა ხარ?

ვახტანგმა, რომელსაც პოლკში ვოვას ეძახდნენ, სიხარულისაგან, „ვაშა“ შესძახა და ახუნდოვს გადაეხვია...

იგი ხომ მზვერაობაზე ოცნებობდა!

...საარტილერიო პოლკის მზვერავთა ბლინდაჟში ახალი შევსება მივიდა.

ცხვირაპრეხილი, თაფლისფერთვალება, მზემოკიდებული ქართველი ბიჭი მზვერავებმა სიყვარულით მიიღეს.

— აბა, მოგვახსენე, ვინ ხარ და საიდან? — ღიმილით მიმართა უფროსმა ლეიტენანტმა ნიკოლოზ რჟევსკიმ.

— ჯარისკაცი ვახტანგ ქანთარია... — დაიწყო მხედრულად გაჭიმულმა ვახტანგმა, მაგრამ ლეიტენანტმა შეაწყვეტინა.

— ქანთარია?

— დიახ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო.

— შემთხვევით, დივიზიის უფროსის ნათესავი ხომ არა ხარ?

— არ ვიცნობ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, — მიუგო ყურებამდე გაწითლებულმა ვახტანგმა და დააშტერდა თავისი ჩექმის ცხვირს.

— კეთილი, მოეწყვეთ, დაისვენეთ. ორ საათზე მეცადინეობა გვაქვს, — თქვა რჟევსკიმ და ბლინდაჟიდან გავიდა.

მთებში მკაცრი ზამთარი იცის. ღამით ყინავს. სუსხიანი ქარი ძვალსა და რბილში ატანს...

პირქუში კავკასიონი მწარე ფიქრს მისცემია.

ყავებში დაჭრილები კვნესიან.

ბლინდაჟში მყოფი დივიზიის მეთაური, პოდპოლკოვნიკი ივანე ქანთარია ახალგარანდული ფიცრებით შეპენდილ მაგიდაზე გაშლილ რუკაზე რალაცას ინიშნავს.

— უფროს ლეიტენანტ რჟევსკის გამოუძახეთ, — გასძახა ვანომ ადიუტანტს.

მალე რჟევსკი დივიზიის მეთაურის წინაშე იდგა.

— აი, ეს პაკეტი წინა ხაზზე გათენებამდე უნდა მივიდეს. მზვერავებიდან ვის ანდობთ შესრულებას?

რჟევსკი წამით ჩაფიქრდა, მერე დივიზიის უფროსს თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

— ახმედ ახუნდოვის ორთვალათი გავგზავნი ჯარისკაც ქანთარიას...

დივიზიის უფროსი გაციებული იყო და ახველებდა. ხველამ სწორედ ლეიტენანტის ბოლო სიტყვებზე მოუსწრო და ვერ გაარჩია მზვერავის გვარი.

— გაიმეორეთ!

— ჯარისკაც ქანთარიას, ამხანაგო დივიზიის მეთაურო. ახალია, მაგრამ საზრიანი და მოხერხებული ბიჭი ჩანს... პოლკის შვილობილია.

— დიდი ხანია მზვერავთა ჯგუფშია?

— არა, ამხანაგო დივიზიის მეთაურო...

— მდა... — ერთი წუთით დაიბნა მეთაური. — მომგვარეთ ჯარისკაცი ქანთარია! — ბრძანა მან.

რჟევსკი სწრაფად გავიდა.

ორიოდე წუთის შემდეგ ბლინდაჟის კარზე მორიდებული კაკუნი გაისმა.

დივიზიის მეთაური უცნაურმა მღელვარებამ აიტანა. „ვინ უნდა იყოს? — ფიქრობდა ის. — ერთიც ვნახოთ და... შეუძლებელია. არა, რომ იყოს? სისულელეა. ერთი თვის წინ წერილი მივიღე...“

— შემოდით, — გასძახა მღელვარებისა და გრიპისაგან ჩახლეჩილი ხმით.

შემოსულის დანახვაზე დივიზიის მეთაურის სახე წამით მოწმენდილცას დაემსგავსა. მერე შუბლი შეიკრა და ნელი ნაბიჯით ვახტანგისკენ წავიდა.

შორს აფეთქების ხმა გაისმა. დივიზიის მეთაური შეჩვეული იყო უყმბარების აფეთქებას და აინუნშიც არ აგდებდა, მაგრამ ახლა შეკრთა, შვილს წინ შეჩერდა და... სილა გააწნა.

მერე ხელში აიტაცა და გულში ჩაიკრა.

ბლინდაჟში შემოსული პოლკის მეთაური ნიჟარაძე გაოცებული შედგა კარის ზღურბლთან.

ვანომ ვახტანგი ძირს დაუშვა და ნიჟარაძეს მიუბრუნდა:

— ჩემი ვაჟია.

შემდეგ ვახტანგს მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— საომრად ჩამოხვედი? კეთილი, კეთილი. ერთად ვიბრძოლოთ.

ვახტანგს, რომელიც თვალმოუშორებლად უცქერდა მამას, არ გამოპარვია, რომ ეს ბოლო სიტყვები მამამ რალაც შეცვლილი კილოთი წარმოთქვა.

ღამე გაიცრიცა.

მამა-შვილს არ ეძინა.

მამა დარწმუნდა, რომ ვახტანგს ნებით ვერ დაიყოლიებდა შინ დაბრუნებაზე.

ძალით გაგზავნიდა, მაგრამ შვილის ნათქვამმა ერთმა ფრაზამ — „მაინც გავიპარებიო“, დააფიქრა. „მართლა ასე იზამს და სხვაგან მოხვედრას, ისევ ჩემთან იყოს, ისა სჯობს“, — გაიფიქრა ვანომ და, გათენდა თუ არა, მეუღლეს წერილი მისწერა: „ვახტანგი ჩემთან არის, ნუ გეშინია...“

— ყოჩაღ, ვოვა, — შეაქო უფროსმა ლეიტენანტმა რჟევსკიმ ვახტანგი. როცა სროლაში მისი ვარჯიშის შედეგი შეამოწმა. — მხოლოდ ერთი ააცდინე მიზანს.

ვახტანგი სიამოვნებისაგან გაიბადრა და მამის ნაჩუქარ „სიმსონის“ მარკის რევოლვერს სიყვარულით ხელი გადაუსვა.

ახლო, ძალიან ახლო იყო ძტერთან პირისპირ შეყრის დღე. პოლკში კი მეცადინეობა არ წყდებოდა.

რჟევსკი პირტიტველა ჯარისკაცებს ასწავლიდა ხელყუმბარის მარჯვედ ტყორცნას, საცეცხლე პოზიციებისა და სათვალთვალო პუნქტების მოხერხებულად შერჩევას...

მალე ვახტანგი რჟევსკის ყველაზე საყვარელი მოწაფე გახდა.

„ხშირად ბრძოლის ბედი დამოკიდებულია მზვერავის მოხერხებულობასა და სიყოჩაღეზე“, — ეუბნებოდა რჟევსკი მზვერავებს და თან ათასგვარ ეპიზოდებს უყვებოდა მზვერავთა ცხოვრებიდან. არავინ იცოდა, მართლა შეემთხვა ეს თვითონ მას და მის ჯარისკაცებს, თუ ისე, სახელდახელოდ იგონებდა ნათქვამის საილუსტრაციოდ...

ზოგჯერ ის მოსალოდნელი სიტუაციის მოდელს ჰქმნიდა და აიძულებდა მზვერავებს ეძებნათ და სწრაფად ეპოვათ მდგომარეობიდან გამოსავალი.

ომამდე რჟევსკი მათემატიკას ასწავლიდა საშუალო სკოლაში და ახლა პედაგოგიურ საქმიანობას მოწყურებული შესვენების წუთებში ვახტანგს ესაუბრებოდა:

— უსწავლელი არ უნდა დარჩე. ომს რომ ვოვიგებთ, სწავლა უნდა განაგრძო. მანამდე კი შენი ამხანაგები ისე წავლენ წინ, რომ ველარც დაეწევი. რაც გისწავლია, ის მაინც არ დაივიწყო.

ყოველი შეხვედრისას რეევსკი პლანშეტიდან იღებდა პატარა ქაღალდს ამოსახსნელი მაგალითით და ვახტანგს ეუბნებოდა:

— აბა, მზვერავო, ამოხსენი!

პირველი საბრძოლო დავალება

ვახტანგმა დავალება ნაშუადღევს მიიღო: შებინდებისას მზვერავ მიტრიჩთან ერთად უნდა დადგომოდა გზას ცეცხლის ხაზისაკენ. ყველაფერი გათენებამდე უნდა შესრულებულიყო.

მთებში სროლის შორეული ექო გუგუნებდა.

— ძმაო, ვოვა, აქამდე არაგვიშავდა-რა, აქედან კი ფრთხილად უნდა ვიყოთ. თუ რამე მოხდა, პაკეტი ქუდის სარჩულზე მაქვს გამოკერებული. უნდა იარო მხოლოდ ჩრდილოეთისაკენ. გაიგე?

— რა უნდა მოხდეს, ხვალ სადილობისას უკვე ჩვენს ნაწილში ვიქნებით, — მიუგო ვახტანგმა შეცვლილი ხმით.

საარტილერიო კანონადა თანდათან ძლიერდებოდა.

მზვერავებმა ხოხვით განაგრძეს სვლა. ვახტანგი მსუბუქად მიიწევდა წინ. უფრო მსუქანი და დიხჯი მიტრიჩი კი ქშენით მიჰყვებოდა.

უცებ მიტრიჩი ჩექმაში ჩააფრინდა ვახტანგს.

— სდექ!

ვახტანგმა გაოცებით მოხედა.

— რა მოხდა? — ჩურჩულით იკითხა.

— შეხედე, თუნუქის ფურცელზე რაღაც სწერია.

ორ ჯუჯა ბუჩქს შორის სარზე დამაგრებული წარწერა იუწყებოდა: „დანაღმულია“.

— შენ აქ დაიცადე, — თქვა მიტრიჩმა, — იმ ბორცვამდე რომ მივალ, თეთრ ცხვირსახოცს დაგიქნევ და ჩემს კვალს გამოჰყევი. იცოდე, არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, არც ერთი სანტიმეტრი აქეთ-იქეთ! — დაცვარული შუბლი სახელოთი მოიწმინდა, გამშრალი ტუჩები ენით გაისველა და ბუჩქებს შორის გაძვრა.

გატრუნული ბიჭი ერთხანს დაძაბული მისჩერებოდა სიბნელეს, რომელშიც ჟღალწვერა მიტრიჩი გაუჩინარდა.

ის-ის იყო დააპირა, რაღას მოვუცადო, მოდი, ნელ-ნელა მიტრიჩის კვალს გავყვები და დროს მოვიგებო, რომ უეცრად ჰაერში ავარდნილმა ცეცხლის ტალღამ და აფეთქების ხმამ იქაურობა შეაზანზარა.

ვახტანგს ეგონა, თავი წამძვრაო. მერე ფეხები დაუმძიმდა... ფრთხილად ააძოძრავა ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა ფეხი. ტკივილი არ უგრძვნია, მხოლოდ ქუსლში რაღაცამ უჩხვლიტა.

„ალბათ ჩექმაში ლურსმანი ამოძვრა, რა დროს ეს იყო!“ — და როცა ამას ფიქრობდა, უცებ საშინელმა აზრმა ფეხზე წამოახტუნა:

— მიტრიჩ! — დაიღრიალა მან, — მიტრიჩ! მიტრიჩ!..

ხმა არავინ გასცა. კვლავ აგრიალდა არტილერია.

და აი, ბიჭი მარტო დარჩა ღამესთან, საარტილერიო კანონადასა და დანაღმულ მინდორთან. პირში მწარე გემო იგრძნო, თვალზე ცრემლი მოადგა.

„რა ვქნა ახლა? დავალება? პაკეტი?“

„დავალება გათენებამდე უნდა შესრულდეს“, — გაახსენდა რეევსკის სიტყვები. მერე მამის სახე დაუდგა თვალწინ, შინ დაბრუნებას რომ ეხვეწებოდა, შემდეგ ბიჭები — თავისი შტაბის წევრები — და ფიცი: „სიძნელის გამო არ ვიწუწუნებთ!“

„არა, დაყოვნება არ შეიძლება. უნდა ვიმოქმედო“.

ფრთხილად გახოხდა ბუჩქებს შორის, უფრო მარჯვნივ დაადგა გზას. მოზომილად შლიდა მკლავებს და მიწას ჯერ კიდევ გაუუხეშებელი თითის წვერებით ისე სინჯავდა, თითქოს ეფერებაო

„თუ ბორცვამდე მივაღწიე, იქეთ უფრო ადვილად წავალ, გორაკებს ამოვეფარები“. მიწას ლოყით გაეკრა. უცებ საიდანღაც ნიავმა ომბალოს სუნი მოიტანა, სოფელში ბაბუასთან ახალ ტყემალს რომ უდიოდა ხოლმე. ამან პატარა მზვერავი ოდნავ დაამშვიდა...

მინდორი თითქმის გავლილი ჰქონდა, როცა გაახსენდა: „კი მაგრამ, პაკეტი? რა მინდა შტაბში უპაკეტოდ!“

პაკეტი ქუდში მაქვს ჩაკერებულიო, — ასე უთხრა მიტრიჩმა, მაგრამ სადაა ქუდი?

უკანვე გამოხოხდა და იმ ორმოსკენ აიღო გეზი, რომელიც ნაღმის აფეთქებამ გააჩინა და ჯერ კიდევ ხრჩოლავდა.

ორმოსაგან რამდენიმე მეტრიღა აშორებდა, როცა ხელში რაღაც მოხვდა.

„ქუდი! — გაუელვა თავში, — მიტრიჩის ქუდი!“ — სწრაფად მო-

სინჯა სარჩული. პაკეტის სიმაგრე შეიგრძნო. ქუდი უბეში ჩაიტენა და კვლავ მოცურავესავით გაშალა მკლავები, რათა სწრაფად გაცლოდა ამ ადგილს...

ვახტანგის გმირობაზე იმსჯელეს ნაწილის კომკავშირის ღია კრებაზე. სიტყვა რუევსკიმ აიღო და დაწვრილებით უამბო კომკავშირელებს, რა ძნელი დავალება შეასრულა მისმა აღსაზრდელმა ნორჩმა მზვერავმა. „მაგალითი ვოვასაგან უნდა აიღოთ!“ — ასე დაამთავრა სიტყვა.

ვახტანგი ოდნავღა კოჭლობდა (იმ ღამით ქუსლში ნაღმის პაწაწინა ნამსხვრევი მოხვედროდა), სრულ ჩექმაში ბამბა ჰქონდა დატანებული. მამა წარბშეკრული დადიოდა და შვილთან პირისპირ შეყრას თითქოს გაურბოდა.

მხოლოდ მისმა ადიუტანტმა იცოდა, რომ მთელი ღამე, როცა ვახტანგი დავალების შესასრულებლად იყო წასული, დივიზიის მეთაური გაუხდელი იჯდა ხის საწოლზე და ყოველ გაფაჩუნებაზე ბალღივით კრთებოდა ეს გოლიათური აღნაგობის უშიშარი მეთაური.

წერილი ფრონტიდან

ელენე მასწავლებელი ძალიან გაოცდა, როცა მოსწავლეთა აღტაცებული ჯგუფი საკლასო ოთახის კარებთან დახვდა.

— მასწავლებელო, ვახტანგ ქანთარიას წერილია ფრონტიდან.

ბარათი ხელიდან ხელში გადადიოდა და უკვე საკმაოდ გაცრეცილიყო.

ელენე მასწავლებელმა სათვალე გაიკეთა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

„გამარჯობათ, საყვარელო მასწავლებლებო და ამხანაგებო!

გაიგებდით, რომ ჩვენ ფრონტზე გავიპარეთ. სხვადასხვა ნაწილებში მოვხვდით. მე ახლა მზვერავთა ჯგუფში ვარ და უკვე რამდენიმე დავალება შევასრულე.

ამხანაგებთან ერთად ერთი „მოენეც“ მოვგვარე შტაბს. ფრიცს ძალიან გაუკვირდა, როცა ჩემზე უთხრეს, ამან შეგიპყროო. სულ „მაინ გოდ. მაინ გოდ, დას ისტ აინ კინდერ“, — გაიძახოდა.

— მერე, შე დოყლაპიავ, „კინდერიც“ რომ გჯობნით, ვეღარ დაანებებთ ომს თავსო? — უთხრა ჩვენმა ლეიტენანტმა.

— ჰერ ოფიცერ, არც მე მინდა ომი, შინ სამი ასეთი „კინდერი“ მყავს, მაგრამ, რა ვქნათ, გვაიძულებენ, — მოისაწყლა თავი მოენემ და ყველაფერი ჩამოყაჭა, რაც იცოდა.

კედლის გაზეთში წერილი მომიძღვნეს — „ნორჩი მზვერავის გმირობა“ ერქვა. ნაწილში ჩვენი ტოლები არ არიან, მხოლოდ მუსიკოსთა ოცეულშია ჩემზე ორი წლით უფროსი მესაყვირე, კოსტია ვეტრაგონი.

აქ, როცა დრო მაქვს, ცოტ-ცოტას ვმეცადინეობ.

კინაღამ დამავიწყდა, რომ ერთი დავალების შესრულების დროს ნაღმის ნამსხვრევი მომხვდა ფეხში. ჯერ კიდევ გველის ბრძოლები. ჯერ კიდევ შორია ბერლინამდე. მე კი ფიცი მაქვს დადებული, რომ ყელსახვევი ბერლინში გავიკეთო... მომწერეთ ჩვენი კლასის ამბები ამ საველე ფოსტის ნომერზე.

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

ყველას გართმევთ ხელს.

თქვენი **ვახტანგ ქანთარია.**

პოლკის შვილობილი“.

მესამე დღეს ეს წერილი, ვახტანგის პატარა სურათთან ერთად მოათავსეს სკოლის კედლის გაზეთში — „მტერზე გამარჯვებისათვის“. რედაქციამ წერილს ასეთი მინაწერი გაუკეთა:

„ჩვენი ამხანაგი ფრონტზე იბრძვის. საუკეთესო სწავლითა და შრომით ვუპასუხებთ მის წერილს“.

ბიჭებმა ვახტანგს სათითაოდ გაუგზავნეს წერილი. მაგრამ ვახტანგის ბარათი კარგა ხანს არ ჩანდა.

ბოლოს, ფოსტალიონმა, რომელსაც ბიჭები ყოველდღე ეკითხებოდნენ: ჩვენი კლასის სახელზე წერილი ხომ არ გაქვთო, ჩანთა გახსნა და აჟრიამულებულ ბავშვებს სამკუთხა ბარათი გადასცა. ამ ბარათით კლასმა ვახტანგის ამდენი ხნის დუმილის მიზეზი გაიგო.

1943 წლის გაზაფხულზე ვახტანგის მამა, პოდპოლკოვნიკი ივანე ქანთარია, კავკასიის ფრონტზე დივიზიას მეთაურობდა. ვახტანგი კი მზვერავის ოსტატობას სწავლობდა სახელმოხვეჭილი მეომრებისაგან — შოთა შალამბერიძისა და ვიქტორ ვასილევისაგან, რომლებიც ომის დაწყებამდე სტუდენტები იყვნენ. ახლა შოთა შალამბერიძის სურათი მოსკოვში, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მუზეუმში, კავკასიის გმირ დამცველთა სურათებს შორისაა.

1943 წლის აპრილი იდგა, იმედის გაზაფხული. ჩვენი ჯარები წარმატებით უტევდნენ მტერს ყუბანში, ყირიმში, უკრაინაში.

ვახტანგი დაზვერვის მეთაურის მიწურში იჯდა და რაღაცას წერდა.

მიწურში აღელვებული მზვერავი შემოვიდა. მეთაური წამოდგა და პატაკის მოსასმენად მოემზადა. „ბაგრამ მზვერავი პატაკს აგვიანებდა და ვახტანგისკენ იცქირებოდა.

— მომახსენეთ! — მკაცრად თქვა მეთაურმა. — რას უდგეხართ, ენა ხომ არ გადაგიყლაპავთ!

მზვერავმა მოახსენა, რომ დივიზიის უფროსი დაჭრეს სათვალთვალო პუნქტზე.

ვახტანგს თვალები აუცრემლდა, კალამი ხელში გაუქვავდა...

დაზვერვის მეთაურიც წუთით დაიბნა. შემდეგ მანქანა მოითხოვა და ვახტანგს უთხრა: წავიდეთო.

შტაბთან იმ დროს მივიდნენ, როცა ნაღმის ნამსხვრევით ფეხში დაჭრილი დივიზიის მეთაური საკაცით სანიტარულ მანქანაში შეჰყავდათ.

ივანე ქანთარიამ ექიმს უბრძანა, — წამიყვანეთ სანიტარულ ნაწილში. დაზვერვის მეთაურს კი დაავალა — ვახტანგი ზურგში გაგზავნეთო.

ტკივილებისაგან გაფითრებულ მამას შვილმა ვერაფერი შეჰბედა.

მეორე დილით ვახტანგ ქანთარია არმიის შტაბისკენ მიმავალ გზას გაუყენეს.

ჩრდილო კავკასიის ფრონტის ზურგში ვახტანგი და მძღოლი ერთმანეთს გამოეთხოვნენ. ბიჭმა კი ისევ ფრონტისკენ გასწია.

ვახტანგი სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში დამხმარე სანიტრად გაამწესეს. მას ევალებოდა საკაცეების და მედიკამენტების ზიდვა, დაჭრილებით სავსე მანქანების გაგზავნა საჭირო მიმართულებით. მაგრამ უკვე გამოცდილმა მზვერავმა ეს საქმე თავისი მხედრული ღირსებისთვის შეუფერებლად ჩათვალა და კვლავ ცეცხლის ხაზისკენ აიღო გეზი. გარეგნულად ახლა ნამდვილ ჯარისკაცს ჰგავდა...

გზაზე წააწყდა დონბასისკენ მიმავალ დიდ კოლონას და ერთ-ერთი მანქანის მძღოლმა ჩაისვა კაბინაში. ასე მოხვდა ვახტანგ ქანთარია უკრაინის მეორე ფრონტის მსროლელთა დივიზიის მზვერავებთან, დივიზიისა, რომელსაც ვახტანგის მამის უახლოესი მეგობარი პოლკოვნიკი ნიკოლოზ თავართქილაძე მეთაურობდა.

ვახტანგი თავს უხერხულად გრძნობდა და არ უნდოდა გამოცნაურებოდა დივიზიის მეთაურს, რომელიც პატარაობისას ჰყავდა ნანახი. მაგრამ თვითონ დივიზიის მეთაური დაინტერესდა ქართველი ბიჭის ვინაობით.

— მაშ ქართველი ხარ? — ქართულად ჰკითხა თავართქილაძემ ვახტანგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, ამხანაგო მეთაურო, პოლკოვნიკ ივანე ქანთარიას შვილი ვარ. როცა მამა დაიჭრა, მაიორს უბრძანა — ზურგში გაგზავნეთო. მაგრამ, გზიდან ისევ ფრონტზე დავბრუნდი. შეიძლება, ცუდად მოვიქეცი, მამის ბრძანება რომ არ შევასრულე, მაგრამ სხვაგვარად არ შემეძლო, ამხანაგებისათვის სიტყვა მაქვს მიცემული გამარჯვებამდე ვებრძოლო მტერს. მას შემდეგ მამაზე არაფერი გამიგია.

— მამაშენი მეზობელ ფრონტზე იბრძვის, 253-ე მსროლელთა დივიზიას მეთაურობს. შენც გინდა იომო? უყურე შენ, რა ვაჟკაცი გაუზრდია ვანოს! შენი ძმა სადღაა?

— შინ არის.

— უფროსი რომელი ხართ?

— უფროსი ის არის, ამხანაგო მეთაურო.

— უყურე შენ! თამარმა თუ იცის შენი ადგილსამყოფელი?

— ახალი ჯერ არა.

— კარგი, ბიძიკო, კარგი, ძე მივწერ შენს ამბავს. ჩემთან იქნები მეკავშირედ.

— არის, ამხანაგო მეთაურო.

მას შემდეგ დივიზიის მეთაური მამობრივ მზრუნველობას არ აკლებდა ვახტანგს.

ერთხელ კომუტატორიდან აღელვებული მეკავშირე მოვიდა.

— ვოვა, შენზეა ლაპარაკი, — დივიზიის მეთაური მეზობელ ფრონტს ესაუბრება.

... — ჩემთან იყოს, — ამშვიდებდა ვახტანგის მამას ნიკოლოზ თავართქილაძე. — ბიჭი შტაბში უყვართ, უკვე გამოწრთობილი მებრძოლია. — ფიქრი ნუ გექნება, ვახტანგს ოფიცრად გავზრდი.

...ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლიდან ახლა სხვა საველე ფოსტის მისამართზე გზავნიდნენ წერილებს ბიჭები, კოლექტიურად და ცალცალკე.

დივიზიის

თვალი და ყური

საბჭოთა არმიის მიერ გათავისუფლებულ ქალაქებსა და სოფლებს ახალ-ახალი სახელები ემატება. დივიზია, სადაც ვახტანგ ქანთარია მზვერავად და მეკავშირედ მუშაობს, სულ უფრო და უფრო დაჯერებულად მიიწევს წინ.

ვახტანგმა სიმაღლეში მოიმატა. ხმა ოდნავ დაუბოხდა. გამხდარ, მზემოკიდებულ სახეს იშვიათად გაუხათებს ღიმილი. მაგრამ როცა იცინის, ისევ ბავშვია, ლოყები ეჩვრიტება; ხოლო როცა წარბშეკრული და ტუჩებმოკუმული მიაბიჯებს ომის ძნელ, დამქანცველ გზებზე, როცა გათავისუფლებულ სოფლებში ფაშისტების მიერ ჩადენილი მხეცობის მოწმე ხდება, მის თვალებში მოზრდილი კაცის მრისხანება ჩანს...

დივიზია წინ მიიწევს და ამ წინსვლაში დაზვერვა — ქვედანაყოფის თვალი და ყური — დიდ როლს ასრულებს.

...მდინარის ერთ ნაპირზე ჩვენები არიან გამაგრებული, მეორეზე — ფაშისტები. ჯგუფმა დავალება მიიღო — დაზვეროს მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები და ხელთ იგდოს „მოენე“.

მზვერავთა მეთაურმა დავალებები გაანაწილა. ყველაზე ყურადღებიანი და ფრთხილი ბიჭები მოთვალთვალეებად შეარჩია. მათ შორისაა ვახტანგიც. მათ უნდა უზრუნველყონ კავშირი მეთვალყურეებსა და დაზვერვის ჯგუფის სხვა მონაწილეთა შორის.

წვიმამ თითქოს გადაიფიქრაო, არა და არ მოდის. ტყვიისფერი ძძიმე ღრუბლები არ იძვრიან.

— არ მოდის და ნუ მოდის. აბა, ბიჭებო, დავიძრათ. — თქვა მეთაურმა.

ორი მებრძოლი ძეწნებისაკენ წავიდა, იქ წინასწარ ჰქონდათ გადამალული მებადურის ძველი ნავი, ფრთხილად მოხსნეს პალოდან და ის-ის იყო წყალში უნდა შეეცურებინათ, რომ ერთი ძლიერად დაიგრუხუნა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

— რაღად გვინდა ეს ნავი, ამ დროს წყალში უფრო თბილა, — იხუმრა ერთმა მზვერავმა.

რის ვაი-ვაგლახით გადალახეს მდინარე.

ვახტანგი და ერთი ტანმორჩილი ჯარისკაცი, რომელსაც იმის გამო, რომ საუკეთესოდ უსტვენდა და გვარადაც სკვორცოვი იყო, „შოშიას“ ეძახდნენ, წინ გაძვრნენ. სხვები შეჩერდნენ და დაძაბულად მიუგდეს ყური სიჩუმეს.



ათიოდე წუთის შემდეგ ქარს მოჰყვა „შოშიას“ სუსტი სტვენა, რაც ნიშნავდა: „ყურადღება, ამყვანი ჯგუფი ჩემკენ“.

ჯგუფის მეთაურმა აშკარად მოჰკრა ყური ტალახში ჩექმის ჭყაპუნს.

„გუშაგები არიან, — გაუელვა თავში და ამყვანებს ხელით ანიშნა: ერთმა მარცხნიდან, მეორემ მარჯვნიდან მოუარეთ, უხმაუროდ“.

რამდენიმე წუთიც და მიწაზე გაწვენილ შეშინებულ გერმანელ ჯარისკაცს ვახტანგი პირში ცხვირსახოცს უტენიდა...

„მოენე“ შტაბს ჩაბარეს.

ჯგუფს მადლობა და 24 საათის დასვენება გამოუცხადეს.

ბალიშზე თავის დადებისთანავე ვახტანგს ჩაეძინა. სიზმარი ნახა: ქუთაისში, თეთრი ხიდიდან ხტებოდნენ წყალში მისი თანაკლასელები. ის თვალებდაჭყეტილი, ქერათმიანი, დიდყურა გერმანელიც მათთან იყო, მაგრამ თეთრი ხიდიდან გადახტომას ვერ ბედავდა.

„მიდი, მიდი“, — ამხნევებდნენ ბიჭები, მაგრამ შეშინებული ფრიცი უკან-უკან იხევდა.

მაშინ კარლო ჩიხლაძემ ხელი ჰკრა ფრიცს და მდინარეში გადააგდო.

— იქნება ცურვა არ იცის და დაიხრჩოს, — უცებ საიდანღაც გაჩნდა ლიდა მასწავლებელი.

— დაიხრჩოს მერე, — ბრაზიანად თქვა კარლომ.

— იქნებ ცურვა არ იცის, მაგრამ მოცარტია ან ბეთჰოვენი, — შენიშნა ლიდა მასწავლებელმა და სათვალე შუბლზე აიწია.

— თუ ბეთჰოვენია, დაეტიოს თავის ქვეყანაში, — დაიყვირა ვახტანგმა.

— ქანთარია! — მკაცრად თქვა მასწავლებელმა.

— ქანთარია, ქანთარია, გაიღვიძე! — შეანჯღრია ვახტანგი „შოშიამ“ და ყურში ჩასტვინა.

ვახტანგი დაფეთებული წამოხტა.

— მომილოცავს, — გაუცინა „შოშიამ“, — მომილოცავს, ვოვა, მთავრობის ჯილდოზე ხარ წარდგენილი...

●

ამხანაგებისადმი მიცემული ფიცის ერთგული ვახტანგ ქანთარია მხნედ მიაბიჯებდა ომის გზებზე. მის მკერდზე უკვე ორი საბრძოლო მედალი და გვარდიელის ნიშანი კიაფობდა.

როცა ომი

მთავრდებოდა

ომმა მტრის ტერიტორიაზე გადაინაცვლა. სამშობლოს მიწას აღარ თელავდა ფაშისტთა მძიმე ჩექმები.

უკვე ახლო იყო ბერლინამდე. ვახტანგი ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს, რაც გერმანიის მიწაზე ხდებოდა. 23 თებერვალს, სწორედ საბჭოთა არმიის შექმნის დღეს, ერთი რაიონი გაათავისუფლეს ფაშისტებისგან. ერთი შენობის სარდაფიდან გამხდარი გერმანელი ბავშვები ამოიყვანეს. ისინი შიშით შეჰყურებდნენ შაშხანიან მებრძოლებს, ერთმანეთს ხელს არ უშვებდნენ.

უფროსი გოგონა, პატარებს რომ პატრონობდა, ვახტანგის კბილა იყო.

— ვოვა, მოდი აქ, — მოუხმო ლეიტენანტმა ვახტანგს, — ჰკითხე ერთი, ვინ არიან.

ვახტანგი გერმანულში უკვე ცოტა გაწაფული იყო და უბრალო დაკითხვის ჩატარება შეეძლო.

— რა გქვია? — ჰკითხა მან უფროს გოგონას.

— გრეტხენი. ესენი ჩემი და-ძმებია, მარტა და კლაუსი. რაც დედა მოგვიკვდა, მას შემდეგ ამ სარდაფში ვიმალებით. დიდი ხანია მშივრები ვართ.

— შიათ, ამხანაგო ლეიტენანტო, —თარგმნა ვახტანგმა გრეტხენის ნათქვამი.

რამდენიმე მებრძოლმა მყისვე ზურგჩანთა გახსნა. ყველას „შოშიამ“ დაასწრო და ჭვავის პურის მოზრდილი ყუა და ოთხი ნატეხი შაქარი გაუწოდა ბავშვებს.

გრეტხენმა ჩაიმუხლა და მადლობა გადაუხადა — „ბატონ ოფიცერს“ და „ბატონ ჯარისკაცებს“.

შემდეგ პური ორ ნაწილად გაჭყო და ორ-ორ ნატეხ შაქართან ერთად ბავშვებს მიაწოდა.

ლეიტენანტმა ბრძანა, ბავშვები სამზარეულოში წაეყვანათ, წვნიანითა და ტკბილი ჩაით გამასპინძლებოდნენ, შემდეგ კი სანიტარულ ნაწილში გაეგზავნათ.

— ერთბაშად ბევრი არ ჭამონ, ნაშიმშილევი არიან, — დააბარა ვახტანგს.

ის-ის იყო ბავშვები დანაყრდნენ, რომ ოთახში „შოშიამ“ შემოიხედა და ვახტანგს დაუძახა:

— ვოვა, გენერალი გიბარებს.

ვახტანგი სწრაფად წამოდგა, ხალათი გაისწორა და ჩქარი ნაბიჯით გასწია გენერლის შტაბ-ბინისაკენ.

„ალბათ რაიმეა დასახატი არმიის დღის აღსანიშნავად“, — გაიფიქრა და კარზე დააკაკუნა.

— შემოდით, — მკირე პაუზის შემდეგ გაისმა გენერლის ხმა.

— ჯარისკაცი ქანთარია თქვენი ბრძანებისამებრ...

— მოდი აქ, ვახტანგ, მოდი, შვილო, შენ მეომარი ხარ და ამ ამბავსაც ისე ვაკაცურად უნდა შეხვდე, როგორც ნამდვილ მეომარს შეეფერის... მამაშენი დღეს, საავიაციო დაბომბვის დროს, ქალაქ გუბენში...

შემდეგ ვახტანგს აღარ ესმოდა, რას ლაპარაკობდა ნიკოლოზ თავართქილაძე, როგორ ეფერებოდა და ამხნევებდა.

გონს მხოლოდ მაშინ მოეგო, როცა გენერალმა თქვა:

— მანქანა გამოძახებული მყავს, ნახევარ საათში წავალთ.

ვახტანგი არ ტიროდა, მოწყვეტილი იჯდა მანქანის უკანა სავარძელზე ორ ოფიცერს შორის. ფიქრობდა: „ნეტა ისე გადმოვიდოდე მანქანიდან, ფეხები არ მომეკეცოს და არ დავეცე“.

სანამ ქალაქ გუბენამდე მივიდოდნენ, ვახტანგმა მამასთან გატარებული ომისწინა ზაფხული გაიხსენა.

რამდენი რამ შეიცვალა მას შემდეგ, თუმცა კი ომობანას თამაშიდან ნამდვილ ომამდე არც ისე დიდი დრო იყო გასული.

დედა და ოთარი ქუთაისში არიან და არ იციან, რა უბედურება დაატყდათ თავს.

დედა!..

ვინ ეტყვის მას ვანოს სიკვდილს. სულ ერთია, დედა არ დაიჯერებს.

ვანო ქანთარია თუთიის კუბოში იწვა. მას თანამებრძოლი გვარდიელები ასაფლავებდნენ ნაწილისა და ქვედანაყოფების გაშლილი დროშებით. ოფიცრები და ჯარისკაცები მის კუბოსთან ფიცს სდებდნენ, რომ დაუნდობლად იძიებდნენ შურს დივიზიის მეთაურისათვის.

ვახტანგი მისჩერებოდა მამის მაღალშუბლა, ლამაზ სახეს და თითქოს ესმოდა მისი ბუბუნა ხმა:

„სამშობლოს თავისუფლების გარეშე, შვილო, არ არსებობს პირადი ბედნიერება. ამიტომ შენი ვალი ბოლომდე კაცურად უნდა მოიხადო. სხვა შენს მაგიერ ვერც იბრძოლებს და ვერც იცხოვრებს“...

ყელსახვევი

რაიხსტაგთან

1945 წლის გაზაფხული იყო.

ვახტანგი სულ უფრო ხშირად სინჯავდა ზურგჩანთის ძირში სათუთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახვეულ ყელსახვევს. ახსოვდა პირობა, რომელიც გულში ჩაიბეჭდა და თანაკლასელებსაც მისწერა: გამარჯვების დღეს რაიხსტაგთან ყელსახვევი უნდა გავიკეთოო.

ეს ნანატრი დღე ახლოვდებოდა. თანდათან მცირდებოდა მანძილი რაიხსტაგამდე. უკვე ბერლინის გარეუბანში იდგნენ.

პოლიტხელმა ვახტანგს სთხოვა:

— რადისტებთან მიდი და, თუ რაიმეა მოსული, წერილები ან გაზეთები, მოიტანე.

ვახტანგი დახურულ მანქანასთან მივიდა და ახალგაზრდა რადისტ ქალიშვილებს ხმამაღლა მიესალმა.

— ჩუ, ჩუმად! — ანიშნა ცხვირპაჭუა, ჭორფლიანმა ტანეჩკამ, რომელსაც სახეზე ალმური ასდიოდა და ქაღალდზე რაღაცას გამალებით იწერდა.

— „შროშანა“, „შროშანა“, გაიმეორეთ, გაიმეორეთ, გადავდივარ მიღებაზე, გადავდივარ მიღებაზე.

ვახტანგი მანქანის კართან იდგა და ტანეჩკას ცნობისმოყვარე თვალებით მისჩერებოდა.

„რა ხდება ნეტავ“, — გაიფიქრა და იქით დააპირა წასვლა, სადაც წერილებსა და დეპეშებს იხახავდნენ რადისტები, მაგრამ უცებ ტანეჩკამ საყურისები მოიგლიჯა და გარეთ გავარდა:

— ვაშა, ამხანაგებო, გამარჯვებაა, გამარჯვება! ვაშა!

ტანია ხელში აიტაცეს. მებრძოლები ერთმანეთს ეხვეოდნენ, იცეხოდნენ, ყვიროდნენ, თოფს ისროდნენ...

საღამოს ვახტანგს ნიკოლოზ თავართქილაძესთან უხმეს.

— ვახტანგ, შვილო, მე და მამაშენმა ერთმანეთს სიტყვა მივეცით: გამარჯვების დღეს რაიხსტაგთან შევხვედროდით, ხოლო თუ რომელიმეს რაიმე შეგვემთხვეოდა, ცოცხლად დარჩენილს უნდა ეზრუნა დაღუპულის ოჯახზე.

მე და შენ ხვალ რაიხსტაგთან ვიქნებით.

რაც შეეხება შენს მომავალს, ამაზე მაშინ ვილაპარაკებთ, როცა საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატს მომიტან. მერე კიდევ, დედასაც ხომ უნდა მოვეთათბიროთ! ისე, შენ მაინც გული საით უფრო მიგიწევს?

— უმაღლეს საარტილერიო სასწავლებელში მინდა შესვლა, ამხანაგო გენერალო. ჩემი სკოლის დირექტორი მითვლის: უსათუოდ შენს კლასს დაგაწევ და სკოლას მათთან ერთად დაამთავრებ, რადგან გაცდენას საპატიო მიზეზად გითვლიო.

გენერალს გაეცინა:

— მართალია შენი დირექტორი, ეს ოთხი წელი საპატიო გაცდენად ჩაგეთვლება. შენთან ერთად მგონი, სხვებიც გაიპარნენ ფრონტზე. რა იცი მათზე?

— ხუთნი ვიყავით. გივი ქსანდოპულო ფეხში დაჭრილა და ზურგში გაუგზავნიათ. კარლო ჩიხლაძეც სოხუმის ჰოსპიტალში მოხვდა. ლიონია კაზაკოვი უკრაინის პირველ ფრონტზე იბრძოდა, ისიც მზვერავად დაუჯილდოებიათ მედლით „მამაცობისათვის“. ხოლო ვოლოდია სმირნოვი ნოვოროსიისკის, სევასტოპოლისა და ოდესის განთავისუფლებაში მონაწილეობდა და „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით დააჯილდოვეს. ასე რომ, ფიცი არც ერთს არ გაგვიტეხნია, ამხანაგო გენერალო.

— ყოჩაღ, ბიჭებო, არწივები დაუზრდიხართ სკოლას.

— ვემსახურებით საბჭოთა კავშირს! — თავისი შტაბის წევრების მაგივრადაც უპასუხა გენერალს ვახტანგ ქანთარიამ და ქებაზე ყაყაჩოსავით გაწითლდა.

•

მზიანი იყო ის დაუვიწყარი დღე. ცაზე ღრუბლის ფთილაც კი არ ჩანდა. სიხარულით აღტყინებულ ჯარისკაცებს აევსო რაიხსტაგის შემოგარენი.

ვახტანგი ხარბად ათვალიერებდა ჭურვებით დანგრეული შენობის კედლებსა და სვეტებს.

ჯერ შორიდან უცქირა, მერე მოზეიმე ჯარისკაცების წრე გაარღვია და ფართო კიბესთან შეჩერდა.

მიმოიხედა, ხალათის ჯიბიდან ფრთხილად ამოიღო ალისფერი ყელსახვევი, სათუთად გაშალა და გაიკეთა.

გაზაფხულის ნიავმა ფრთა აჭკრა მსუბუქ ყელსახვევს და ააფრიალა. რუხ, მწვანე, დამტვერილი ფარაჯებისა და ფრენჩების ფონზე სისხლის წვეთივით დაჩნდა ყელსახვევი. ვახტანგს იქვე ჯგუფად მდგომმა ჯარისკაცებმა მოხედეს და გაუღიმეს.

•



თავართქილაძემ შორიდანვე იცნო ვახტანგი და მანქანაში მიიხმო.

— ხუთი წუთი მომეცით, ამხანაგო გენერალო, აქ პატარა საქმე მაქვს.

ვახტანგმა შარვლის ჯიბეში ფანქრის ნარჩენი მოიქექა. წვერი წასტეხოდა. კბილებით გადაღრღნა იგი და, როცა ფანქრის გული გამოჩნდა, ფეხის წვერებზე შემდგარმა კედელს მიაწერა: „ქანთარია“. მერე წამით დაფიქრდა და წარწერა ასე გადააკეთა: „მამა-შვილი ივანე და ვახტანგ ქანთარიები საქართველოდან“.

ვახტანგმა ყელსახვევის წვერით მოიწმინდა ცრემლი და გენერლის მანქანისკენ წავიდა...

დღეიდან ვახტანგ ქანთარია ბშვიდობიან ცხოვრებას იწყებდა.

ბაეჯრალი ვიოლინო

ედიშერ გიორგაძე

მართალი ზღაპარი

მხატვარი ჯ. ლოლუა.

ეზო

მზე ჩადიოდა. მომრგვალებულ მოედანზე მდგარი, კრამიტით დახურული სახლის სახურავი წითლად ენთო. ეს. იყო პატარა, ძველებური ხის სახლი, ასეთივე პატარა და მყუდრო ეზოთი, რომელსაც მზის ჩასვლის ჟამს ჩრდილები ფარავდა. ამ დროს მეზობელი სახლების ეზოებში ჯერ კიდევ სინათლე იდგა. აქ კი უკვე თითქმის ბნელოდა და ეს ყოველთვის სევდას ჰგვრიდა ხოლმე გაცვეთილ, მაგრამ მყარსა და საოცრად საყვარელ, სამსაფეხურიან ხის კიბეზე ჩამომჯდარ ბიჭს.

წყნარი ეზო იყო. მცხოვრებნიც მშვიდნი იყვნენ და უბოროტონი: შავთმიანი ბუღალტერი, მუდამ დაღლილი გვიან რომ ბრუნდებოდა სამუშაოდან და არასოდეს კი არ იმჩნევდა დაღლას, სახე არ ჩამოსტიროდა; პენსიაზე გასული მოხუცი, გემთმშენებელი, მაკეტებითა და ნახატებით გავსილ ოთახში მობინადრე და-ძმა სტუდენტები, დღენიადაგ წიგნებში თავჩარგულნი, დროდადრო რომ ოხუნჯობდნენ და იცინოდნენ, ხმამაღლა მღეროდნენ: ძველი თავადის ასული ელენა მიხაილოვნა, რომელსაც სამხატვრო გალერეის მაგვარი, ნახატებითა და ფოტოსურათებით გავსებული ოთახი ჰქონდა, და, რომელიც გამუდმებით ეწეოდა პაპიროსს.

მარტოოდენ ერთი მეზობელი ერიათ უვარგისი, ავყია. არავისი არაფერი სწამდა, მართალსა და მტყუანს არ არჩევდა.

დღისით უფროსები გაკრეფილები იყვნენ სამუშაოზე. ბავშვები ალაყაფის კარებთან თამაშით ერთობოდნენ. სათნოებით დიდებსა ჰგვანდნენ. ცელქები კი იყვნენ, მაგრამ ვაგლახად არაფერს აფუჭებდნენ.

საღამოთი მობრუნდებოდნენ უფროსები, ერთმანეთს გადაელაპარაკებოდნენ, ახალ ამბებს ეტყოდნენ. ელენა მიხაილოვნა გადმოდგებოდა აივანზე, პაპიროსს გააბოლებდა. მთელ ეზოს თბილად მოედებოდა კვამლის ქულები — სასიკეთო ფიქრები — და ეზოში საოცრად კეთილმყოფელური განწყობილებით განიფინებოდა.

აი, ასეთ ეზოში ცხოვრობდა პატარა ბიჭი. იჯდა ახლა იგი აივანს მიშენებულ, სამსაფეხურიან, გადაცვეთილ და საოცრად სასიამო კიბეზე და მისჩერებოდა ასეთ მომცრო სახლისათვის უჩვეულოდ დიდი ალაყაფის კარებს. მზე ჩადიოდა.

აქლემი

ბიჭი შემობრუნდა და თავისი ოთახის ფანჯრის რაფაზე სათამაშო აქლემი დალანდა. რახანია არ ენახა ეს აქლემი. არც აქლემი, არც სპილო, არც სხვა სათამაშოები. გამქრალიყვნენ, წასულიყვნენ სადღაც. ახლა კი აქლემი რაღაც სასწაულით მობრუნებულიყო უკან. ძველ ალაგას, ფანჯრის რაფაზე აღმართულიყო ძველებურად.

ბიჭს ისე გაუხარდა, ტანში სიმსუბუქე იგრძნო და ერთხანს არც გაინძრა, აქლემი ისევ არ გაქრესო.

მამა

ბიჭს რუხკოსტუმიანი მამა ჰყავდა. გამუდმებით რუხი კოსტიუმი ეცვა. მკაცრი იყო. მოფერება და ალერსი მაინცდამაინც არ უყვარდა, მაგრამ ისეთი ამბების მოყოლა იცოდა, ისეთი წიგნები და სათამაშოები მოჰქონდა, რომ ბიჭი თავად იქცა მოყვარულ არსებად. მას შეუყვარდა ყოველივე — სულიერიცა და უსულოც, მგარამ სხვაგვარად, სულ სხვაგვარად შეუყვარდა ყოველივე. მან იცოდა, რას ფიქრობდა საღამოს მარტოდ დარჩენილი მწვანე მინდორი, როცა ბიჭები ფეხბურთის თამაშს მიატოვებდნენ; იცოდა, რას ფიქრობდა ტოტებჩამომტვრეული ხე; წყლის ფიქრიც იცოდა და ჩიტებისაც. დიდ სიკეთეზე ფიქრობდნენ ყველა ესენი მარტოდ ყოფნისას. ბიჭს ესმოდა მათი ენა და ეს ენა მამამ გაანდო და ასწავლა ბიჭს.

თავი მოებრუნებინა ახლა, დაძაბული მისჩერებოდა ფანჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის რაფაზე დაყუდებულ აქლემს. ეშინოდა არ გამქრალიყო, მაგრამ აქლემი ძველებურად იდგა და არსადაც არ აპირებდა წასვლას.

ჩიტი გალიაში

ბაზარსა და ქუჩის კუთხეებში ხშირად ენახა ბიჭს, როგორ ყიდდნენ კოხტა გალიებში ჩამწყვდეულ ჩიტებს. მამას სულ ეხვეწებოდა, მიყიდეო. უყიდდა ხოლმე მამაც, ოღონდ იმ პირობით, შინ მიყვანისთანავე უნდა გაეშვა. აიმედებდა, ისევ დაბრუნდებიანო. ჰაერში გაფრთხიალებული ჩიტები მართლაც არ მიდიოდნენ პირველად შორს. ჯერ მეორე სართულის აივანს მიაშურებდნენ, მერე სახურავს. აფრინდებოდნენ, ისევ დასხდებოდნენ, ბოლოს მოსწყინდებოდათ ესა და შორს გაჰკრავდნენ ნავარდს.

ბიჭმა იცოდა, რომ ასე მოხდებოდა, სწყინდა კიდეც ჩიტების გაშვება, მაგრამ მაინც ყოველთვის ათავისუფლებდა.

მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ...

მამამ უცნაური ჩიტი მოიყვანა. სხვადასხვაფერად აჭრელებული. ღაბუა ჩიტი ძალიან ლამაზი, მედიდური, თანაც სასაცილო იყო. გალიის კარი გაუღეს. გრილი ამინდი იდგა, სადაც იყო აცივდებოდა. ნაშუადღევს სასწაული მოხდა — ჩიტი დაბრუნდა უკან.

ეს ღაბუა ჩიტი ახლაც გალიაში იჯდა გაფუებული, როცა უნდოდა, გაფრინდებოდა, მობრუნებით კი აუცილებლად მობრუნდებოდა უკან. ცოტას წაიბორიალებდა ოთახში, მერე კი შედიოდა კარღია გალიაში.

ფეხსაცმელები

აივანზე ყოველთვის ეწყო ორი წყვილი ყელიანი ფეხსაცმელი. ერთი წყვილი ბაცი წითელი ფერისა იყო, მეორე კი — მუქი. ძალიან უყვარდა ბიჭს ეს შეცვეთილი ყელიანი ფეხსაცმელები. ბაცი წითელი ფერისას იცვამდა ხოლმე, როცა კარგ გუნებაზე იყო. მაგრამ მოწყენაც იცოდა საოცარი. მაშინ შავი ფერისას ირჩევდა. ეს ფერები შეითვისა და შეისისხლხორცა ბიჭმა და ზიზღით უცქერდა ყავისფერს, განურჩეველ გუნებაზე აყენებდა რატომღაც ეს ფერი.

მუქი ფეხსაცმელი ეცვა ახლა. და იჯდა სამსაფეხურიან, საოცრად სასიამო ხის კიბეზე, ყოველთვის რომ რბილიც იყო და თბილიც თითქოსდა.

მზე ჩადიოდა.

სათამაშოები

უამრავი სათამაშო ჰქონდა: ლომები, სპილო, ზედ წამომჯდარი მაჰაუტით. ფარშავანგები, კურდღლები, თვითმფრინავები, სახლებისა და სრა სასახლეების საშენებელი კუბიკები. ყველა ესენი ერთნაირად უყვარდა ბიჭს. მას ხომ ესმოდა სათამაშოების ენა, სათამაშოებსაც ესმოდათ მისი და ერთად აშენებდნენ ზღაპრულ ქვეყანას. ყველა უყვარდა მას ცოცხალი არსებებივით, იმ მართლაც თითქოსდა ცოცხალი ბურთივით, რომელიც ოთახის ვერც ერთ კუთხეში ვერ ისვენებდა, ვერ ჩერდებოდა და მუდამ აგორებული იყო.

იანკო მუსიკოსი

ერთ დღეს მამამ მწერლის მიერ მშვენივრად დაწერილი მოთხრობა მოუტანა — „იანკო მუსიკოსი". იანკო მწყემსის შვილი იყო, თავადაც მწყემსავდა საქონელს. სალამურის დაკვრა უყვარდა და სიმღერა. სტვენით თურმე ბულბულის ჰანგებსაც კი იმეორებდა, — ყვებოდა მწერალი. სალამურებს თლიდა იანკო და უბადლო დამკვრელად ითვლებოდა მშობლიურ კუთხეში.

მებატონეს იანკოს კბილა შვილი ჰყავდა, ზულუქი, უჟმური ხასიათისა. მამას ჰგავდა. მამა-შვილი მარტოოდენ იმით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რომ ერთი დიდი იყო, მეორე — პატარა.

მუსიკას ასწავლიდნენ ძალით. საუცხოო ვიოლინო ჰქონდა, იტალიელი ოსტატის ნაკეთი და, რამდენადაც დიდებული იყო ვიოლინო, იმდენად უგერგილოდ უკრავდა მებატონის შვილი.

იანკო თვალს ვერ სწყვეტდა საკრავს. შესაფერი ხე იშოვა. საქონლის ძარღვები გაუბა და ამ საკრავზე სოფელში გაგონილ და თავის მიერ შეთხზულ ჰანგებს უკრავდა. სმენად იქცეოდნენ ხოლმე სოფლელები.

ერთი ოცნება ჰქონდა იანკოს: ხელში ჩაეგდო როგორმე, ერთხელ მაინც მოეკიდა ხელი ნამდვილ საკრავისათვის.

და აი, ერთხელ მებატონესთან დაიბარეს საქმეზე. ტალანში აცდევინეს. მებატონის შვილის ოთახი ღია იყო და კედელზე ლაპლაპებდა იტალიელი ოსტატის მიერ უზადოდ ნაკეთები ვიოლინო. იანკომ დრო იხელთა, ოთახში შეიპარა და ვიოლინო ჩამოხსნა. ათვალიერა და ესიყვარულა დიდხანს. მერე თავი ვეღარ შეიკავა და ქამანი ჩამოუსვა. ზღაპრულად აჟღერდა ვიოლინო იანკოს ხელში და მანაც თავისი საყვარელი სევდიანი ჰანგები მოჰფინა იქაურობას.

მსახურები შემოცვივდნენ ოთახში, წაართვეს იანკოს ვიოლინო და ბიჭი ბატონთან შეათრიეს.

გაროზგეთო უწყალოდ, ბრძანა ბატონმა.

იწვა უღმერთოდ ნაცემი იანკო სოფლის განაპირას მდგარ ჩამორღვეულ მწყემსურ ბოსელში მარტოდმარტო. სისხლს ანთხევდა პირიდან. მაინც ბედნიერი კვდებოდა. ერთხელ ხომ აუხდა ნატვრა.

ბიჭმა ისე განიცადა ეს ამბავი, ხურვება დაეწყო.

ყოველივე ეს რომ შეიტყო, მამამ ნამდვილი, მბზინავი ვიოლინო მოუტანა, მერე თავის მეგობართან, ძველ მევიოლინესთან წაიყვანა და მალე ბიჭი დაუმეგობრდა და დაეუფლა საკრავთა მეფეს.

ანზორი

ანზორი მეზობელ ეზოში ცხოვრობდა. ბრაზით აღსავსე დაქროდა დღენიადაგ ქუჩაში. ერთი სურვილი, ერთი ნდომა ჰქონდა მხოლოდ: ოღონდ რაიმე წაეხდინა. შურდულიც ჰქონდა, ჯოხიც, თვითნაკეთი დანაც, ქვასაც ისროდა ხელით. ამტვრევდა და ამსხვრევდა სათამაშოებსაც. ქარივით დაქროდა ქუჩაში.

ქარი იყო თითქოსდა თავადაც. ქარი — რაინდი. და ბიჭიც შენატროდა მას.

აგერა ვაჟკაცი და ჩაუქი, შენ კი ელოლიავე მაგ სათამაშოებსო, — ჩამოსძახებდა ხოლმე ავყია მეზობელიც. და ბიჭს მოესურვა ქარად ქცეულიყო თავადაც. დაერია სათამაშოებს. მაიმუნს მაჯიდან საათი ააგლიჯა, ვირს — ხურჯინი, აქლემს

კუზი გაუმრუდა, ბურთი ხან სად ისროლა დასაკარგავად, ხან სად. დაერია ყველა სათამაშოს და თავისი ადგილიდან ოდნავ გადმოხრილ ვიოლინოსაც კი ფეხი ჰკრა.

ლტოლვილნი

და ერთ დღეს ყველა სათამაშო გაქრა, უკვალოდ გადაიკარგა სადღაც. გაქრა აქლემი, გაქრა ავტომობილი, მიწამ ჩაყლაპა ძაღლები თითქოს; გეგონებოდა, სპილო თავისი მაჰაუტით ჰაერში აორთქლდაო. ბურთი შემორჩა ადგილზე მცირე ხანს. ერთგული იყო ბიჭისა ძალზე. ბიჭმა ხან სახურავზე ააგდო, ხან სად ისროლა, ხან სად. ბურთმა ბევრი იწვალა. ძირს ჩამოგორდა კრამიტებიდან, მერე წყალსადენ მილს ძლივს დააღწია თავი, მაგრამ ბიჭი აღარ მოეშვა და ბოლოს ბურთიც მიჰყვა სხვა სათამაშოებს.

ვიოლინომ ჯერ დაკვრა შეწყვიტა, აღარ ემორჩილებოდა მფლობელს, ბიჭმა ეს აინუნშიც არ ჩააგდო; მერე ბუდე ცარიელი დახვდა. ვიოლინო ბუდიდან ამოეღო ვიღაცას.

ჩიტიც გაქრა ერთ დღეს, ჭრელი ფრთოსანი, ყოველთვის რომ უბრუნდებოდა თავის საბუდარს, აღარ მოტრიალებულა უკან.

და ახლა კარღია გალია ცარიელი იდგა.

დარდი

ბიჭმა მოიწყინა, დადარდიანდა. ყოველ წუთსა და ყოველ წამს დარდობდა. უკურნებელი ნაღველი მოერია.

სენაკი

ვიწრო სენაკში ცხოვრობდა ფიქრიანი მოხუცი. თვალები სუფთა ჰქონდა და კრიალა, თმებიც სუფთა და თეთრი. ცხოვრობდა ვიწრო სენაკში და ფიქრობდა ბევრს, და მისი ფიქრი წვდებოდა ყველასა და ყოველს, რადგან ბრძენი ფიქრობდა მართლად.

დარდი

გაუთავებლად დარდობდა ბიჭი. კიბეზე ჩამომჯდარი ვეღარა გრძნობდა უკვე, რომ ეს სამსაფეხურიანი ხის კიბე საოცრად სასიამო და თითქოსდა ყოველთვის თბილი იყო.

შორითი გრძნობა

სათამაშოებმაც იგრძნეს შორით ესა და გული მოიბრუნეს ბიჭზე.

საღამოსეული მელოდია

იჯდა და დარდობდა მთელი დღე. საღამოობით, როცა მეზობელი სახლების ეზოებში ჯერ კიდევ სინათლე იდგა, აქაურობას მუქი ჩრდილები ფარავდნენ და მაშინ უფრო ერეოდა სევდა.

ახლა კი თავი მოებრუნებინა და გაოცებული მიჩერებოდა ფანჯრის რაფაზე ძველებურად ახვინულ აქლემს, მალულად აპარებდა თვალს, ეშინოდა არ გამქრალიყო, მაგრამ აქლემი, აშკარად ჩანდა, არსად აპირებდა წასვლას.

ბიჭი ადგა და ფეხაკრეფით შებრუნდა სახლში. დიდი ღიმილი ფარდაგივით მოფენილიყო ოთახში... ყველა სათამაშო თავის ალაგას იდგა. ლაშქაღრენილი ლომები ნებივრად გაწოლილიყვნენ, თავს აკანტურებდა სპილო, ზედ წამომჯდარი მაჰაუტით, კრისტალები და კუბიკები მზად იყვნენ აეგოთ ჯერ არნახული შენობა; დაბრუნებულიყო ბურთიც და მოუსვენრად გორავდა ოთახში.

გალიას შემოხედა ბიჭმა. კარღია გალია თითქმის მთლიანად გაევსო ღაბუა ჩიტს.

ყველა და ყველაფერი თავის ადგილას იყო და ბიჭი ახლა ვიოლინოსაკენ გაემართა.

როცა საგანი ქრება, ქრება უეცრივ, უგზო-უკვლოდ ქარდება და ცამტვერდება, თითქოს ასევე უეცრად, მოულოდნელად ბრუნდებიან საგნები უკან, ძველ ადგილს იკავებენ და ისე გამოიყურებიან, თითქოსდა იქ ყოფილიყვნენ მუდამჟამ.

აი, სწორედ ასეთი იერი ედო მბრწყინავი მუქი წითელი, ღვინისფერი ხისაგან გამოთლილ ვიოლინოს, ბუდეში რომ ესვენა.

ადგა ბიჭი, გულგადალეული მიუახლოვდა, კრძალვით აიღო ხელში, ქამანი ასწია და ჩამოუსვა. თვითონაც არ იცოდა, რას უკრავდა. უბრალოდ, მიჰყვა თავში უეცრივ მოქროლებულ პირველსავე ლამაზ ბგერას და გრძნეულად აჟღერდა ვიოლინო.

ნაზ სიმღერას მღეროდა და ამასთან ძალუმს, სევდიანსაცა და სიმხნევით აღსავსესაც. თავმინებებული იყო ნიავივით ეს სიმღერა და ბრძნულად დინჯიც.

მინებდა ბიჭი ამ მელოდიას და ვიოლინოც დაჰყვა მის ნებას. ახლომახლო სახლების ფანჯრები გაიღო და ხალხი აივანზე გადმოიშალა. უსმენდნენ და უნდოდათ გამუდმებით ესმინათ.

თვით ავყია მეზობელმაც გამოყო თავი და, ამ ბიჭისაგან უთუოდ დიდი მუსიკოსი დადგებაო, — იფიქრა თავისდაუნებურად.

გაღებული ფანჯრებიდან კი უსმენდნენ და უსმენდნენ. და ბიჭს უსაზღვროდ უნდოდა, რომ ესმინათ.

გათბა ქუჩა, სახლის კედლები და ძირს დაფენილი ქვებიც; კედლებს ჩამოეღვენთა უცხოდ ნამღერი, ჯერ არსმენილი მელოდია, ჰაერი შეირხა და განათდა.

მზეც შეჩერდა. მარადიულად მოძრავმა ცეცხლისფერმა მნათობმა ჩასვლა დააგვიანა და ამიტომაც, ამ გვიანობისას, დროჭამისაგან ჩამუქებული კრამიტით დახურული სახლის სახურავი კვლავ წითლად ენთო.

„ქართლის ცხოვრების“ ორი ხელნაწერი

სვიმონ გურიელმა მოკლა საკუთარი მამა, დაჯდა მთავრის ტახტზე და დაადგა არასასურველ პოლიტიკურ ხაზს, რის შედეგადაც სიძე-ცოლისძმას — სვიმონ გურიელსა და ლევან დადიანს დიდი უსიამოვნება მოუვიდათ. მათ შორის ჩამოვარდნილი მტრობა დამთავრდა შეიარაღებული შეტაკებით 1625 წელს ლანჩხუთის მახლობლად. აქ გამარჯვება დადიანს დარჩა. მან დაატყვევა და თვალები დასთხარა სვიმონ გურიელს, ხოლო თავისი და მარიამი მცირეწლოვან ვაუიშვილთან ოტიასთან ერთად უკან წაიყვანა სამეგრელოში.

●

1632 წელს ირანის შაჰმა ქართლის მეფედ დასვა ირანში აღზრდილი და გამაჰმადიანებული ქართველი ბატონიშვილი როსტომი. იმ დროს შაჰს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გამო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სამეგრელოს მთავართან. შაჰმა ისურვა, რომ როსტომს ცოლად შეერთო დადიანის და მარიამი. დაინიშნა ქორწილის დრო და ადგილი. პირობის თანახმად, ერთი მხრივ როსტომ მეფე, მეორე მხრივ კი ლევან დადიანი თავის დასთან ერთად დიდი ამალით უნდა წასულიყვნენ და ერთმანეთს შეხვედროდნენ იმერეთის განაპირას, საჩხერეიმოში. მაგრამ მათ განზრახვას წინ აღუდგა იმერეთის მეფე გიორგი, რომელიც მათდამი მტრულად იყო განწყობილი. რაკი გიორგიმ მაყრიონს გზა არ დაანება, მაშინ როსტომმა გადაწყვიტა შორიდან შემოევლო, მტკვრის ხეობას აჰყოლოდა და ზეკარის უღელტეხილით გადასულიყო ხანისწყლის ხეობაში, სადაც უნდა შეხვედროდა ლევან დადიანს.

დადიანს იმერეთის ერთი კუთხე მაინც უნდა გაევლო. ეს იცოდა გიორგი მეფემ და დიდი ლაშქრით დაიძრა მისთვის გზის მოსაჭრელად. დადიანსაც საკმაოდ დიდი ლაშქარი ახლდა თან. საქმე მივიდა შეიარაღებულ შეტაკებამდე. მაგრამ იმ დროს, როცა იმერეთის მეფე მცირე ამალით ქედზე ასულიყო, რომ მაღლით დაეზვერა მტრის ბანაკი, ეს შეუტყო დადიანმა, მოულოდნელად თავს დაესხა მეფეს და ტყვედ ჩაიგდო იგი.

ამის შემდეგ დადიანმა დაუბრკოლებლივ გაიარა დარჩენილი გზა, კაკას ხიდთან შეხვდა როსტომ მეფეს და ჩააბარა მას საცოლე.

ასე გახდა მარიამი ქართლის დედოფალი. მან ქართლში თან წამოიყვანა თავისი ვაუი ოტია. როსტომ მეფე უშვილო იყო და გერს შვილივით ზრდიდა. ოტია ქართლში დავაუკაცდა და ცოლად შეირთო ზაალ არაგვის ერისთავის ქალი, მაგრამ იგი ნაადრევად და მოულოდნელად გარდაიცვალა 1645 წელს. დასაფლავებულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.

ქართლის დედოფალი მარიამი განათლებული ქალი ყოფილა. მემატიანის სიტყვით, ის იყო „ყოვლითურთ შემკული კეთილითა, რომლისა მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ“. თავისი ქმრის ხელშეწყობით მარიამმა ქართლში დიდი მუშაობა გააჩაღა. მართალია, თვითონ როსტომ მეფე გამაჰმადიანებული იყო, მაგის ხელს უწყობდა დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენას, საქველმოქმედო და კულტურულ საქმიანობას, რასაც მისი მეუღლე მარიამი ეწეოდა. ამ დროს შეაკეთეს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი. სწორედ ამავე ხანებშია გადაწერილი „ქართლის ცხოვრების“ ძვირფასი ხელნაწერიც.

ეს სქელტანიანი და დიდი ზომის ხელნაწერი 932 გვერდს შეიცავს, ნაწერია მოსკოთ თეთრ ქაღალდზე ლამაზი მხედრული ხელით, ჩასმულია ტყავგადაკრული ხის ყდაში. შინაარსეულად იგი „ქართლის ცხოვრების“ ძველ ხელნაწერთა შორის ყველაზე სრულია და ყველაზე უკეთ არის დაცული, თუმცა ბოლო მასაც აკლია.

როგორც ქაღალდისა და ხელის ნახედვით ეტყობა, ხელნაწერის გადაწერაში სამი პირი მონაწილეობდა. მათგან ორი — გიორგი და რომანოზი — მინაწერებში იხსენიებს თავს, მესამის სახელი კი უცნობია.

როგორც ვიცით, მარიამი ქართლის დედოფალი გახდა 1633 წელს, ხოლო მისი ვაუი ოტია გარდაიცვალა 1645 წელს. რაკი ხელნაწერის გადაწერისას მარიამი ქართლის დედოფალია და ოტიაც ცოცხალია, აშკარაა, რომ ეს ძვირფასი ხელნაწერი გადაწერილია 1633-645 წლებს შორის.

ცხადია, მარიამმა ხელნაწერი თავისთვის გადააწერინა და, მაშასადამე, ის სამეფო სახლის კუთვნილება იყო. ეს ხელნაწერი უთუოდ ხშირად სჭერიათ ხელში ქართლის მეფეებსა და ბატონიშვილებს. მის ამიებზე მოთავსებულია ვახტანგ მეექვსის მინაწერები და რედაქციული ხასიათის შენიშვნები. იგი ხელთ ჰქონია ვახტანგს „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქციის შემზადების დროს.

ეს ხელნაწერი 1885 წელს აღმოაჩინა ცნობილმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ და მანვე დაიწყო მისი მეცნიერული შესწავლა. დ. ბაქრაძემ ხელნაწერი შესწირა იმ დროს ახლად დაარსებულ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომლის მუზეუმშიც ინახებოდა იგი დიდი ხნის განმავლობაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამ საზოგადოების სამუზეუმო სიძველენი გადაეცა სახელმწიფო მუზეუმს, შემდეგ კი ხელნაწერთა განყოფილება გამოეყო მუზეუმს და მათი მოვლა-პატრონობისათვის შეიქმნა სპეციალური ინსტიტუტი, სადაც ამჟამად დაცულია „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ხელნაწერიც.

●

1923 წლის მაისის ერთ დღეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წიგნთსაცავის გამგემ მ. შევარდნაძემ შესთავაზა ივანე ჯავახიშვილს, ხომ არ გნებავთ ერთი ქართული დიდტანიანი ხელნაწერი გადაათვალიეროთ, რომლის არც პატრონია ცნობილი და არც შინაარსი.

მუზეუმის ბიბლიოთეკაში, ჩვეულებრივ, ხელნაწერები არ ინახებოდა, ამიტომ ივანე ჯავახიშვილი არ მოელოდა, რომ რაიმე მნიშვნელოვან ხელნაწერთან ექნებოდა საქმე, მაგრამ, რასაკვირველია, უარი მაინც არ უთქვამს: ვნახოთ, ვინ იცის, რა არისო.

ხელნაწერი ზომითაც და სისქითაც უზარმაზარი იყო და უკვე ამითაც იპყრობდა ყურადღებას. ყდა დაზი-

სიმონ ყაუხჩიშვილი.

ანებული ჰქონდა და ყუა მოცილებული. ის აღმოჩნდა „ქართლის ცხოვრების“ მრავალმხრივ საინტერესო ხელნაწერი, რომელიც ამუამად ჭალაშვილისეულის სახელით არის ცნობილი.

ივანე ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ გადაწერის დროის თვალსაზრისით ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრება“ ორ ნაწილად იყოფა: ერთი ნაწილი, ქაღალდისა და ხელის მიხედვით, XVI საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება, მაგრამ იგი დაზიანებული და თავ-ბოლო-ნაკლული ყოფილა და შეუვსიათ XVIII საუკუნეში, 1731 წელს.

მეთექვსმეტე საუკუნეში გადაწერილ ძველ ხელნაწერს, როგორც ჩანს, ვახტანგ მეექვსის ხელში გამოუვლია. ვახტანგს უნდა ეკუთვნოდეს მის კიდეებზე მიწერილი რამდენიმე ლექსი. ფიქრობენ, რომ ხელნაწერი ვახტანგის პირად საკუთრებას შეადგენდა და მის ბიბლიოთეკაში ინახებოდა. 1724 წელს, როცა ქართლის სამეფო სახლი ვახტანგის მეთაურობით რუსეთში გადაიხვეწა, ეს ხელნაწერიც ალბათ სამეფო ბიბლიოთეკის სხვა წიგნებთან ერთად წაიღეს რუსეთში. იქ, საფიქრებელია, ვახტანგმა ეს წიგნი შესავსებად და სარესტავრაციოდ გადასცა თავის ერთ-ერთ თანამშრომელს ერაჯ ჭალაშვილს.

ერაჯ ჭალაშვილმა ხელნაწერის ნაკლული თავი და ბოლო შეავსო ვახტანგის ხელმძღვანელობით მომზადებული „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქციის მიხედვით. ამისათვის მას დასჭირვებია თავში 41 გვერდის დამატება, ბოლოში კი გაცილებით მეტისა (272 გვერდიდან).

ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილი, რომელიც XVI საუკუნეშია გადაწერილი, სხვათა შორის, შეიცავს თამარ მეფის ეპოქის ამსახველ თხზულებას, დაწერილს ბასილი ეზოსმოძღვრის მიერ. ეს თხზულება ამ ერთადერთი ხელნაწერით არის ცნობილი და ჭალაშვილის ნუსხას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. გარდა ამისა, ხელნაწერის ბოლო ნაწილიც, რომელიც ჭალაშვილის მიერ არის გადაწერილი, აქ მთლიანი სახით არის წარმოდგენილი, მაშინ როცა ამ ტექსტის შემცველი სხვა ხელნაწერები ნაკლულია. ერთი სიტყვით, ჭალაშვილისეული ნუსხა ფრიად საინტერესოა.

ხელნაწერის ერთ-ერთ მინაწერში ჭალაშვილი გვაუწყებს: „ესე მე ერაჯ ჭალაშვილს დამიწერია ესე წიგნი და რუსულადაც დავსწერე. ეს არს, რომელიც ითარგმნება რუსულისა ენითა: ღირს არს და ჭეშმარიტი, სწერია ეგე ქორონიკონი ჩ̃ღლ̃ა, თვესა ივლისსა კ̃თ. ერაჯ ჭალაშვილი დათუნას ძე არს“. იქვე რუსულადაც არის მიწერილი: «Герасим Давидыч Лесников — я писал сей книга». აქ ნახსენები თარიღი უდრის 1731 წლის 29 ივლისს. ამ დღეს დაუმთავრებია ჭალაშვილს ხელნაწერის გადანუსხვა.

ერაჯ ჭალაშვილს რუსულად წერაში ხელი კარგად ჰქონია გავარჯიშებული, რუსული ენა კი სუსტად სცოდნია, მაგრამ როგორც ჩანს, იმ დროს რუსულის ასეთი ცოდნაც დიდ ღირსებად ითვლებოდა ქართველ ემიგრანტთა შორის. ამიტომ ჭალაშვილი თავს იწონებს: რუსულადაც დავწერეო, და თავის სახელს, მამის სახელსა და გვარს გერასიმ დავიდიჩ ლესნიკოვად თარგმნის.

შემდგომში, 1740 წლის 30 აპრილს, ერაჯ ჭალაშვილს ვითარცა რიგით აზნაურს ვხედავთ პოლტავის ოლქში ქართველ ჰუსართა პოლკში დავით გურამიშვილთან, ელისე ქობულაშვილთან, ოთარ ერისთავთან და ფავლენიშვილებთან ერთად.

„ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილისეულ ხელნაწერს ვახუშტის ხელშიც გამოუვლია და სწავლულ ბატონიშვილს წიგნის კიდეებზე მიუწერია იმათი სახელები, ვის შესახებაც არის ტექსტში საუბარი, რათა ამ გზით მკითხველს შეშველებოდა და საჭირო ადგილის პოვნა გაეადვილებინა.

ხელნაწერის შემდგომი ბედი ერთხანებას უცნობია. არ ვიცით, ვინ და როდის ჩამოიტანა ის საქართველოში. ვიცით მხოლოდ, რომ 1871 წლის 21 მაისს ეს ხელნაწერი ვინმე გრიგოლ შადინოვს უჩუქნია ისტორიკოს პლატონ იოსელიანისთვის. შემდეგ ხელნაწერი როგორღაც საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკაში მოხვედრილა და, როგორც ვთქვით, ამ ბიბლიოთეკის გამგემ მ. შევარდნაძემ მიაქცევინა მასზე ყურადღება ივანე ჯავახიშვილს.

ერაჯ ჭალაშვილის მიერ „ქართლის ცხოვრების“ გადაწერის შემდეგ გაიარა სულ რამდენიმე წელმა და მოსკოვში შეამზადეს ამ ძეგლის კიდევ ერთი ხელნაწერიც. მისი გადამწერია გიორგი მაჩაბელი და ამიტომ მას მაჩაბლისეულ ნუსხას უწოდებენ.

ხელნაწერის ბოლოში მოთავსებული ანდერძი გვაუწყებს: „მე ფრიად ცოდვილმან გიორგი მაჩაბელმა დავწერე წმიდა ესე ქართლის ცხოვრება. დიაღ ძველი იყო, მეფის არჩილის ნაქონი. ამის მეტი არ ეწერა. მოსკოვის ქალაქს დაიწერა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდათექვსმეტს, 1736, დასაბამითგან შვიდი ათას ორას ორმოცდა ოთხს, 7244“.

ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერიდან ირკვევა, რომ გიორგი მაჩაბელი ქართლის სამეფოს მოხელის — ამირღაბარის შვილი ყოფილა. საერთოდ, მაჩაბლები ქართლში ცნობილი თავადები იყვნენ. ალბათ გიორგი მაჩაბელი, ვითარცა მეფის მოხელე და მასთან დაახლოებული პირი, თან გაჰყვა ვახტანგს რუსეთში ემიგრაციის დროს, 1724 წელს. იქ გადაუწერია მას „ქართლის ცხოვრება“ 1736 წელს. ეს ნუსხა განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ გადაწერილია არჩილ მეფის ნაქონი ხელნაწერიდან, რომელიც ფრიად ძველი ყოფილა. ეს ძველი ხელნაწერი, რომელიც დედნად ჰქონია მაჩაბელს, სიძველესთან ერთად ნაკლულიც ყოფილა: ამის მეტი არ ეწერაო, — ბოდიშობს გიორგი მაჩაბელი. ნაკლული თავი და ბოლო მაჩაბელს ერაჯ ჭალაშვილის მიერ გადაწერილი ნუსხის მიხედვით შეუვსია, მაგრამ იმ ნაწილში კი, რომელიც არჩილისეული ხელნაწერიდან გადმოუღია, არაფერი შეუცვლია. ამრიგად, ამ ნაწილში მაჩაბლისეული ხელნაწერი წარმოადგენს არჩილ მეფის ნაქონი „ქართლის ცხოვრების“ ძველი ხელნაწერის ასლს, რაც განსაკუთრებით ზრდის მის სამეცნიერო ღირებულებას.

მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრება“ 1761 წლის 24 სექტემბერს მოსკოვში უნახავს საქართველოდან ჩასულ წილკნელ ეპისკოპოსს ქრისტეფორეს, რომელსაც ხელნაწერის ერთ-ერთ აშიაზე ასეთი მინაწერი გაუკეთებია: „წელსა ჩ̃ღთ̃ა (1761)

სუკდენბრის კდ (24) მოველ საქართველოდამ სამეფოს ქალაქს მოსკოვს ჩვენ წილკნელი მიტროპოლიტი ქრისტეფორე, ძე მუხრანის ბატონის ლეონის. მაშინ ვიყავ წლისა მზ. (47)".

გასულა კიდევ რამდენიმე წელი და მოსკოვში ჩასულა კიდევ ერთი ქართველი ეპისკოპოსი — რუსთველი. მას „ქართლის ცხოვრების" ეს ხელნაწერი საქართველოში გამოუგზავნია. ამის თაობაზე ხელნაწერს ახლავს ასეთი მინაწერი: „ქ. ეს ქართლის ცხოვრება ბიძაჩემს რუსთაველს გამოეგზავნა რუსეთიდან. ამ წელს მოგვივიდა: ქორონიკონს ᲣᲗᲑ". აღნიშნული ქორონიკონი უდრის 1774 წელს.

საქართველოში ეს წიგნი ქართლ-კახეთის სამეფო სახლის საკუთრება გამხდარა, რასაც ადასტურებს მეფე ერეკლეს (პატარა კახის) ვაჟის — ალექსანდრე ბატონიშვილის ასეთი მინაწერი: „ბატონიშვილი ალექსანდრე გიბრძანებთ თქვენ, კანდელაკო გოგია! ვინც მოიპაროს ეს „ქართლის ცხოვრება", გაუწყრეს მას ღმერთი. ამინ და კირიელეისონ. წყალობითა ჯვარისათა ის არავინ მოიპაროს".

ეს ძვირფასი ხელნაწერი XVIII საუკუნის ბოლომდე საქართველოში ყოფილა, მაგრამ XIX საუკუნის დამდეგს მას ერთხელ კიდევ მოუწია რუსეთში დაბრუნება. ამჯერად იგი თან წაუღია პეტერბურგში გადასახლებულ იოანე ბატონიშვილს, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი მეცამეტის ვაუს, ერეკლე მეფის შვილიშვილს.

იოანე ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრება" იოანეს ბიბლიოთეკის სხვა ხელნაწერებთან ერთად პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში მოხვდა და ერთ საუკუნეზე მეტ ხანს იქ ინახებოდა. დაუბრუნდა საქართველოს 1923 წელს რუსეთში გატანილ სხვა ძვირფას ხელნაწერებთან ერთად.

„ქართლის ცხოვრების" „ერთ-ერთი ძველი ხელნაწერი მხოლოდ ამ ბოლო ხანებში გახდა ცნობილი. იგი 1959 წელს აღმოაჩინა ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა აკაკი კლიმიაშვილმა ზემო იმერეთის სოფელ პატარა ხონში მოქალაქე ოლღა მაჭავარიანის ოჯახში.



ჭბლაშვილისეული „ქართლის ცხოვრება"

ხელნაწერი ეკუთვნის XVII საუკუნის დამლევს, — გადაწერილია 1697 წელს, — მაგრამ გადაწერილია ძველი დედანიდან, რომელიც მცხეთის სვეტიცხოვლის წიგნთსაცავის საკუთრება ყოფილა.

სვეტიცხოვლის ტაძარში რომ „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერი ინახება, ეს ადრევე იყო ცნობილი 1546 წლით დათარიღებული ერთი საბუთის მიხედვით. ამ ხელნაწერს ახსენებდნენ აგრეთვე XVIII საუკუნის გადამწერლებიც, მაგრამ თვითონ ხელნაწერი აღარ ჩანდა და არც ის იყო ნათელი, თუ შინაარსის მხრივ როგორი იყო იგი. „ქართლის ცხოვრების" მცხეთური ხელნაწერი დღესაც არსად ჩანს. მაგრამ მაჭავარიანის ოჯახში აღმოჩენილმა ხელნაწერმა, რომელიც სწორედ მცხეთურის ასლს წარმოადგენს, შეავსო ეს ხარვეზი.

ახალაღმოჩენილი ხელნაწერის მიხედვით გამოირკვა, რომ მცხეთური „ქართლის ცხოვრება" შეიცავდა „მეფეთა ცხოვრებას", „ქართლის მოქცევას", „ვახტანგ გორგასალის ცხოვრებას", „არჩილის წამებას", „მატიანე ქართლისას", —დავითის ცხოვრებას", „ბაგრატონიანთა ცხოვრებას", თამარის ისტორიას („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი") და უამთააღმწერლის სახელით ცნობილ თხზულებას.

ხელნაწერი გადაწერილია მოსქო თეთრ ქაღალდზე საკმაოდ ლამაზი ხელით, წვრილი ნუსხა-ხუცური ასოებით. წიგნს ყდა აღარა აქვს და თავსა და ბოლოში რვეულებიც აკლია. მის ანდერძში ვკითხულობთ:

„მომენიჭა და მომემადლა სასურველი და საწადელი ეს ცხოვრება და ანბავი ყოვლისა ჩრდილოეთისა საქართველოსი და მოქცევა წმიდისა მეათცამეტე მოციქულისა ნინოს მიერ, ცხოვრება და შარავანდედობა მორწმუნეთა და კეთილად მსახურთა ღუთისათა ხოსროიანთა და პაკრატიონთა, ვითარ სუფევდნენ, ვითარ ძალედვათ, ვითარ იყოფებოდენ. მსუროდა და მწადდა. რათამცა ველად მომეღო ამბავი მათი და გარდამომენუსხა. არა იპოებოდა სანახებსა კახეთისასა, არამედ მცხეთის ოდენ ისხნეს ეკლესიასა შინა თავთა მოციქულთასა, სვეტსა ღუთივ აღმართებულსა, ახალსა იერუსალიმსა. სრულ იქმნა საწადელი ჩემი: მოვიხვენ და გარდავაწერინე ჩვენ, ყოვლად უღირსმან, მდაბალმან და არაკადნიერმან, მრუმედ მხედველმან და დრკუდ მავალმან, რეცა ხუცეს-მონაზონმან, რომელსა მომენიჭა უღირსად ეპისკოპოზობა და ველთ მედვა ზრუნვა უჯარმის კარს დიდებულისა და ცხოველისა ეკლესიისა წმიდისა სამებისა — ნიკოლოზს, ძესა მწიგნობართუხუცესისა იოანესა. რაოდენი ვპოვე, ანუ დედასა შიგან ეწერნეს, ყოველივე აღვაწერინე და მივართვით ღირსისა და ყოვლად სანატრელისა ამბა ალავერდელის ნიკოლოზის ძმას ჩოლოყაძეს, კეთილმორწმუნესა, რჯულსა ქრისტიანობისასა მტკიცედ მპყრობელსა, ღუთის მოშიშს, სამართალგამგეობით ქებულსა სახლთუხუცესს დურმიშხანს მას უამსა, ოდეს მეფედ ჯდა საქართველოს კახეთის მემკუიდრედ ველმწიფეთშვილი ერეკლე, ხოლო კახეთი ყეენს მიებოძა და განჯის ხანი მპყრობელობდა. დაიწერა დაბასა სამებისასა, ქრონიკონს ᲩᲞᲔ".

ველი და ქვები

ცხვარი ფარეხში შერეკეს, ქანცგაწყვეტილი ძაღლებიც დასასვენებლად მიეყარნენ, მწყემსი კი იქვე, ვეებერთელა თელის ძირას ჩამოჯდა და სალამური ააკვნესა.

სად იყო, სად არა, ფარეხთან მშიერი მგელი მოძუნძულდა — გადავიხედავ ფარაში, ვნახავ ერთი რა ხდებაო. იმ ფარაში ერთი სულმთლად გამოუცდელი კრავი ერია თურმე, თავის დღეში მხეცი არ ენახა და მგელს გულუბრყვილო საუბარი გაუბა:

— აქ რატომ მოხვედი, რა გინდა?

— იალაღის დასათვალიერებლად დავდივარ, ვეძებ, სად უფრო ქორფა ბალახია, შენც კარგად მოგეხსენება, ყვავილებით მოქარგულ, მწვანედ აბიბინებულ მდელოს და მოჩუხჩუხე ანკარა წყაროს ქვეყნად არაფერი შეედრება. ჰოდა, ქორფა ბალახსაც მივაგენი და კამკამა წყაროც აგერ, აქეე მოჩუხჩუხებს. ო, როგორ მიყვარს და რა დიდ პატივსა ვცემ ბრძენ ხალხს, რომლებიც გვიქადაგებენ მცირედი ვიკმაროთო, — მიუგო მგელმა.



— ნუთუ ხორცს არა ჭამ და მარტოოდენ ქორფა ბალახით კმაყოფილდები? — თუ ასეა, მოდი დავმეგობრდეთ და დღეიდან ბალახი ერთად ვძოვოთ, — უთხრა კრავმა, მერე ღობეს გადაევლო და მგელთან მიირბინა.

ქურდბაცაცასაც ეს უნდოდა, ეცა ახალგაცნობილ მეგობარს და იქვე გადაყლაპა.

ნურასოდეს დაუჯერებთ სიტყვამოქარგულსა და ენადათაფლულ კაცს. კაცი სიტყვით კი არა, საქმით იცნობა.

ველი და ველი

ერთ გლეხს ისეთი ვენახი ჰქონდა, ავთვალს არ ენახვებოდა. ვენახის ჰიჯნასთან უამრავი ქვა ეყარა, ქვებქვეშ კი ვეება გველი ცხოვრობდა. ერთხელ გლეხმა გველს მოჰკრა თვალი და იფიქრა, მოდი რამე სიკეთეს ვუზამო. მეორე დღეს ჯამით რძე მიიტანა და ქვების გროვასთან დადგა. თვითონ კი მიიმალა და თვალთვალი დაუწყო, ვნახო, რას იზამსო.

გველი ქვებიდან გამოძვრა, რძე ამოსვლიპა და ჯამზე ოქროს ფული დააგდო. მეორე დღესაც იგივე განმეორდა: კაცმა რძე მიუტანა, გველმა ამოსვლიპა და ჯამზე ოქროს ფული დააგდო. ასე გრძელდებოდა რამდენიმე წელიწადი.

ერთხელ გლეხმა თავის ბიჭს გველის ამბავი უთხრა. ვაჟს გაუხარდა და გველს მანაც წაუღო რძე. ვალში არც გველი დარჩენილა, ყოველდღე ჯამში თითო ოქროს ფულს უტოვებდა. კარგა ხანს გრძელდებოდა ასე. ერთ დღეს კი მევენახის შვილმა იფიქრა: ალბათ ამ ქვებში დიდძალი ოქროა ჩაფლული, მოდი, გველს მოვკლავ, ოქროს ხელში ჩავიგდებ და ყოველდღე რძის ზიდვაც აღარ დამჭირდებაო.

მეორე დღეს მევენახის ბიჭმა გველთან რძე წაიღო და თან ერთი კარგი ჯოხიც გაიყოლია. დადგა თუ არა ჯამი, გველი მყისვე გამოძვრა ქვებიდან და რძეს დაეწაფა. ბიჭი გველს მიეპარა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჯოხი დაჰკრა. მოკვლით ვერ მოკლა, კუდი კი წააწყვიტა. გაასპიტებულმა გველმა ბიჭი დაგესლა. იგი უცებ გასივდა და ძლივ-ძლივობით მილასლასებდა შინ. გლეხმა შვილი რომ ამ დღეში დაინახა, მიაძახა, რა ამბავია, ეს რა მოგსვლიაო. ამა-

---

ამ ანდერძიდან ირკვევა, რომ ხელნაწერის შემკვეთი ყოფილა სამების ეპისკოპოსი ნიკოლოზ სამებელი. სამების საყდარი გარეკახეთში, სოფელ ხაშმის მახლობლად მდებარეობს. ნიკოლოზი საკმაოდ განათლებული და კარგი მწიგნობარი ყოფილა, რასაც ადასტურებს მის მიერ „ქართლის ცხოვრების“ მოპოვების დიდი სურვილი და ცდა. მას ამ ძეგლის ხელნაწერი მთელ კახეთში რომ ვერსად უშოვია, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრიდან უნათხოვრებია და გადაუწერინებია 1697 წელს. ეპისკოპოსს ეს ხელნაწერი მიურთმევია კახთა მეფის ერეკლე პირველის სახლთუხუცეს დურმიშხან ჩოლოყაშვილისათვის.

ასეთია „ქართლის ცხოვრების“ ძველი, ვახტანგ მეექვსეზე ადრინდელი ხელნაწერების თავგადასავალი. არც ვახტანგის შემდგომდროინდელი ხელნაწერების ისტორიაა ინტერესს მოკლებული, მაგრამ ჩვენ ამჯერად მათზე საუბარს აღარ გამოვუდგებით. დაინტერესებულ მკითხველს მივუთითებთ მხოლოდ პროფესორ კონსტანტინე გრიგოლიას საყურადღებო წიგნზე — „რას მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება“, რომელიც ამ ორი წლის წინ გამოსცა „განათლებამ“. ამ წიგნის პირველი ნაწილი სწორედ „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორიას და ხელნაწერთა დახასიათებას ეძღვნება.

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ბოლო დროს გამოიცა ოთხ ტომად აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით.

ზურაბ ჭუმბურიძე.



ნაც უამბო რაც შეემთხვა. მევენახის ბიჭს ვერაფერი უშველეს. რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

ხანი რომ გავიდა, გლეხი წავიდა ვენახში. გველიც ქვებიდან გამოძვრა.

— მოდი, ისევ დავძმობილდეთ და ძველებურად ვიცხოვროთ, — უთხრა გლეხმა გველს.

გველი ჩაფიქრდა და მიუგო:

— არა, ჩვენი მეგობრობა აღარ იქნება: შენ შენს შვილს ვერ დაივიწყებ, მე კი — ჩემს დაკარგულ კუდს.

ჰოდა, ჩვენც ნურასოდეს დავივიწყებთ იმ შედეგს, რაც უგუნურ საქციელს შეიძლება მოჰყვეს.

წითელფარფლიანი თევზები

ორი პაწაწინა წითელფარფლება თევზი უდარდელად დასრიალებდა ღრმა მორევში.

— ფრთხილად, პატარებო, მორევიდან ფეხი არ გადგათ, ნაპირისკენ არ გასცეროთ, თორემ ერთი კაცი სათევზაოდ გამოსულა და მის ბადეში მოჰყვებით. — უთხრა მათ ბებერმა თევზმა.

წითელფარფლება თევზებმა ერთმანეთს გადახედეს, ჩაფიქრდნენ და უპასუხეს:

— ჩვენ არც ბადისა გვეშინია და არც სხვა რამისა!

— აბა, თქვენ იცით, ისე კი არ ქნათ, რომ მეთევზემ ვედროში ამოგაყოფინოთ თავი!



— არც ვედროსი გვეშინია, იქიდანაც ამოვხტებით...

— ვედროდან ამოხტომას ვინ დაგაცდით, მეთევზე სახლში წაგაბრძანებთ და ნაკვერცხალზე შეგწვავთ.

— ისეთი ყოჩაღები ვართ, არც ნაკვერცხლებისა გვეშინია, — თქვა ერთმა თევზმა.

— უმამაცესი თევზები ვართ, ამიტომაც გვაქვს წითელი ფარფლები — დასძინა მეორემ.

ეს იყო და ორთავემ ნაპირისკენ ჰკნა პირი. როგორც კი ღრმა მორევს გასცდნენ, მაშინვე ბადეში გაეხვივნენ. მეთევზემ ბადე წყლიდან ამოათრია, თევზები ვედროში ჩაყარა და შინისაკენ გააქცუნა. ცეცხლი გააღვივა, საცხაური დადო ზედ და წითელფარფლება თევზები დააწყო.

— შენ არ იყავი, რომ დაიჟინე, გინდა თუ არა მორევიდან გავცუროთო! — აწუწუნდა ერთი მათგანი, სულ შენი ბრალია, მეთევზემ რომ დაგვიჭირა! ახლა კი მივხვდი, ეს შენ გამომიტყუე და ბადეში მომამწყვდიე. თუ მართალს არ ვამბობ, მაშ შენ რაღატომ არ შემოგიწყო მეთევზემ გაღუზღუზებული ნაკვერცხლები?!

— ხმა ჩაიწყვიტე, შე მატყუარავ, შენა! — შეჰყვირა მეორემ, — განა ვერ ხედავ, რომ შენს ქვემოთ ნაკვერცხლები თითქმის ჩაფერფლილია! ისე იქცევი, ვითომ მართლა იწვოდე. შენთვის ხელი არავის უხლია და ნაკვერცხალზე ერთხელაც არავის გადაუბრუნებიხარ. შენ უთუოდ მოელაპარაკე იმ მეთევზეს, რომ მერე ისევ წყალში გაგიშვას, — მიუგო მეორე წითელფარფლებამ და სიმხურვალისაგან თვალები გაუთეთრდა.

ვიდრე ესენი ერთმანეთს ლანძღავდნენ, ცეცხლმა თავისი ქნა, — თევზები შეიბრაწნენ.

თარგმნა ნათელა არჯევანიძემ.

მხატვარი ბ. ფოცხიშვილი.

მზია ჩხეჭიანი

ეზოში

შემოჟივჟივდნენ სანახებში
ლურჯი წვიმები
და ყველა ფოთოლს
ჩამოჰკიდეს ვერცხლის ეჟვანი...
ხნულში ჯეჯილი აბოჟირდა —
კაცის იმედი,
თვალიც უხარის
და გულიცა მამა ზეზვაის.
მიწა სოველი —
ზედაშესავით ძალუმია
ათრობს, აბრუებს,
გულს ცეცხლივით მოეკიდება...
უცქერს სანახებს
და მისია, სჯერა, ყოველი,
ოღონდ საფრენად
ფრთები სჭირდება.
— ეჰეი, მამი! —
მოფრთხიალებ ბიჭი მერცხალა
და გორის თავზე
ცისარტყელებს ეპოტინები...
— აგერა ფრთებიც!
მამის ფრთებიც,
ბალღო, შენ ხარ და
ქვეყნის იმედიც!

ყურს სჭირდები

ღელე მორბის ვერცხლისფერი
ვერცხლის ზარის წკარაწკურით,
აცილებენ კაბაჭრელი
ყვავილები ტაშ-ფანდურით.
ყურს უგდებენ ველ-მინდვრები
გუგულების გუთნისდედურს;
გარეთ გამო,
შენც სჭირდები
განახლებულ მამულ-დედულს!
შემოენთე ხნულს და კალოს,
არ დაგასწროს დილის ქარმა,
შენმა ხმამაც იწკრიალოს
ყველგან,
როგორც ვერცხლის ზარმა!

ინტერნაციონალი

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო

1949 წელ. ბულგარეთმა, უნგრეთმა, პოლონეთმა, რუმინეთმა, საბჭოთა კავშირმა და ჩეხოსლოვაკიამ შექმნეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო — ეუს. (СЕВ — Совет экономической взаимопомощи). 1962 წლიდან მას მონაწილეთ შეუერთდა, ხოლო 1964 წლიდან ამ ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობს იუგოსლავია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა.

რამ განაპირობა ასეთი ორგანიზაციის შექმნა?

ძირითადად ორმა გარემოებამ: ეუს-ში შემავალი სახელმწიფოების უმრავლესობა (სსრ კავშირის გარდა) წარსულში ძირითადად აგრარული სახელმწიფოები იყვნენ და განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის ნედლეულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიმწოდებელნი. მათი იმპერიის ეფიდეული ნაწილი ძალადობისა და მექანიზმებზე მოდიოდა. ეს კი არა დანები, ნამგლები და ცელები უცხოეთიდან შემოჭრილნი.

ჩვენმა სახელმწიფომ, ასრულებს რა თავის ინტერნაციონალურ მისიას, ძმური ხელი გაუწოდა სოციალისტიმშენებლობის გზაზე დამდგარ ქვეყნებს. და აი, შედეგად ამ ხნის მანძილზე ეს ორგანიზაციები შემავალი ქვეყნების მრეწველობა 7-ჯერ გაიზარდა სამრეწველო საქონელი ახლა თვითონ მათ გააქვეთ. უკანასკნელი წლებმი ბულგარეთის საგარეო ვაჭრობა თერთმეტჯერ გაიზარდა, უნგრეთისა — რვაჯერ, პოლონეთისა — ექვსჯერ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — თხუთმეტჯერ. დღეს სსრ კავშირსა და გდრ-ს შორის ვაჭრობა ორჯერ უფრო ფიდეა, ვიდრე გერმანიის ფედერაციელ რესპუბლიკასა და იტალიას შორის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიას შორის 1,5 ჯერ დიდია, ვიდრე იტალიისა და საფრანგეთს შორის, ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე იტალიისა და იტალიას შორის. ასე რომ, ეუს-ში შემავალი სახელმწიფოები დღეს უკვე მსგავლი ინდეფსტიფელი ქვეყნებია.

ამ ორგანიზაციის წარმატება განაპირობა აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დღევანდელმა საოცარად გაზრდილმა დონემ.

სპეციალისტებმა განგაჯარშებით მრეწველობის ამა თუ იმ დარგის რაციონალური ორგანიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა მყიდველ-მომხმარებელთა რიცხვენობა 100 მილიონზე ნაკლები არ არის. კაპიტალისტურ სამყაროში დღეს მხოლოდ ორია ასეთი სახელმწიფო: ამერიკის შეერთებული შტატები (1971 წლისათვის 205,5 მლ მცხოვრები) და იაპონია (104,3 მლ.).

კონკურენციის რომ გამკლავებოდნენ, ევროპის კაპიტალისტებმა ქვეყნებმა სხვადასხვა გაერთიანებები შექმნეს. ასეთებია მაგალითად: „საერთო ბაზარი", „თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია" და სხვა. ამ ასოციაციებს საქმედრო-სასაკეთებლო ბრძოლა ავეთ ერთანეთთან. საკმარისია გავიხსენთ საკალტი-ფინანსური ომი სიგრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, სოფლის მეურნეობის საკითხებში შეურიგებელ წინააღმდეგობანი და ა. შ.

1954 წლიდან ეუს-ი ძირითადად ვაჭრობის საკითხების/კოორდინაციაზე ზრუნავდა, ცდილობდა, რომ ყოველ ქვეყანას საჭირო რაოდენობით შეეტანა ნედლეული და მოეწყობილიყო, რათა ხელსაყრელად გაეყოფა წარმოებული პროდუქცია. ეუს-ის ოს ბევრ ქვეყანას განსაკუთრებით აკლია მადნეული, ქვანახშირი, ხე-ტყის მასალა, ნავთობი. ამასთან დაკავშირებით ამ ქვეყნებმა ჯერ ორმხრივ, შემდეგ კი მრავალმხრივ დაიწყეს სახალხო-სამეურნეო გეგმების ერთმანეთთან შეთანხმება. შეიქმნა ოცზე მეტი კომისია, რომლებიც ცდილობდნენ შეცლებისდაგვარად თითოეულისათვის ხელსაყრელად დაეგეგმათ ნედლეულის, ენერგეტიკის, მანქანების, საერთო მოხმარების საგნების წარმოება. ასე რომ, უკვე იმ ეტაპზე, ეუს ძირითადად განსხვავდებოდა კაპიტალისტური სამყაროს გაერთიანებებისაგან. ამასთანავე, ინტერნაციონალიზმის პრინციპიდან გამომდინარე, (რაც შეუძლებელი კაპიტალზმის პირობებში). ეუს-მ მიზნად დაისახა ამა თუ იმ ქვეყნის ჩამორჩენილი დარგის განვითარება, მოწინავეთა დონემდე მისი აყვანა.

აი, რამდენიმე ციფრი: 1975 წლისათვის ეუს-ო 400 მილიონ მოსახლეობას მოემსახურება. როგორია ამ უზარმაზარი ბაზის მოთხოვნილება პროდუქციის ძირითად სახეობებზე? როგორ უნდა დაკმაყოფილდეს ეს მოთხოვნილება რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით? 1971-75 წლებში ეუს-ო დაამზადებს 2 მილიონამდე ლოკომოტივს ჩარხს. ცხადია, მიზანშეწონილი არ არის, რომ ყოველი სახელმწიფო ამზადებდეს ყოველგვარ ტიპისა და სახეობის მანქანებს. სულ სხვა ფუძეები იქნება, თუ მათი წარმოება ისე განაწილდება, რომ თითოეული ქვეყანა პროდუქციის რომელიმე ერთი სახის წარმოებას ითავსებს და მოამარაგებს სხვებს. მეორე მაგალითი: ეუს ზეგარეშო ქვეყანაში, მოსაკუთრების სეკტორსა — ში ბევრ, ორახელიანი საკუთარი ავტომეწარეობაა, მაგრამ ხელსაყრელია ავტომანქანების, „ზაპოროჟეცის" ტიპის წარმოების ერთ ადგილას — ეს ეკონომიურია. ეუს ზეგარეშო ქვეყანაში, მოსაკუთრების სეკტორსა — ში ბევრ, ორახელიანი საკუთარი ავტომეწარეობაა, მაგრამ ხელსაყრელია ავტომანქანების, „ზაპოროჟეცის" ტიპის წარმოების ერთ ადგილას — ეს ეკონომიურია. ეუს ზეგარეშო ქვეყანაში, მოსაკუთრების სეკტორში, ეს ავტომანქანების „ზაპოროჟეცის" მოეწყობა.

საბჭოს 1964 წლის სესიამ მიიღო უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის დოკუმენტი — სოციალისტური ინტეგრაციის". გაერთიანებებისა და ერთიერთობათა შემდგომი გაღრმავების კომპლექსური პროგრამა, რომელიც 15-20 წლისთვის არის გაგებარული. გათვალისწინებულია მადნეულის, ნავთობის, გაზისა და წარმოების სხვა დარგების ერთობლივი მშენებლობა-განვითარება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერულ გამოკვლევებსაც. 700-ზე მეტი საბჭოთა და სხვა ქვეყნის 260 ორგანიზაცია ამუშავებს ყველაზე მნიშვნელოვან თემას. ათი წლის წინათ დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა საერთო ძალით დაიწყეს მაგისტრალური ნავთსადენის — „ეიგაბრობინის" მშენებლობა. ახლა იგი შავი ოქროთი ამარაგებს პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და უნგრეთს. ამჟამად გაკაჯთ ჯანსაღი მეორე რიგი, რომელიც დიდად გაზრდის მის მწარმოებლობას. 1964 წლიდან ამ ნავთსადენით გადატუმბულია 8 მილიონამდე ტონა ნავთობი, 1974 წელს კი სოციალისტური ქვეყნები 50 მილიონ ტონა ნავთობს მიიღებენ.

წარმატებით მუშაობს ენერგოსისტემა „მშვიდობა". მისი საერთო ძალა 51 მილ. კილოვატს შეადგენს. მასში გაერთიანებული არიან ჩვენი ქვეყნის დასავლეთის რაიონები და რამდენიმე სოციალისტური ქვეყანა.

* ინტეგრაცია — ნაწილების გაერთიანება ერთ მთელად.

ასანგასა ჯრა ფეკ ...

დღეს ცნობების ტელეფონით გადასცემენ პრაღას, პარიზს, ლონდონს, ნიუ-იორკს... არც ფეიქრა აგვიანებს ადგილზე მისვლას. ფოტოტელეგრაფით სურათები, ნახაზები ათასობით კილომეტრზე „მოგზაურობენ", ხოლო მოსაუბრენი ერთმანეთს ხედავენ ვიდეოტელეფონებით. ყოველივე ეს ზემოთქმული არ ეგება წერილს, ბარათს... წერილი მაინც სხვაა. იგი, შეიძლება ითქვას, ჩვენი სულის ნაწილია. რამდენი სითბო ჩაგვიქსოვია წერილის წერისას სტრიქონებში, რამდენი სიხარული მოუტანია, მძაფყოველთვის გულისფანაკლალი ვალოდებინი.

როდის დაიწყო მოქმედება პირველმა საფოსტო კავშირმა? ვინ გამოიგონა იგი? ამ კითხვებზე მკვლევარები ზუსტ პასუხს ვერ იძლევიან, მაგრამ ფიქრობენ, რომ პირველად ეს აღმოსაჩენი ... ...

ამის შემდეგ ავტომატურად გაიგზავნება იმ ყუთის მიმართულებით, რომელსაც აწერია „ცხინვალი“.

„ეჰ, — იტყვის სკეპტიკოსი, — მაინც ადამიანი უნდა ჩაერიოს საქმეში!“

დიახ, ეს ასეა, მაგრამ აბა, მოვუსმინოთ, რას ამბობენ საბჭოთა კონსტრუქტორები ამ მანქანის შესახებ: თუ ასეთ ნახევრადავტომატურ მანქანებს ფართოდ გამოვიყენებთ, ამასთანავე მოთმინებით დაველოდებით, რათა მოსახლეობამ აითვისოს კონვერტებზე ციფრებით სტანდარტული ინდექსების დაწერა, მაშინ, ბოლოს და ბოლოს, ოპერატორი სულაც აღარ იქნება საჭირო — მანქანა უკვე ავტომატურად განაგრძობს წერილების დახარისხებას.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ მთელი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ახლახან შემოღებული ახალი წესი — წერილებზე მისამართების წარწერისა.

გამოშვებულია ახალი ნიმუშის კონვერტები, რომელთა ქვედა მარცხენა ნაწილში დაბეჭდილია სპეციალური მიმმართველი ბადე მიმღების ექვსნიშნა ციფრული ინდექსის ჩასაწერად. კონვერტების სარქველზე დასტამბულია სტილიზებული ციფრების დაწერის ნიმუში. მათი ზომებისა და კონფიგურაციის დაცვა სავალდებულო პირობაა ავტომატური დახარისხებისათვის. სტილიზებული ციფრებით აღინიშნება მხოლოდ ადრესატის ინდექსი, წერილის ავტორის მისამართში კი იწერება გამგზავნის საფოსტო ინდექსი არასტილიზებული, ესე იგი ჩვეულებრივი ციფრებით.

ინდექსი შეგიძლიათ დაწეროთ ყველა ფერის მელნით. ყვითლისა და მწვანის გარდა, რადგან მანქანის წამკითხველი მოწყობილობა (ფოტოელემენტი) ამ ფერებს ვერ აღიქვამს.

ინდექსის დაწერისას უნდა გვახსოვდეს შემდეგი: 1. მიმღების მისამართის ინდექსი იწერება კონვერტის ქვედა, მარცხენა კუთხეში მოთავსებულ მიმმართველ ბადეში. 2. ინდექსი ყოველთვის 6 ციფრისაგან შედგება, ციფრების სხვა რაოდენობა არ შეიძლება იყოს; 3. ინდექსის დაწერისას არ უნდა მოხდეს ტრაფარეტული ხაზიდან გადახრა; 4. კონვერტზე ინდექსთან ერთად მთლიანად იწერება მისამართიც.

როგორც აღვნიშნეთ, მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წერილებზე მისამართების წარწერის ასეთი წესია გავრცელებული, აქედან ყოველ ქალაქს და დიდი ქალაქების ყოველ საფოსტო განყოფილებას ექვსი ციფრისაგან შედგენილი ინდექსი აქვს მიკუთვნებული.

ინდექსის პირველი სამი ციფრი განსაზღვრავს ოლქს, რესპუბლიკას ან მათ ცენტრებს. იმ შემთხვევაში, როცა კავშირგაბმულობის საწარმოთა რაოდენობა დიდია და ათასობით ინდექსი მათი აღნიშვნისათვის საკმარისი არ არის, რესპუბლიკა, ოლქი და მსხვილი ქალაქი იყოფა ორ ან მეტ ზონად, რომელთაგან თითოეული აღინიშნება ინდექსის პირველი სამი ციფრით. მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკა დაყოფილია სამ ზონად: აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ საქართველოსა და თბილისის ზონად, რომლებსაც მიკუთვნილი აქვთ ინდექსის პირველი სამი ციფრი შესაბამისად: 383, 384 და 380.

ექვსნიშნა ციფრული ინდექსის ბოლო სამი ციფრი ანუ მეორე ნახევარი აღნიშნავს ქალაქის, რაიონის ან სოფლის კავშირგაბმულობის განყოფილებებს. მსხვილი ქალაქებისათვის ექვსნიშნა ციფრული ინდექსი, როგორც წესი, ყოველთვის ნულით მთავრდება. თბილისის ექვსნიშნა ციფრული ინდექსია 380 000. ამ ნულების ადგილზე საჭიროა დაიწეროს კავშირგაბმულობის განყოფილების ნომერი. მაგალითად, თბილისის კავშირგაბმულობის მე-16 განყოფილება აღინიშნება ინდექსით 380-016, ქუთაისის მე-4 განყოფილება — 384 004. ამრიგად, როცა ვიცით ქალაქების ექვსნიშნა ციფრული ინდექსის პირველი სამი ციფრი და კავშირგაბმულობის განყოფილების ნომერი, ყოველ ჩვენგანს შეუძლია შეადგინოს თავისი ინდექსი.

თუ არ იცით, რომელი ინდექსი აქვს იმ ქალაქს, სადაც წერილის გაგზავნას აპირებთ, ამაში დაგეხმარებიან საფოსტო განყოფილების მუშაკები. გარდა ამისა, თბილისში მცხოვრებლებს შეუძლიათ ციფრობრივ ინდექსაციასთან დაკავშირებით დარეკონ ტელეფონით 95-33-63, ანდა მიაკითხონ საქალაქო საცნობარო ჯიხურებს.

და აი, თუკი ყველა ადამიანი შეასრულებს წერილებზე მისამართების წარწერის ახალ წესს — გაცილებით დაჩქარდება წერილების დახარისხება.

კიდევ უფრო სწრაფად მიიღებენ წერილებს, როცა თქვენს მიერ წარწერილ სტილიზებულ ციფრებს „დახედავს“ წერილების ავტომატურად დამხარისხებელი მანქანის ხელოვნური თვალი და ინდექსის მიხედვით შესაბამის ყუთისკენ გაგზავნის წერილს.

გაივლის დრო და ჩვეულებრივ ამბად იქცევა კონვერტებზე ინდექსების აღნიშვნა. მაგრამ ამისათვის უკვე დღესვე ყურადღებით უნდა გავეცნოთ წერილების გაგზავნის წესს, ინდექსების გამოყენებით, მივეჩვიოთ მას და არც ერთი წერილი არ გავგზავნოთ უინდექსოდ.

ამით თქვენ უკვე ამთავითვე დიდ დახმარებას გაუწევთ იმ ადამიანებს, რომლებიც ათიათასობით წერილს ახარისხებენ ყოველდღიურად და გულმოდგინედ ცდილობენ თქვენი ამბავი რაც შეიძლება მალე შიიტანონ მეგობრებთან და ნათესავებთან.

ანდრე კარბელაშვილი.

გავშვებო, მოგვწერეთ, რომელი ტაძარია ამ ფოტოზე გამოსახული და რა იცით მის შესახებ.



ფოტო ზ. დათუაშვილისა.

ალავერდის ტაძარი

პასუხი № 8-ში დასმულ კითხვაზე

ალავერდის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ძეგლია. იგი კახეთის, ჩრდილოეთ-დასავლეთით, მდინარე ალაზნის პირას არის აღმართული და თავისი გრანდიოზული, ცადაზიდული ხუროთმოძღვრული ფორმებით კახეთის თითქმის ყოველი მხრიდან მოჩანს.

ალავერდი ძველთაგანვე დიდად პოპულარული იყო არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ბარის მოსახლეობაში, არამედ მთელ საქართველოშიც.

სახელწოდება „ალავერდის" შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ამ საკითხს შეხებია XVIII საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი — ისტორიკოს-გეოგრაფოსი ვახუშტი ბატონიშვილი, რომელსაც სახელწოდება „ალავერდი" ალონ II ალვანიდან ნაწარმოებად მიაჩნია (ალონ — იგივე ალვანი. აქედან — ალონგვერდი, ალვანთგვერდი). პროფესორი ლეონ მელიქსეთბეკი მიიჩნევდა, რომ „ალავერდი" რთული შედგენილობის სიტყვაა: ალ+ვერ+დო, ხოლო აღნიშნული ელემენტები ფართოდ გავრცელებულია გეოგრაფიულ სახელწოდებებში. პროფესორი ბ. ალბოროვი „ალავერდის" განსამარტავად ინგუშური ენის მასალას იშველიებს და სიტყვას ორ ელემენტად შლის, სახელდობრ — ალაუ და ერდი, რომელთაგან პირველი ინგუშურში ცეცხლს ნიშნავს (შდრ. ქართული ალი) და სახელწოდებას თარგმნის, როგორც „ალაღმერთი", „წმინდა ღმერთი" ანუ „ცეცხლის, კერიის ღვთაება". აკადემიკოსი აკ. შანიძის აზრით კი სახელწოდება „ალავერდი" ადრე ამ ტერიტორიაზე მოსახლე წოვა-თუშების ენობრივი მასალის გათვალისწინებით უნდა იქნეს შესწავლილი.

ისტორიულ წყაროების მონაცემებით, დღემდე მოღწეული ალავერდის გრანდიოზული ტაძრის ადგილას ადრეც ყოფილა ეკლესია, რომლის დაარსებაც ერთ-ერთი ცამეტ ასურელ მამათაგანს (VI ს.) იოსებს, ზედწოდებით ალავერდელს მიეწერება. უფრო ადრე კი ეს სანახები, როგორც ჩანს, წარმართული რელიგიის მძლავრი კერა ყოფილა. ამდენად გასაგები უნდა იყოს, რომ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისთანავე (337 წ.) აქ აუშენებიათ ეკლესია, რომელსაც მეტოქეობა უნდა გაეწია წარმართობის ჯერ კიდევ ცოცხალი ტრადიციებისათვის. მათგან ერთ-ერთმა, მეტნაკლებად სახეცვლილმა და ქრისტიანობასთან შეგუებულმა, თითქმის ჩვენს დრომდე მოაღწია რელიგიური დღესასწაულის „ალავერდობის" სახით. ეს დღესასწაული 14 სექტემბერს იმართება ხოლმე (ძველი სტილით) წმ. გიორგის პატივსაცემად. თვით ტაძარი, თავდაპირველად სწორედ წმ. გიორგის სახელობისა ყოფილა, რაზეც „ქართლის ცხოვრების" ერთი ცნობა უნდა მიუთითებდეს: „მოვიდა კონსტანტი აფხაზთა მეფე, იხილა ალავერდის წმიდის გიორგის წინაშე, და შემოსა ხატი მისი ოქროთა"-ო. მატიანის ამ ცნობას მხარს უჭერს ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის 906 წლის წარწერაც, სადაც ზემოთხსენებულ წყაროში აღწერილი ვითარება არის დადასტურებული, ხოლო ის გარემოება, რომ ალავერდის ტაძარი ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების სახელწოდებითაც არის ცნობილი, გვიანდელი ფაქტია და ლეონ კახთ-ბატონის, ავგიორგის ძის (1520-1574 წწ.) მიერ ტაძრისათვის შეწირულ წმიდა ჯვრის ნაწილებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

დღევანდელი ალავერდის ტაძარი და იქვე მდებარე სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ნაგებობანი (სასახლე, სატრაპეზო, აბანო, მარანი და სხვა...) შემოზღუდულია რიყის ქვის წყობით, ნაგები, კოშკებიანი, მაღალი და მტკიცე გალავნით, რომელიც ტაძარსა და მის მრევლს იცავდა მტრის გამუდმებული შემოსევისაგან. აღნიშნული გალავანი, როგორც მისი წყობისა და ცალკეული დეტალების თავისებურებანი მიგვანიშნებენ, XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. გალავანს შიგნით, ტაძრის ჩრდილოდასავლეთით მდებარეობს შაჰ-აბას I-ის, კახეთის ნაცვალის საზაფხულო სასახლის ნანგრევები, ეს სასახლე 1615 წლის ახლო ხანებში ჩანს აგებული. აქვეა მარანიც. იგი, როგორც ფიქრობენ, გალავანზე უფრო ადრე უნდა იყოს აგებული. ასევე, შედარებით ადრეულია აბანოც, გალავნის აშენებისას მის გარეთ რომ დარჩენილა. გალავანს, რომელიც უსწორმასწორო მოხაზულობისაა, თავდაპირველად ორი შესასვლელი ჰქონია. ერთი — ტაძრის შესასვლელის სამხრეთითაა და სასახლის ორ ნანგრევს შორის მდებარეობს, მეორე — ჩრდილოეთის მხარეზე ყოფილა და ამოუქოლავთ. თვით ტაძარი გეგმაში სწორკუთხედში ჩაწერილ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებულ ჯვარს წარმოადგენს, რომლის სამი მკლავი (აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის) ნახევარწრიული მოხაზულობის მქონე კონქებით დაგვირგვინებული აფსიდებით მთავრდება. დასავლეთის სწორკუთხედის ფორმის მკლავს ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან გვერდითა ნავები ეკვრის, ხოლო საკურთხევლის აფსიდის ორსავე მხარეზე თითო, აფსიდიანი სამყოფელი (სამსხვერპლო და სალარო) მდებარეობს. დასავლეთ ნაწილში, გვერდითა ნავების მეორე იარუსზე, მოთავსებულია პატრონიკე (ვიწრო ბაქანი) მგალობელთათვის. ტაძრის მკლავების გადაკვეთაზე, იქ, სადაც კვადრატი წარმოიქმნება, ამოყვანილია მაღალი გუმბათი, რომელიც ოთხ თავისუფლად მდგარ სვეტს კი არ ეყრდნობა, როგორც, მაგალითად, მცხეთის „სვეტიცხოვლისა“ და ქუთაისის ბაგრატის ტაძრებში, არამედ გუმბათქვეშა ოთხ აფრებიან თაღს, რის გამოც ინტერიერში ასახული შიდა სივრცე დაუნაწევრებელ და გრანდიოზულ მთლიანობაში აღიქმება. ტაძარს ჩვენამდე თავდაპირველი სახით არ მოუღწევია. იგი დროდადრო აღუდგენიათ. რასაც, ცხადია, ძეგლის მხატვრულ იერსახეობაზე თავისი კვალი დაუმჩნევია. ჯერ კიდევ XV საუკუნეში (1476-1495 წლებში) მთლიანად აღუდგენიათ რაღაც კატასტროფის შედეგად დანგრეული კედლები და გუმბათი. 1742 წელს მიწისძვრის შედეგად ტაძარი კვლავ დაზიანებულა, ხოლო 1750 წელს დედოფალ თამარს (მეფე ერეკლეს დედას) დაუწყია აღდგენითი სამუშაოები, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ერეკლე მეფეს დაუმთავრებია. როგორც ირკვევა, ამ დროს აღუდგენიათ ჩრდილოეთის პატრონიკე, მთავარი ნავის კამარა, ამოუქოლავთ ბევრი ღიადი და დასავლეთის ძველ კარიბჭის ნაცვლად აუგიათ ახალი, დღემდე მოღწეული...

მიუხედავად იმისა, რომ ტაძარს ჩვენამდე პირვანდელი სახით არ მოუღწევია და არც რაიმე, უშუალოდ თარიღის შემცველი წარწერა შემორჩენილა, ხუროთმოძღვრული ფორმების თავისებურებათა შესწავლით მაინც ხერხდება ამ გრანდიოზული ნაგებობის თარიღის დადგენა. გარდა ამისა, ცხადი ხდება ისიც, რომ ხუროთმოძღვარს განუზრახავს არა კონსტრუქციულ სიახლეთა ძიება, არამედ იმდროინდელ მიღწევათა საფუძველზე ახალი, გრანდიოზული სივრცის კომპოზიციურ მთლიანობაში გადაწყვეტა; ხუროთმოძღვრული ფორმების, შიდა სივრცისა და გიგანტური ზომის გარე მასების პროპორციული შეთანხმება, რაც ალავერდის ტაძრის ხუროთმოძღვრებაში ბრწყინვალედ არის ხორცშესხმული. აქ ყოველი კონსტრუქციული კომპონენტი ერთ ჰარმონიულ მთლიანობაშია გააზრებული, რის წყალობითაც მიაღწია ხუროთმოძღვარმა ზეატყორცნილი, გრანდიოზული ნაგებობის იმ განუმეორებელ დიდებულ გარეგნობას და ცხოველხატულობას, რომლითაც სავსებით კომპენსირებულია ისტორიულად კახეთის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი დეკორატული სამკაულის უაღრესად ძუნწი გამოყენება. ალავერდის ტაძარი ახალი ეტაპია არა მარტო კახეთის, არამედ ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიაში, ის მაღალი ეტაპი, რომელმაც განაპირობა XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების უსაზღვრო მნიშვნელობა.

ირაკლი ჯანდიერი.

სწორი პასუხი გამოგზავნა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. განთიადის X კლასის მოსწავლე ლარისა ყურშუბაძემ.

სიცოცხლის ხე

ამბობენ, ფრანგი მოგზაურის ჟაკ-კარტეს მომაკვდავი, უიმედო ავადმყოფი მეზღვაურები ინდიელისაგან შეთავაზებულმა წამალმა — წიწვების ნაყენმა განკურნა. სწორედ ამიტომ წიწვის მომცემ სასწაულმოქმედ ხეს ჟაკ-კარტემ პირველად „სიცოცხლის ხე“ უწოდა.

ეს ხე არის ფიჭვი, რომელიც საბჭოთა კავშირში მეტად გავრცელებული ხე-მცენარეა. სხვა, ყველა ერთად აღებულ, წიწვოვანთა მიერ დაკავებული ფართობის მეოთხედი ფიჭვს უჭირავს. და ეს, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ იგი კარგად ხარობს უნაყოფო ქვიშნარ ნიადაგზე.

ფიჭვის ხე ადამიანს აძლევს ძვირფას საშენ მასალას, განსაკუთრებით კი ეგრეთ წოდებულ ხე-ტყეს, სხვადასხვა დანიშნულების მერქანს, შეშას, ფისს, რომლის გამოხდის შემდეგ მიიღება ლაქების დამზადებისათვის საჭირო სკიპიდარი.

ფისის გამოხდის ნარჩენები იძლევა კანიფოლს, რომელსაც სხვადასხვა გამოყენება აქვს მრეწველობაში (მას ხმარობენ აგრეთვე მუსიკალური ინსტრუმენტების სიმებზე წასასმელად), დალპობისაგან დასაცავად ფისის დუღილის შემდეგ მიღებული მასით კი კუპრავენ გემებსა და ნავებს, წყალში მყოფ ხის ნაწილებს.

ფიჭვის მერქნის, განსაკუთრებული წესების დაცვით, წვის შედეგად წარმოშობილი ჭვარტლის ანუ მურის მონაწილეობით ამზადებენ სასტამბო საღებავებს, ფეხსაცმელების საწმენდ საცხებელს და სხვა. ფიჭვის წიწვები და კვირტები გამოიყენება მედიცინაში, ხოლო ხის ლაფანსა და მერქანს შორის მოქცეული — კამბიალური ფენისაგან მიიღება ვანილის ანუ ვანილინის სუროგატი.

დაბოლოს, ჩამოცვენილი ფიჭვის წიწვები გამოიყენება ცხოველთა საფენ-საგებად.

ხანდაზმულ ასაკში ფიჭვის ვარჯი ქოლგას ემსგავსება, ამიტომ ფიჭვის ხშირ ტყეში სინათლე მცირეა და მის ქვეშ ვერ ხარობს ქვეტყე.

ანა ნემსაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფალვნების ფალავანი

გამოჩენილი ფალავანი ვასილ ღოლაძე გორის მაზრის სოფელ ფხვენისის მკვიდრი იყო. დიდი ლიახვის ხეობაში მდებარე მის სოფელში ჭიდაობა ოდითვე ტრადიციად იყო ქცეული. ჭაბუკი ვასილიც პირველად აქ დაეუფლა ქართული ჭიდაობის ილეთებს. მალე ისე დაოსტატდა, რომ მისი წამქცევი გორის მაზრაში არავინ იყო.

ერთხელ ჰკითხეს: კულა გლდანელს თუ დაეჭიდებიო. უყოყმანოდ უპასუხა: რატომაც არაო, და თავისი ქომაგებით თბილისში ჩამოვიდა. 1882 წელს გაზეთი „დროება" ამ ამბავს ასე გამოეხმაურა: „იმ დროს საიდანღაც იყო, გაისმა ღოლაძის სახელი. კულა გლდანელს თუ ის მოერევა, თორემ სხვა იმედი არ არისო, ხიზამბარელობას დაიმკვიდრებსო. თითქმის მთელი ეს უკანასკნელი კვირა ჩვენს ქალაქში ორი კაცის სახელი გაისმის: გლდანელი და ღოლაძე, ღოლაძე და გლდანელი".

ეს ის დრო იყო, როცა გლდანელს უკვე დამარცხებული ჰყავდა გამოჩენილი ფალავანები: ელიოზიშვილი, თიონელი, კახელი, რენელი და სხვები. „დროება" მკითხველებს მოუთხრობდა: „ჩამოიყვანეს ეს ღოლაძეც. პირველი შეტაკება გასულ შაბათს მოხდა დიდუბეში, მაგრამ არც ერთი მხრით არ დარჩენილა გამარჯვება. მხოლოდ აზრი კი ის იყო ,რომ ღოლაძემ, თუმცა კი ვერ დასცა, მაგრამ დაძლევით დასძლია გლდანელი".

რადგან პირველი ჭიდილი არაფრით გათავდა, მეორეჯერ გუშინწინ, ორშაბათს უნდა შებმულიყვნენ და ვინც დასძლევდა, დაფნის გვირგვინი და პირველობა იმისი იქნებოდა. საღამოს ხუთი საათიდან დიდუბის მინდორი გაივსო ცხენოსნებით და უანგარიშო ქვეითა ხალხით... პოლიცმეისტერი თავისი მოხელეებით ციბრუტივით დატრიალებდნენ, წრეს აკეთებდნენ. 7 საათისთვის ყველაფერი მზად იყო. მშვენიერ სურათს წარმოადგენდა დიდი, უშველებელი წრე, მწვანე მინდორზე გარშემო მუხლმოკეცილი ხალხი, შემდეგ ფეხზე მდგომნი, ამათ უკან ეტლებზე და საზიდრებზე, კიბეებზე მდგომი ხალხი. წრის შიგნით — მხოლოდ წარჩინებული ქართველი თავადიშვილები, გენერლები, ქალბატონები და დიდძალი ყმაწვილკაცობა.

დაუკრეს ჭიდილის ზურნა, ხალხში მოძრაობა შეიქმნა. ცოტა ხანს, წრეში ფალავნების მომხრეებს შორის გაცხარებული ბაასი ატყდა ჩოხების თაობაზე. ბოლოს მორიგდნენ, ხელახლა დაუკრა ზურნამ და ხელახლად აღელდა ხალხი.

ერთის მხრიდან გამოვიდა ღოლაძე, მეორედან გლდანელი. სასიამოვნო იყო ამათი დანახვა. ღოლაძე ისეთი ზორბა ვინმეა, ისეთი გულ-მკერდის პატრონი და ისეთის თამამის გამბედაობის შეხედულებით გამოდის მოედანზე, რომ გგონია, შესჭამს თავის მოპირდაპირესო. გლდანელს თავის ჩვეულებრივი სითამამე და სიხალისე არ ატყვია; არც შეხტა გადმოსვლისთანავე, არც შეითამაშა.

ორივე დინჯად უახლოვდებოდა ერთმანეთს. გლდანელს თავი ძირს დაუწევია, ხელები წინ. ღოლაძე პირდაპირ, თავაღერილი თამამად მოდის, ეტყობა, თავის იმედი აქვს. პირველად ეს მიუახლოვდა და მოინდომა ხელი ჩაევლო გლდანელისათვის ჩოხაში; აიცდინა, მეორედ მოინდომა, კიდევ დაუსხლტა ხელიდან, მესამედ იგივე, ეტყობოდა, რომ ამ გარემოებამ მოთმინებიდან გამოიყვანა.

ხუთიათასზე მეტი კაცი მხედველობად გადაქცეული, სულგანაბული შესცქერის ამ სურათს.

უეცრად, თვალმა ვერც კი მოასწრო ამის შეხედვა, გლდანელმა ორივე ხელი ჩასჭიდა თავის მოწინააღმდეგეს. სანამ ეს მოწინააღმდეგე ხელის წავლებას მოასწრებდა, ჩაუჩოქა, მოიდვა ეს ამოდენა კაცი ზურგზე, კისრით წამოიღო და მთელის ზურგით დასცა მიწაზე... ამბობენ იმასაც, რომ იმ დღეს ღოლაძე ძალიან ნასვამი იყოო"...

1883 წელს ღოლაძე მესამედ დაეჭიდა გლდანელს თბილისში, ეგრეთწოდებულ „იტალიურ ბაღში". ამჯერად იგი გლდანელს ტოლს არ უდებდა. ამის შემდეგ ვასილ ღოლაძის სახელი გახმაურდა საქართველოში, შეიქმნა ციკლი ხალხური ლექსებისა. სოფელ კარალეთის მკვიდრმა გიორგი ყანჩელმა თავისი ლექსი „მოხუცის ნატვრა" ასე ჩააწერინა ფოლკლორისტებს:

„ნეტავი კიდევ შემეძლოს,
რომ გადავევლო მთა-ველსა,
ღოლაძის მუხლი მომაბა,
დავჭიდებოდე გლდანელსა.
გამოვდიოდე წრეშია,
ვაბრიალებდე თვალებსა,
შემომცინოდნენ ბავშვები,
მოვწონდე ლამაზ ქალებსა".

წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოში მცხოვრებ სახალხო მოლექსე ალუდა არაბულს კი ამ სტრიქონებით ხოტბა შეუსხამს გოლიათისათვის:

„დაიმშვენებს ახალოხსა
და გამოვა ლაღად წრეში,
იმისთანა მოჭიდავე
არ მინახავს თავის დღეში.
ზურნა დასცხებს, შეიკვრება
უცებ ხალხის გალავანი,
აქ ღოლაძე გამოჩნდება —
ფალავნების ფალავანი.
შეჰყვირებენ სიხარულით,
ვით ვაუკაცს და ნამდვილ გმირსა,
ვისაც ერთხელ ხელს წაავლებს,
უნდა დადოს იმ წამს ძირსა".

გარდა კულა გლდანელისა, რომელსაც 1882-1883 წლებში სამჯერ შეერკინა, ღოლაძე ცნობილ ფალავანს — ახალგაზრდა ნესტორ ესებუასაც დაეჭიდა. ეს საინტერესო ასპარეზობა 1888 წლის 11 სექტემბერს გაიმართა თბილისში, „იტალიურ ბაღში". გაზეთი „ივერია" წერს: „ჭიდაობა პატარა ბიჭებიდან დაიწყეს. ხალხი ძალიან დიდძალი მოაწყდა ბაღს. ასე რომ, ბილეთები სულ გაიყიდა. ერთი ასამდემ ძალად გაარღვია პოლიციელნი და შევიდა. ორასსამასი კიდევ გარეთ იდგა და ელოდა, აბა ვნახოთ, ვინ ვის დაამარცხებსო.

ხალხის ასე ძლიერად თავმოყრის მიზეზი ის იყო, რომ ახალგაზრდა ესებუას ეჭიდებოდა ძველი მოჭიდავე ღოლაძე.

პატარა სასიამოვნო ჭიდილის შემდეგ გამოვიდნენ ვიღაც მედროგე და მუხრანელი, ის, რომელიც წარსულ კვირას დაეჭიდა ესებუას და წაქცეული იქნა.

მუხრანელს არც ამ კვირას გაუმარ-

ჯვნია, ამ კვირასაც დამარცხდა. მოჭიდავეს ეტყობა, რომ ხამია, გარშემო მოწყობილობა და იმდენის ხალხის შეკრებულება აოცებს და, ვგონებ, ამით აიხსნება, რომ ჩვეულებრივ მოჭიდავეებისამებრ თავისუფლად ვერ გამოდის მოედანზე.

ამის შემდეგ გამოვიდნენ უპირველესი მოჭიდავენი — ესებუა და ღოღაძე. ესებუასთან შედარებით მოწინააღმდეგე მკვრივად ჩასხმული, მსხვილ მკლავ-ძარღვა და წითური ვაუკაცია. გამოსვლისთანავე, დაეტაკნენ თუ არა ერთმანეთს მებრძოლნი, ღოღაძემ წაიჩოქა თავისდაუნებურად. ესებუაც იმის მაგალითს მიჰყვა, ქვემოდან მხრებში წაავლო, გადაზნიქა, ძალაუნებურად ფეხები გვერდზე წააღებინა და, თუმცა ღოღაძე ბევრსა ცდილობდა თავი შეემაგრებინა, მაინც პირუკულმა გადააქცია ესებუამ და ზურგზე დასცა.

ასეთი არაფალავნური გამარჯვება საზოგადოებას არ მოეწონა; კვლავ იმათი დაჭიდება მოითხოვა და ისინიც დაიჭიდნენ. ღოღაძემ კვლავ წაიჩოქა, მუხლისთავები და მკლავის იდაყვები დედამიწას დააბჯინა და აღარ დაიძრა. თუმცა ესებუამ ბევრი ურბინა ხან მარჯვნივ, და ხან მარცხნივ, ფეხზე წამოყენება მოუწადინა, მაგრამ ვერას გახდა რა. ბოლოს ხალხის თხოვნით გაშორდნენ".

სოფელ სკრაში სხვადასხვა სოფლის მოჭიდავენი შეკრებილიყვნენ: სკრელნი, ათენელები, ფლაველნი, ფხვენისელნი... მოჭიდავეთა შორის იყო ფალავანთა ფალავანი ვასილ ღოღაძეც. ეტყობა, ფხვენისელთა ფალავანს ყველა დაუმარცხებია და ატენელ სახალხო მთქმელს ასეთი ლექსი გამოუთქვამს:

„სკრაშია დიდი ყრილობა
მუხლმაგარ ჩოხოსნებისა,
ატენელებიც იქა ვართ,
ამა, რაღა ვთქვა სხვების.
მოჭიდავეთა სოფელი
აქ სოფელს ეჯიბრებისა.
ფლაველნი ჩაფლავდებიან,
ეს არვის ეეჭვებისა.
ბრექა ბრეთელიც გაჩუმდა,
ცუდ გუნებაზე დგებისა,
მათ ფხვენისელი უყურებს
და გულში ეცინებისა,
ვინც მათ ფალავანს შეხედავს
მუხლებში იკეცებისა".

ნახსენები ფხვენისელი ფალავანი, რომლის ერთი შეხედვაც ფალავნებს მუხლებში კეცდა, უთუოდ ვასილ ღოღაძე იყო.

ვახტანგ სიდამონიძე.

ნაკელის ხოჭოს სიკეთე

სანამ ადამიანი შინაური ცხოველს ჩამოიყვანდა ავსტრალიაში, ამ კონტინენტზე არც ჩლიქოსნები იყვნენ, არც ნაკელის ხოჭოები. ამჟამად ავსტრალიის ველ-მინდვრებზე ყოველდღიურად ორასი ათასი ტონა ნაკელი გროვდება, მისი მიწაში ჩამმარხავი კი არავინაა, რის გამოც სათიბები ეუტყიანდება. გარდა ამისა, ნაკელში კვერცხებს დებენ სისხლისმწოველი ბუზები, რომლებიც უდიდესი რაოდენობით მრავლდებიან. ამ სამი წლის წინათ ევროპიდან და აზიიდან ავსტრალიაში ჩაიყვანეს ნაკელის ხოჭოები. „ემიგრანტები" სწრაფად შეეგუენ ახალ გარემოს და მუშაობას შეუდგნენ. ახლა ნაკელი უკვე ორ-სამ დღეში ქრება და მავნე ბუზებიც თითქმის მოისპნენ.

ჩანთოსანი ფრინველი

თურმე ჩანთოსნები ფრინველებიც ყოფილან. სამხრეთ ამერიკაში მობინადრე მცურავ ჩიტ პიკაპარეს თითო ფრთის ქვეშ თითო ჯიბე აქვს, რომლებითაც ბარტყები დაჰყავს. ჯიბეები რბილი ბუმბულით შემოსილ ტყავის ნაოჭს წარმოადგენენ. მათში ბარტყი ფრენის დროსაც კი არხეინად ზის. ჩიტს შეუძლია ჩაყვინთოს კიდეც თავის ორ ბარტყიანად, რადგან ჯიბეებში საკმაო რაოდენობით არის ჰაერი.

ბრინჯის თოჯინები

ტოკიოში ყოველი წლის მარტის მიწურულში ეწყობა თოჯინების ტრადიციული ფესტივალი. წლეულს თოჯინების მოყვარულთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მინიატურისტ ტაკახასის ნამუშევრებმა. ტაკახასმა სულ რაღაც 6,5 სანტიმეტრი სიმაღლის სტენდზე მოათავსა ბრინჯის მარცვლებისაგან გამოკვეთილი, ლამაზად გაფერადებული თოჯინების მთელი ანსამბლი.

სად, როდის...

სად და როდის მოხდა ყველაზე დიდი მიწისძვრები, როგორიც კი ახსოვს კაცობრიობას? ჩვენს დროში რეგისტრირებულთაგან ორი ყველაზე დიდი მიწისძვრა მოხდა ოკეანის ქვეშ და თითოეულ მათგანს ჰქონდა 8,9 მაგნიტუდა (მაგნიტუდა პირობითი რიცხვია, რომელიც გამოსახავს ნიადაგის გადაადგილების სიდიდეს). ერთი მოხდა 1906 წლის 31 იანვარს კოლუმბიისა და ეკვადორის სანაპიროებიდან 200 მილზე, მეორე კი — 1933 წლის 2 მარტს ხონსოს (იაპონია) აღმოსავლეთ ნაპირის რაიონში.

1897 წლის 12 ივლისს ერთ-ერთმა უდი-

ცოტა რამ საგნების წარმოშობაზე

ლუჭი

1625 წელს დიდი ხანძრის დროს პარიზში დაიწვა ააფთიაქო და ქიმიური საქონლით მოვაჭრე ფრანსუა რუსის დუქანიც. მეორე დილას იგი მაღაზიისაკენ გაეშურა, რათა ფერფლად ქცეულ შენობაში ეპოვა სალარო, რომელშიც ოქროვერცხლი ჰქონდა შენახული. აღსანიშნავია, რომ სწორედ ხანძრის წინ მან მიიღო საქონლის პარტია, რომელშიც იყო სინგურით, შელაქით და ფისით სავსე კალათები და ქილები.

ნახანძრალ იატაკზე რუსომ აღმოაჩინა გაციებული სქელი მასა, რომელშიც ჩაწებებული იყო ოქროსი და ვერცხლის ფულები. გახარებულმა ვაჭარმა დაიწყო ფულების ამოჩიჩქვნა და შეამჩნია რომ წებოვან მასაზე ფულების ქვეშ დარჩა მათი გარკვეული ანაბეჭდები, შეაგროვა რა ქონების გადარჩენილი ნაწილი, არ დაივიწყა ანაბეჭდებიც, შეისწავლა დამწვარი საქონლის პროპორცია, რომლისგანაც წარმოიშვა ამჟამად ცნობილი „ლუქი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესმა მიწისძვრამ შეარყია ასამის (ინდოეთი) შემოგარენი. მას ჰქონდა 8,7 მაგნიტუდა. მიწისძვრის ადგილიდან 300 კმ დაშორებით მდებარე კალკუტაშიც კი, ბევრი შენობა დაინგრა. ადამიანებმა მიწისქვეშა ბიძგები და რყევები ასამიდან თითქმის 1500 კილომეტრის დაშორებითაც კი იგრძნეს.

უძლიერესი მიწისძვრა მოხდა აგრეთვე 1950 წლის 15 აგვისტოს იმავე ასამში. მისი მაგნიტუდა 8,6 იყო. კატასტროფის შედეგად დედამიწის ქერქში გავრცელებულმა ბიძგებმა გამოიწვიეს ტბების აღელვება ნორვეგიასა და ინგლისში.

ტარზანის საიდუმლოება

ცურვაში მსოფლიოს ჩემპიონმა ვაისმიულერმა ოცდაათიან წლებში სახელი გაითქვა როგორც კინომსახიობმა — ტარზანის როლი შეასრულა კინოფილმ „ტარზანში". ფილმში ტარზანი ნადირობდა, უშიშრად ერკინებოდა მტაცებელ ცხოველებს, მაიმუნივით ხტებოდა ლიანიდან ლიანაზე. ამ დროს გაისმოდა საყოველთაოდ ცნობილი „ტარზანის ყვირილი", რასაც მსოფლიოს ყველა კუთხეში ბაძავდნენ ბავშვები. ეს იყო უნიკალური ყვირილი — განმგმირავი, ველური, რაღაც დრამატული. ყველას ეგონა, ვაისმიულერმა ამ თავისებური ყვირილით არაჩვეულებრივი ნიჭი გამოავლინაო. მხოლოდ ამას წინათ გამოირკვა, რომ ამ ხმის პატრონი სრულებითაც არ ყოფილა ვაისმიულერი. „ტარზანის ყვირილი" მიუღიათ ხმის ჩამწერი აპარატის საშუალებით: სამი ცნობილი მომღერალი — ტენორი თავ-თავის ნოტს ჭიმავდა, ხოლო მათ ერთდროულად იწერდა ხმისჩამწერი.

მაიმუნი საბრალმდებლო სკამზე

ძველად, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, იშვიათი როდი იყო ამა თუ იმ ცხოველის, ფრინველის, მწერის საჯაროდ გასამართლების შემთხვევები. ამ სასამართლო პროცესების შესახებ ცნობები შემონახულია ისტორიულ ქრონიკებში, უფრო მოგვიანებით — გაზეთების ფურცლებზე.

მსგავსი რამ, თურმე, შეიძლება ჩვენს დროშიც მოხდეს. ამ ათიოდე წლის წინათ პარიზის ერთ-ერთი რაიონის სასამართლომ გააჩჩია მაიმუნის, სახელად მაკაოს საქმე. მას ბრალად ედებოდა მეზობლის ბინის აივანზე გადაძვრომა და იქ ტრელაუზე დაწყობილი კოსმეტიკური ნივთების განადგურება. უფრო მეტიც: დაზარალებულმა დიასახლისმა განაცხადა, მაკაომ ტრელაუზე დადგმული ზარდახშიდან ამოიღო ძვირფასი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი და გადაყლაპაო. მაიმუნის პატრონი თავგამოდებით იცავდა და აქებდა მაკაოს, რომლის კეთილზნეობის მოწმეებადაც თავის მეგობრებს ასახელებდა. ირწმუნებოდა, მაკაო ბეჭედს ვერ გადაყლაპავდაო.

სასამართლოს დარბაზში ჩაატარეს ექსპერიმენტი. — მაიმუნს რამდენიმე ბუტაფორული ბეჭედი შესთავაზეს, მან ისინი ერთ-ერთ შინვე გადასანსლა, სასამართლომ მაკაოს პატრონს მეზობლის ზარალის ანაზღაურება დააკისრა.



საჰარა ბაღად იქცევა

მსოფლიოში უდიდესი უდაბნო საჰარა 30 წლის განმავლობაში აუვავებულ ბაღად უნდა იქცეს — ასეთია იუნესკოს მიერ მიღებული სამეცნიერო პროგრამის მიზანი.

დიდი ხანია ვარაუდობენ, რომ საჰარის ქვიშით დაფარული მიწის ქვეშ უზარმაზარი ტბა უნდა იყოს. ამას წინათ გეოლოგებმა დაამტკიცეს ამ ვარაუდის სისწორე. მიწისქვეშა ტბის მოცულობა 60 000 მილიარდ კუბმეტრ წყალს უდრის. გამოამგარიშებულია, რომ წყლის ეს მარაგი რამდენიმე ასეული წლის სამყოფია. თვით პატარა ჭაბურღილებისაგანაც კი ასობით ახალი ოაზისი გაჩნდება. ეს გიგანტური ტბა წარმოშობილა ატლასის მთების სამხრეთ ფერდობებზე მოსული ნალექებისაგან, ფერდობებზე ჩამონადენი ნალექები ჩადის ქვიშიან ნიადაგში, რომელიც ადვილად ისრუტავს წყალს და იქ თანდათანობით გროვდება.

საქმოსანმა წამოიწყო ახალი მასალის ჩხირების სახით გამოშვება. პირველ ხანებში ლუქი ცუდად იყიდებოდა, რადგან ყველა მიჩვეული იყო ცვილის ან ქაღალდის ობლატების ხმარებას, რომლებსაც წრეების სახით აკრავდნენ წებოთი. ზედა, კარგ პირზე გამოყვანილი იყო, მფლობელის ღერბი ან ინიციალები. ენით დასველებული ობლატის წებოიანი მხარე ეწებებოდა წერილს. მაგრამ ნათქვამია — არ იქნებოდა ბედნიერება რომ არ ყოფილიყო უბედურებაო. სამეფო კარის ერთი მანდილოსანი მოიწამლა წებოთი, რადგან იმ დროს წებოს ხარშავდნენ თვით ჭირისაგან დაცემული ცხოველების ჩლიქებისა და რქებისაგანაც კი, ამ უბედური შემთხვევის შესახებ ცნობა მალე მოედო არა მარტო საფრანგეთს, არამედ მთელ ევროპას, და აი ობლატის შემცვლელად გამოჩნდა ლუქი.

ფოსფორის ასანთი პირველად გამოიგონა 19 წლის ფრანგმა შ. სორიამ, ეს მოხდა 1831 წელს. მაგრამ უსახსრობის გამო მან ვერ შესძლო პატენტის აღება, და მისი გამოგონება ხელთ იგდო გერმანელმა კამერერმა.

1836 წელს რუსეთში ფოსფორის ასანთი ძალიან ძვირი ღირდა — 100 ცალი მანეთად იყიდებოდა, რამდენიმე წლის შემდეგ კი მისი ფასი 5 კაპიკამდე შემცირდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფოსფორის ასანთის წარმოება და გაყიდვა აიკრძალა ხშირი ხანძრებისა და ასანთის ფაბრიკებში მუშების მოწამვლის შემთხვევების გამო.

1848 წელს შვედმა ქიმიკოსმა ბეტჩერმა გამოიგონა უსაფრთხო ასანთი, რომელსაც კარგა ხანს შვედური ერქვა.

ამჟამად მზადდება სხვადასხვა სახის სპეციალიზებული ასანთი. მაგალითად, სანადირო ასანთისათვის საშიში არ არის წვიმა, ხოლო ქარიანი ამინდის ასანთისათვის — ქარი.

ასანთების წარმოების მხრივ მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია ჩვენს ქვეყანას.

ასანთისათვის ყველაზე უკეთესია ვერხვის მერქანი, რომელიც არ შეიცავს ფისოვან ნივთიერებას.

ასანთის ღეროს თავი ანთებისას ხურდება 1500 გრადუსამდე.

ჟურნალიდან „ტექნიკა მოლოდიოჟი".

განყოფილება მიეკუთვნის პიონერთა და მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო ესთეტიკის კაბინეტის პედაგოგს მერი ტაბიძეს.



გაკვეთილი IX

გავშვის „ჩეფჩიკი"

ჩეფჩიკისათვის საჭირო არის 60° გრ ძაფი, ჩხირები, № 2,5.

აკრიფეთ 86 თვალი, მოქსოვეთ 5 სმ რეზინი ან თავშლისებური ქსოვით. **გააგრძელეთ ქსოვა თავშლისებური ნაუშით, მოქსოვეთ 14-15 სმ და დაიწყეთ კლება.** ყველა მხარეს უკელით 5-5 თვალი. ქსოვეთ ვიდრე არ დარჩება 18 თვალი. ბოლოს ამ 18 თვალს **გადახურავთ და გაკერავთ, შესაბნევ ზონარს** მოქსოვთ სხვა ფერის ძაფით 11-11 სმ-ის სიგრძეზე. **წინდისებურ ნაქსოვს დამთავრების ადგილას გაეკერება ამავე ძაფისაგან დაგრეხილი ზონარი.**

გაკვეთილი № X

5 წლის გოგონას კაბა

საჭირო მასალა — 150 გრამი I ხარისხის შალის ძაფი. ჩხირები № 3.

ზომები: კაბის სიგრძე 46 სმ. გულმკერდის სიგანე 68 სმ. სახელოების სიგრძე — 12 სმ.

ქსოვის სახეები.

1) — თავშლისებური.

2) — აუურული.

აუურული ნაუშის ნიმუში — თვლების რაოდენობა იყოფა 6-ზე პლუს 2 ნაწიბურის თვალი.

I რიგი — 1 ნაწიბურის თვალი (1 თვალი უკუღმა, 2 ნამატი, 1 თვალი უკუღმა, 2 ნამატი, 1 თვალი უკუღმა, 2 ნამატი, 2 თვალი უკუღმა).

II რიგი — 1 ნაწიბურის თვალი (1 თვალი უკუღმა, 5 უკუღმა თვალი გადაიტანეთ მარჯვენა ჩხირზე ისე რომ არ გამოქსოვოთ, ნამატი ჩაუშვით, შემდეგ ეს 5 თვალი ისევ გადაიტანეთ მარცხენა ჩხირზე. გამოქსოვეთ ისინი უკუღმა, არ ჩაუშვათ ჩხირებიდან, გააკეთეთ ნამატი და გამოქსოვეთ კიდევ ერთხელ, ისევ ნამატი **და კიდევ** გამოქსოვეთ თვლები **ერთხელ,** მიიღებთ ისევ 5 **თვალს. ამ თვლებს** უკლებთ **და იმათგან ისევ** გამოქსოვთ **სხვა** 5 **თვალს.**

III რიგი — უკუღმა თვლები.

IV რიგი — მეორდება იგივე **დაწყებული** I რიგიდან, **მხოლოდ** იმ **განსხვავებით,** რომ **კლებადი** 5 **თვალი** განაწილდება **ჰადრაკულად.**

ქსოვის **შესრულება** — კაბა იქსოვება ქვედა ბოლოდან.

ზურგის მოქსოვა — აიღეთ 130 თვალი. გამოქსოვეთ 8 რიგი თავშლისებური ქსოვით. **განაგრძეთ ქსოვა** აუურული ნაუშით. **მოქსოვეთ 25 სმ** სიმაღლეზე, **პირველი** რიგი **მოქსოვეთ ნასვრეტებით,** (ერთიორმაგი **კლება,** ნამატი **სანამ** არ **დარჩება 84 თვალი**). **მოქსოვეთ 5 სმ** سیمაღლეზე. **იღლიის ხაზი** رომ **გაფორმდეს,** ორივე **მხრიდან** მოაკელით **2-ჯერ** ორ-ორი **თვალი** და **1** თვალი رიგის **შემდეგ. ზურგის** მხარეს **დატოვეთ** ჭრილი **შესაკრავისათვის. ზურგის** თვლები **გაუკავით** შუაზე, **ჯერ** მოქსოვეთ **მარცხენა ნაწილი. ზურგის** ჭრილის **მხარეს 5** ბოლო **თვალი** ქსოვეთ **თავშლისებურად, დანარჩენი** კი **მოცემული** ნაუშით.

მხარი იქსოვება **შემდეგნაირად:** მოუკელით **სამჯერ 6** თვალი, **დანარჩენი** თვლები **კი** ეასხით ცალკე **ძაფზე.** ასევე **მოქსოვეთ** მარჯვენა ნაწილი **და** დატოვეთ **8** ნასვრეტი **ღილების** შესაკრავად. ნასვრეტი **კეთდება** შემდეგნაირად: **აიღეთ 8** თვალი **ერთად** ნამატის **გარეშე,** მეორე رიგში **გამოქსოვეთ ჰაეროვანი** თვლები, **იმდენივე, რამდენიც** გამოაკლდა.

წინა გული **იქსოვება** ისევე, **როგორც ზურგი** — **მოქსოვეთ 40** სმ سیمაღლეზე, **დეკოლტის** გასაფორმებლად **შუ. 10** თვალი **გადახურეთ** ერთ **رიგში. დეკოლტის** مარჯვენა **და** مარცხენა **ნაწილი** მოქსოვეთ **ცალცალკე. ქსოვისას** თანდათან **მოაკელით** دეკولტის **მხარეზე 4** თვალი, **3** თვალი, **2** თვალი, **2** თვალი **და 1** თვალი, رიგის **გავლით,** სანამ **არ** دარჩება **18** თვალი **მხრისათვის.** მხარი **გამოქსოვეთ** ისე, **როგორც ზურგის** ნაწილი. **წინა** გულის **მეორე** ნაწილი **იქსოვება** ისევე, **როგორც 1** ნაწილი.

სახელოები იქსოსვება **50** თვალზე. **გამოქსოვეთ 8** رიგი **თავშლისებური** ქსოვით. **შემდეგ** გააგრძელეთ **აუურული** ქსოვა. **მე-5** სმ-ზე **დაიწყეთ** სახელოს **გაფორმება;** ჯერ **აკლებთ** ორივე **მხრიდან 3** თვალს, **2** თვალს, **და 8-ჯერ 2** თვალს, **3-ჯერ 2** თვალს, ყოველი ერთი رიგის **შემდეგ** دარჩენილ **12** თვალს **გადახურავთ** ერთ رიგში.

აკინძვა: მოქსოვილი **დეტალები** გააუთოეთ, **გაკერეთ, შემდეგ** ამოიღეთ **დამატებითი 66** თვალი **დეკولტეზე** და **შეუერთეთ ზურგის** თვლებს. **მოქსოვეთ 8** رიგი **თავშლისებური** ქსოვით **და** გადახურეთ; **გააუთოეთ** ნაკერები, **დააკერეთ** ღილები, **მოქსოვეთ ზონარი** და **გაუყერეთ** ნასვრეტებში. **ზონარს** ბოლოებზე **გაუკეთეთ** პომპონი.

პომპონი

მუყაოს სქელ ფირფიტაზე **8,5** სმ دიამეტრის **წრეხაზი** შემოხაზეთ, **შუაში** **გაუკეთეთ** ნასვრეტი. **ორი** ასეთი ფირფიტა ერთმანეთზე **დაადეთ. შემდეგ** მსხვილ ნემსზე **აგეთ** შალის **ძაფი** და **ამოუხვიეთ** ისე, **რომ** ზედაპირი **დაიფაროს.**

ზედაპირი رომ **მთლიანად** დაიფარება, ირგვლივ **მკრატლით** შემოჭრით. ფირფიტებს **შორის** ძაფს **გადაახვევთ** და **გაკვანძავთ,** მერე **მოაცილებთ** **მუყაოს** **და** მიიღებთ **საშუალო ზომის ბურთულს.**

ფიცარს გალაქვამდე **ზედაპირზე** ორჯერ **მაინც** **უნდა** **წაუსვათ** ზეთის **საღებავი** **და** ერთი **დღე-ღამე** **გასაშრობად** **დადოთ.** **შემდეგ** **გადაუსვით** **ლაქი.** **გახსოვდეთ,** **ფიცარი** **მზეზე** **არ** **გააშროთ,** **თორემ** **ზედაპირი** **დაუსკდება** **და** **ელვარებაც** **დაეკარგება.**

როცა **იატაკი** **ჭრიალებს,** **ფიცრებს** **შორის** **დარჩენილ** **ღრეჩოებში** **ტალკი** **ჩაყარეთ.** **სხვათაშორის,** **ტალკი** **უჭრის** **ჭრიალის** **დროსაც** **შეგიძლიათ** **გამოიყენოთ.**

საიზოლაციო **მინანქრით** **დაფარული** **სპილენძის** **წვრილი** **მავთული** **შეგიძლიათ** **სწრაფად** **გაწმინდოთ,** **თუ** **მას** **დენატურირებულ** **სპირტში** **გაავლებთ.** **კარგი** **იქნება,** **თუ** **მავთულს** **წინასწარ** **ალზე** **გადაატარებთ.**

პოლიამიდის (ნეილონის, **სტილონის,** **პერლონის,** **კაპრონის)** **ნაწარმის** **დასაწებებლად** **ჭიანჭველამუავაზე** **უკეთესი** **საშუალება** **არ** **არსებობს.** **15** **წუთის** **შემდეგ,** **როცა** **პლასტმასა** **შერბილდება.** **ისევ** **დაასველეთ** **და** **რამდენიმე** **წუთის** **შემდეგ** **ორი** **ნაწილი** **ერთმანეთს** **მტკიცედ** **შეეწებება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „პიონერში“ 1978 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი

პროზა

შამანაძე ნ. — სხივთა თამაში. №№ 1, 2, 3.
გაიდარი ა. — გამოუქვეყნებელი მოთხრობები. № 1.
ჯინჯოლია გ. — გაჯიბრება მზესთან. № 1.
პანტელეევი ლ. — მშიშარა. № 1.
სანადირაძე გ. — საქორიაზე, ტყეების იქით. № 2.
ხერგიანი მ. — გეგე და ბაბე. № 3.
აფხაზავა ნ. — მოხეტიალე სკაფანდრები. № 3.
ფიფია თ. — ნახტომი. № 3.
ავლანური არაკები. — № 3.
პრილეუაევა მ. — ვანეევის საწოლთან. № 4.
ტაბაღუა ზ. — მარდისის მკვიდრნი. №№ 4, 5.
შარატი ს. — რენტგენის სხივები. № 4.
გიგაშვილი შ. — სახარე. № 5.
პუკი ჰ. — მწყემსის ჩანთა. № 5.
პრომეტი ლ. — სასიყვარულო ბარათი, № 5.
პატურაშვილი თ. — არაკები. № 5.
ბუთხუზი გ. — ძმობილები. №№ 6, 7.
ძუგათი გ. — სათითაოდ მოგვაყურადა და... № 6.
ვადაჭკორია დ. — პანკისა. № 6.
პაპუაშვილი გ. — ალუჩა. № 7.
პლატონოვი ა. — ჭკვიანი შვილიშვილი. № 7.
გამზათოვი რ. — სიცრუე და სიმართლე. № 7.
ქეთელაური ს. — ერთი ალვის ხის თავგადასავალი. № 8.
თომაძე მ. — არაკები. № 2.
კობერიძე კ. — ოსარო და წავი. № 8.
ბეზარაშვილი ნ. — ღიმილი. № 9.
მგელაძე ნ. — შორია ბერლინამდე. №№ 10, 11, 12.
ჩაკალიდი ე. — ფარშავანგისთვალა პეპელა. № 10.
შიშკოვი ვ. — საბჭოთა მიწის სუსანინი. № 10.
ჭეიშვილი გ. — მაყვლისფერთვალება ბიჭი. № 11.
გიორგაძე ე. — გამქრალი ვიოლინო. № 12.
ბულგარული ზღაპრები. № 12.

პიონერული ცხოვრება

მგელაძე ნ. — ფილატელია — საინტერესო სამყარო. № 1; „ჩემი რესპუბლიკის შრომას ერთვის“. № 8; ამ სახელით იწყება. № 11.
დიდიმამიშვილი ე. — „მიეცი ნიჭსა გზა ფართო“. № 2.
ჭილაშვილი ჭ. — ბუნების მეგობრები. № 3; მარშის გზებსა და ბილიკებზე. № 5.
სახვაძე ე. — „აჩუქე ადამიანებს სიხარული“. № 3; ერთგული ხელი ვიეტნამელ მეგობრებს. № 7; მამაცთა პროფესია № 11.
ნიკოლაძე ვ. — ბორჯომელი ნორჩი მეტყევეები. № 6.
მეხუთე მეოთხედი. № 8;
რეპორტაჟი ბაღ-ვენახებიდან. № 10.

პოეზია

შერაზადიშვილი ზ. — მერცხლებო, წეროებო, გუგულებო... კვამლის საყრდენები; შორი გზის მოვლით. № 1.
მებურიშვილი ტ. — დამიძახე; მზეო, ამოდი; მუსიკა. № 1; წარწერა გალაკტიონის წიგნზე. № 9.
ივარდავა დ. — სიმღერა საქართველოზე; ჩვენი თბილისი; ბოლნისის წარწერა; ძველი კოლხური სიმღერა № 2.
ცარუკაევი ჰ. — ილელუს. № 3.
კილასონია ნ. — სიმღერა მარტისა. № 3.
შალამბერიძე ო. — ცეცხლი და მუხა. № 3.
შამფრიანი ს. — საგაზაფხულო. № 4; მტევანი; დიდი ძილის წინ. № 10.
აბდელანი ს. — კახაბერის ხელისგული. № 4.
ნონეშვილი ი. — სამაისო. № 5.





ჩხეტიანი მ. — გზები, გზები; ჩიტო ნიბლიავ, ...ირემი; მთაში. № 6. ახალი ლექსები. № 12.
მაიაკოვსკი ვ. — ლექსი საბჭოთა პასპორტზე. № 7.
ბექიშვილი თ. — სიმღერა; ლოდები. № 7.
მირზოიანი ჰ. — პიონერულ ბანაკში, შენ იდღეგრძელე; წიგნი. № 8.
ლელაშვილი მ. — აკროსტიხი; ზმა; ანაგრამა; შარადა; გამოცანა. № 9.
დარსაველიძე ნ. — შემოდგომა. № 10.

წერილები, მოგონებები, საუბრები, მეცნიერება. სხვადასხვა

კ. გოგიაშვილის დაბადების 60 წლისთავი. № 1.
სანაევი ვ. — გაქცევა. № 1.
მეფისაშვილი გ. — სადაც პოეზიის ცეცხლი გიზგიზებდა. № 11.
ბულეიშვილი-მურღულია მ. — ბაბილონის კოშკი.
ევერი ი. — ძაღლი ყველაფერს ხვდება. № 2.
ბერიძე თ. — ანჩისხატის ეკლესია. № 3.
გავაშელი ვ. — მე, ქუჩა და ავტომობილი. №№ 2, 3, 4, 5.
სოხაშვილი გ. — სამთავისის ტაძარი. № 2.
ძერია რ. — ფოლადაური, სარკინეთი, მადნეული, № 4.
ხერგიანი მ. — გვირისტებს გადევნებული ოცნებანი. № 7.
ვოლკოვი ა. — რაოდენ დიდია დედამიწა. № 4.
ჩვენთან სტუმრადაა ლატვიის საბავშვო ჟურნალი. № 5.
სიდამონიძე ვ. — თედო ლილოელი № 4, ფალავანთა ფალავანი. № 12.
ჭუმბურიძე ზ. — გაუხუნარი ფურცლები. № 5, 6; „ქართლის ცხოვრების“ ძველი ხელნაწერები. № 11, 12.
გვაზავა-სანაძე ლ. — სამშობლოსათვის შეწირული სიჭაბუკე. № 5.
ჯიშკარიანი ჯ. — ორი ეპიზოდი. № 5.
სერგეევი ბ. — ვის როგორ ძინავს? № 11.
ფედოროვი ბ. — რა თქვით, დელფინო? № 6.
ბიბილური თ. — მაიაკოვსკი — პოეტი ტრიბუნი. № 7.
კაჭახიძე გ. — სტუმარი. № 8; ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი პოეტი. № 11.
რეცაკი კ. — ციოლკოვსკი. № 8.
კობიძე ჰ. — მიწისქვეშა საოცრებათა სამყარო. № 3.
ჰილაია ს. — გალაკტიონი. № 9.
თომაძე მ. — წყნეთის ავტობუსში. № 9.
ჩვენთან სტუმრადაა ესტონეთის საბავშვო ჟურნალი. № 9.
ზარდალიშვილი გ. — არაჩვეულებრივი ძეგლები. №№ 10, 12.
ჯანდიერი ი. — უჯარმა. № 7; ალავერდის ტაძარი. № 12.
კარბელაშვილი ა. — მანქანამ რომ წერილები დაახარისხოს. № 12.
ძიძიგური ვ. — არკადი გაიდარის საიუბილეოდ. № 12.

ჩვენი განყოფილებები

ახალი წიგნები — № 1-12.
ცხრაკლიტული — № 1-12.
ჯადოსნური სარკე — № 1-12
გამოგადგები — № 1-12.
ტექნიკის სიახლენი — № 2, 10.
ბუნების კარი — №№ 2, 3, 4, 6, 7, 10.
სპორტი — №№ 1, 3, 4, 5, 7, 12.
თამაშობები — №№ 1, 4, 5, 7.
იუმორი — 3, 7, 10.
საინტერესო თემაზე — № 1.
სპორტული დასვენება — № 2, 12.
კითხვა-პასუხი — № 2.
საერთაშორისო ორგანიზაციები — №№ 8, 12.
მოსწავლეთა შემოქმედება — №№ 2, 6.
შენი უცხოელი თანატოლები — № 12.

გარეკანის მხატვრობა თამაზ ხუციშვილისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: **შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი** (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, გიორგი ძლიბაძე, ნოდარ შამანაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, გაიოზ ფოცხიშვილი** (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/XI-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/XII-73 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 3413. ტირ. 131.000. უე 13643.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 2. მდინარე საქართველოში; 4. გულის და ბრონქების დაავადება; 7. სიგრძის ᲗᲐᲖᲝᲛᲘ ერთეული ძველ საქართველოში; 6. სახელმწიფო აზიაში; 9. ცნობილი რევოლუციონერი; 11. ვერდის ოპერა; 12. მიწის საზომი უმარტივესი ხელსაწყო; 13. სპორტული ინვენტარი; 15. მდინარეზე მიმოსვლის საშუალება; 16. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემათა (ჟურნალ-გაზეთები) ერთობლიობა; 18. ქიმიური ელემენტი; 20. სიმკვრივის საზომი ხელსაწყო; 21. მსუბუქი მრეწველობის ნედლეული; 22. სუბტროპიკული მცენარე; 23. თვითმფრინავის სახე; 25. მდინარე საქართველოში; 27. კანფეტი; 28. ქალაქი სსრ კავშირში; 29. ხილი; 30. ყურძნის საწური; 32. ხე; 33. სასწავლებელი; 34. კინოფილმ „ჭიაკოკონას“ ერთ-ერთი გმირი; 38. მწერი; 39. ნაცვალსახელი; 40. სპორტული ხერხი, ანუ...

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ტანსაცმელი; 2. ლითონი; 3. ფრინველი; 4. თხელი საფარველი; 5. შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 8. ცხოველი; 9. კონტინენტი; 10. სახელმწიფო აზიაში; 11. დადებითად დამუხტული იონი; 14. მათემატიკის დარგი; 15. საქართველოს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი; 16. შესახვედრად დათქმული დრო; 17. რაიმე საქმეში მხურვალე მონაწილეობის მიმღები; 19. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 23. ქალაქი საქართველოში; 24. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 26. ძველი საომარი იარაღის ნაწილი; 28. აზროვნების ორგანო; 31 ბოსტნეული; 32. მთა ციმბირში; 35. მდინარე აზიაში; 36. სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 37. მწვერვალი, ანუ...

ᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲭᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ,
სოფ. წყალტუბოს საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.



ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ?

ერთ-ერთი გატეხილი ქილა შეიძლება გაამთელოთ ნახატის ქვედა ნაწილში გამოსახული ოთხი ნატეხით. რომელია ეს ქილა?

ᲨᲐᲠᲐᲓᲐ

წრიპინ-წრიპინით ქაღალდს
აპკურა გიშრის ნამი,
ციცქნა ფოლადი გახლავს,
მარცვალი ახლავს სამი,
მოსხლიტე წინა ბგერა
და დავამთავროთ ამით,
ალისფრად აელვარდა,
პასუხს არც უნდა წამი.

Შ. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ № 11-ᲨᲘ ᲓᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚ „ᲪᲮᲠᲔᲙᲚᲘᲡᲬᲣᲚᲖᲔ“

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. იგრეკი; 5. კათოდი; 8. ასო; 11. მექსიკა; 13. ალოთემა; 16. ტოკიო; 17. ოდერი; 18. ომეგა; 23. უნგრეთი; 24; ზოია; 25. დაფა; 26. რონდო; 27. კაირო; 28 ლომი; 31. ოლქი; 34. ლაკმუსი; 36. ტემპი; 37. ფორტე; 39. ფლორა; 40. აბრაზია; 43. კომისია; 45. „ალი“, 46. ტირაჟი; 47. ოფელია.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. გალაქტიკა; 3. ეპოსი; 4. იალტა; 5. კოლბა; 6. თრუსო; 7. დიათერმია; 9. კომპოსტი; 10. ამალგამა; 12. კიო; 14. პაი; 15. მეტრი; 19. ბაზალტი; 20. ჟურნალი; 21. სიცილია; 22. გრანიტი; 29. მოდერატო; 30. ამური; 32. ლაურეატი; 33. კოპერნიკი; 35. ტელესკოპი; 37. ფაი.

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

1. თვალები; 2. ჭადრაკი; 3. მთვარე.

ᲐᲒᲐ, ᲡᲪᲐᲓᲔ!

Ჭ). ჭორიკანა; მ). მიხაკი; გ). გვირილა; ნ). ნარგიზი; ვ). ვარდი; მ). მაგნოლია; ი). იასამანი.

ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ

ციფრები ასე უნდა ჩასვათ:



ИНДЕКС 76157